

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ნინო თავიდაშვილი

კვაზირეალიები როგორც უნივერსალური ენობრივ-კულტურული
ფენომენი და მათი ვერბალიზაცია სხვადასხვა სისტემის ენებში

(ინგლისური და ქართული პროზის მასალაზე)

დარგი/სპეციალობა 1005 - ფილოლოგია

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი მადონა მეგრელიშვილი

ქუთაისი

2014

შინაარსი

შესავალი	4
თავი I. ენისა და კულტურის დიალექტიკური ურთიერთკავშირი	
ანთროპოცენტრისტული პარადიგმის პრიზმაში.....	8
1.1. ანთროპოცენტრისტული ტრიადა: ენა, აზროვნება და კულტურა	8
1.2. ინტერკულტურული კომუნიკაციის პრობლემა	28
1.3. მნიშვნელობის ნაციონალურ-კულტურული კომპონენტი.....	34
1. 3.1. ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკა როგორც უნივერსალური კატეგორია	34
1.3.2. ფონური ცოდნა – ლინგვომხარეთმცოდნეობის მთავარი ობიექტი.....	39
თავი II. კვაზირელია როგორც გარდამავალი საფეხური უნივერსალიასა და რეალიას შორის	46
2.1. ინვარიანტულ და ვარიანტულ მახასიათებელთა სინთეზი	46
2.2. კვაზირეალიების მიმართება სხვა ლექსიკურ ჯგუფებთან	57
2.3. კვაზირეალია და კონოტაციური ლექსიკა	60
თავი III. ინგლისური და ქართული კვაზირეალიების შეპირისპირებითი ანალიზი	64
3.1. კვაზირეალიების მიმართება ნაციონალურ-კულტურულ არეალებთან	64
3.2. კვაზირეალიების ვერბალიზაციის საშუალებების ანალიზი ინგლისური და ქართული პროზის მასალაზე	67
3.2.1. ეთნოკულტურული კვაზირეალიების ვერბალიზაცია	67
3.2.2. სოციოკულტურული კვაზირეალიების ვერბალიზაცია	120
3.2.3. ინგლისური და ქართული კვაზირეალიების გამოხატულების პლანის	

ბირთვული და პერიფერიული კომპონენტები	132
დასკვნები	139
გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა	143
გამოყენებული საცნობარო და ისტორიულ–ეთნოგრაფიული ლიტერატურა	155
გამოყენებული მხატვრული ლიტერატურა	156

შესავალი

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება კვაზირეალის, როგორც უნივერსალური ენობრივ-კულტურული ფენომენის, კვლევასა და მისი ვერბალიზაციის საშუალებების ანალიზს სხვადასხვა სისტემის ენებში. კვაზირეალიები ქმნის განსაზღვრული კულტურულ-გენეტიკური ერთობის ჩამოყალიბების პროცესში აღმოცენებული რეფერენტების ჯგუფს, რომელიც ასახავს მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა განსაკუთრებული სტრუქტურით განპირობებულ ნაციონალურ-კულტურულ სპეციფიკას. კვაზირეალია არ განეკუთვნება არაეკვივალენტურ ლექსიკას, შესაპირისპირებელ ენაში გააჩნია ეკვივალენტი, რომელიც ემთხვევა მას არსებითი ნიშან-თვისებებით, მაგრამ განსხვავებულია მეორადი მახასიათებლებით, რასაც კონკრეტული ნაციონალურ-კულტურული თავისებურებები უდევს საფუძვლად.

ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების შესწავლა თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური მიმართულებაა. ეს აიხსნება ინტენსიური კულტურათაშორისი კომუნიკაციის მზარდი მოთხოვნით ბოლო ათწლეულების მანძილზე, რასაც განაპირობებს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, საერთაშორისო ურთიერთობების გააქტიურება და გლობალიზაციის დაჩქარებული ტემპი. განსხვავებულ კულტურათა დიალოგის პროცესში კი შეუძლებელია წარმატებული კომუნიკაცია ენობრივი და კულტუროლოგიური კომპეტენციების სინთეზის გარეშე. აღნიშნული საკითხი ზოგადთეორიული თვალსაზრისით ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად შესწავლილი და ენაში ასახული კულტურის მიმართ ძლიერი ინტერესის მიუხედავად, ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია ნაციონალურ-კულტურული ნიშნით მარკირებულ ენობრივ ერთეულთა კვლევის მეთოდოლოგია. დასახელებული ფაქტორები განსაზღვრავს სადისერტაციო თემის აქტუალურობას.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ პირველად ხორციელდება კვაზირეალიების ანალიზი შეპირისპირებით პლანში ინგლისური და ქართული ენების მასალაზე, რაც, ერთი მხრივ, აღნიშნული ფენომენის და მისი

ვერბალიზაციის კომპლექსურ შესწავლას შეუწყობს ხელს; და, მეორე მხრივ, გარკვეულ წვლილს შეიტანს ქართული ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემატიკის კვლევისა და შესაბამისი ლინგვოკულტუროლოგიური ლექსიკონის მონაცემთა ბაზის განვრცობის საქმეში.

ნაშრომის მიზანია შევისწავლოთ კვაზირეალია, როგორც უნივერსალური ფენომენი, რომელიც ახდენს ლინგვისტური და კულტუროლოგიური ასპექტების სინთეზს; დავადგინოთ როგორ რეალიზდება აღნიშნული ფენომენი სხვადასხვა სისტემის ენებში.

ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე გადაჭრილია კონკრეტული **ამოცანები**:

1. შემუშავებულია კვლევის კონცეპტუალური აპარატი;
2. გაანალიზებულია ენის, აზროვნებისა და კულტურის ურთიერთმიმართების, ინტერკულტურული კომუნიკაციისა და ლინგვოკულტუროლოგიური ინტერფერენციის პრობლემები; ენობრივ ერთეულთა შინაარსის პლანის ნაციონალურ-კულტურული ასპექტი;
3. წარმოჩენილია კვაზირეალია, როგორც უნივერსალური ენობრივ-კულტურული ფენომენი;
4. განსაზღვრულია ის სემანტიკური სფეროები, ცნებათა კატეგორიები, რომლებიც სხვადასხვა სისტემის ენების (მოცემულ შემთხვევაში ინგლისურისა და ქართულის) კვაზირეალიათა შეპირისპირების საფუძველს ქმნის;
5. გამოვლენილია ინგლისურ და ქართულ კვაზირეალიებს შორის არსებული სემანტიკურ-სტრუქტურული მსგავსება-განსხვავებანი შეპირისპირებითი ანალიზის შედეგად;

ნაშრომის **თეორიულ ღირებულებას** განსაზღვრავს შემდეგი გარემოება: კვაზირეალიის ფენომენი მოცემულ ეტაპზე არ წარმოადგენს სიღრმისეულად დამუშავებულ საკითხს. ამიტომ მისი კომპლექსურად შესწავლა, რის მოკრძალებულ მცდელობასაც წარმოადგენს წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი, გარკვეულ წვლილს შეიტანს კვლევებში აღნიშნული მიმართულებით. ხოლო **პრაქტიკული მნიშვნელობა**

იმაში მდგომარეობს, რომ კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს უმაღლეს სასწავლებლებში თეორიულ კურსებთან დაკავშირებულ სპეცკურსებსა და სასემინარო მუშაობაში. ნაშრომი თეორიულ მასალას მიაწვდის უცხოური ენის სწავლების მეთოდიკას, თარგმნის თეორიასა და ლინგვოკულტუროლოგიურ ლექსიკოგრაფიას.

კვლევის მეთოდოლოგია, ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, ინტერდისციპლინარულ ხასიათს ატარებს. კვაზირეალიის ფენომენის კომპლექსურად შესწავლის, მისი სემანტიკური პოტენციალის დადგენის, სტრუქტურულად განსხვავებულ ენებში ობიექტივაციისა და დაფიქსირებულ მსგავსება-განსხვავებათა განმაპირობებელი კანონზომიერებების გამოვლენის მიზნით, მივმართავ ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ და ლინგვოკულტუროლოგიურ მიდგომათა სინთეზს. არსებულ მეთოდთა შორის ამოსავალია შეპირისპირებითი, დესკრიფციული და კომპონენტური ანალიზის მეთოდები.

კვლევის მეთოდოლოგიის ინტერდისციპლინარული ხასიათის გათვალისწინებით სამეცნიერო ლიტერატურის შერჩევასა მუშაობა წარიმართა რამდენიმე მიმართულებით. კვლევა დაეფუძნა თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის, კოგნიტური ლინგვისტიკისა და კონტრასტივიკის თეორიულ მონაცემებს.

ემპირიულ მასალად სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია ინგლისური და ქართული პროზაული ნაწარმოებებიდან შერჩეული მაგალითები.

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალურობა და სამეცნიერო სიახლე. განსაზღვრულია კვლევის მიზნები და ამოცანები, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, პრობლემისადმი მეთოდოლოგიური მიდგომა და კვლევის ძირითადი პრინციპები.

პირველ თავში – „ენისა და კულტურის დიალექტიკური ურთიერთკავშირი ანთროპოცენტრისტული პარადიგმის პრიზმაში“ – განხილულია ენის, აზროვნებისა და კულტურის ურთიერთმიმართებასთან, ინტერკულტურული კომუნიკაციისა და

საენათაშორისო ეკვივალენტობის პრობლემასთან, ენაში ობიექტივირებულ ნაციონალურ-კულტურულ ასპექტთან დაკავშირებული საკითხები.

მეორე თავში – „კვაზირეალია როგორც გარდამავალი საფეხური უნივერსალიასა და რეალიას შორის“ – წარმოდგენილია საკითხის კვლევის ისტორია, საკითხის შესახებ არსებული ლინგვისტური და კულტუროლოგიური თვალსაზრისი, თეორიული დებულებანი. შესწავლილია კვაზირეალია, როგორც გარდამავალი საფეხური სემანტიკურ უნივერსალიასა და რეალიას შორის და მისი მიმართება მომიჯნავე ლექსიკურ ჯგუფებთან.

მესამე თავი – „ინგლისური და ქართული კვაზირეალიების შეპირისპირებითი ანალიზი“ – ეთმობა კვაზირეალიების კონტრასტულ ანალიზს ინგლისური და ქართული პროზის მასალაზე. განსაზღვრულია კვაზირეალიათა შეპირისპირების საფუძვლები — ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკის ამსახველი უნივერსალური ცნებითი სისტემები ეთნოკულტურული და სოციოკულტურული არეალების და მათი შემადგენელი ქვესისტემების სახით. გამოვლენილია ინგლისური და ქართული კვაზირეალიების შინაარსისა და გამოხატულების პლანში არსებული მსგავსება-განსხვავებები.

დასკვნით ნაწილში შეჯამებული და განზოგადებულია კვლევის შედეგები.

კვლევის ძირითადი შედეგები მოხსენებათა სახით წარმოდგენილი იქნა საერთაშორისო კონფერენციაზე *„თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და კუმანიტარული აზროვნება“* (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2013), აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიებსა და ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის სამეცნიერო სემინარებზე. ნაშრომის პრეზენტაცია ჩატარდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის გაფართოებულ სამეცნიერო სემინარზე 2014 წლის 15 იანვარს.

თავი I

ენისა და კულტურის დიალექტიკური ურთიერთკავშირი ანთროპოცენტრისტული პარადიგმის პრიზმაში

1.1. ანთროპოცენტრისტული ტრიადა: ენა, აზროვნება და კულტურა

ენის, აზროვნებისა და კულტურის ურთიერთმიმართების საკითხისადმი მკვლევართა მიდგომის ვარირება უშუალო კავშირშია ლინგვისტურ პარადიგმათა მონაცვლეობასთან. ლინგვისტიკაში ტრადიციულად გამოიყოფა სამი ფუნდამენტური მეცნიერული პარადიგმა: ისტორიულ–შედარებითი (XIX საუკუნის ენათმეცნიერებისათვის დამახასიათებელი და შედარებით–ისტორიულ მეთოდზე დაფუძნებული), სისტემურ–სტრუქტურული (რომლის ყურადღების ცენტრშია ერთადერთ სრულ ნიშნად მიჩნეული სიტყვა) და ანთროპოცენტრისტული, რომელიც ადამიანს ანიჭებს ყოველი არსის საზომის სტატუსს და აბრუნებს მას სამყაროს ცენტრში (ვორკაჩევი 2001: 64). აღნიშნული პარადიგმის ფარგლებში მკვლევართა ყურადღება შემეცნების ობიექტიდან სუბიექტზე გადაინაცვლებს.

ენისა და პიროვნების ურთიერთმიმართება ღრმა ფსიქოლოგიურ საფუძველს ემყარება. ენას ადამიანური წარმოშობა აქვს და ადამიანის გარეშე არ არსებობს, არ მოიაზრება. არ არსებობს არაფერი ენაში, რომ ადამიანის მიერ არ იყოს თქმული, მის მიერ არ იყოს წარმოქმნილი (უზნაძე 1947: 166). მაშასადამე, ადამიანი უნდა შევისწავლოთ ენასთან მჭიდრო კავშირში და პირიქით – ლინგვისტურ მოვლენათა ანალიზი უნდა ემყარებოდეს ენის მიმართებას ადამიანის ფენომენტთან (მასლოვა 2001: 6).

ლინგვისტურმა აზროვნებამ განვლო უაღრესად რთული გზა იმანენტიზმიდან ექსტრალინგვისტური სინამდვილის სიღრმისეული ანალიზის აუცილებლობის შეგნებამდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლინგვისტური აზროვნების ყოველი შემდგომი ეტაპი არ არის წინა პარადიგმის უშუალო უარყოფა. იგი, ჩვეულებრივ, გულისხმობს მას, როგორც თავის წინამძღვარს. თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ჭეშმარიტ სახეს

წარმოადგენს კომუნიკაციური ლინგვისტიკის, კოგნიტური ლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის პარადიგმათა შინაგანი კავშირი ლინგვისტური აზროვნების წინა პარადიგმებთან. ისინი ინარჩუნებენ ყველა წინა პარადიგმის მონაპოვარს და, ამასთან, იძლევიან მის ახლებურ ინტერპრეტაციას, გარდაქმნიან და ავითარებენ მას ახალი მეცნიერული ინტერესებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

ლინგვისტური აზროვნების განვითარების პირველი ეტაპი, როგორც აღვნიშნეთ, იმანენტის პრინციპებს ეფუძნებოდა. თუმცა ეტაპობრივად, ამ აზროვნების ევოლუციის, უზარმაზარი ლინგვისტური ცოდნისა და გამოცდილების დაგროვების კვალდაკვალ, ბუნებრივად და ლოგიკურად იჩენდა თავს იმანენტის გადალახვის ტენდენცია. ენათმეცნიერება უფრო და უფრო უკავშირებდა თავის საგანს ობიექტურ გარემომცველ სინამდვილეს – ენის არსებობისა და ფუნქციონირების წიადს.

იმანენტის გადალახვის უაღრესად რთული პროცესი ორი მიმართულებით წარიმართა: ენა ობიექტურ სინამდვილეს დაუკავშირდა ორი ფუნდამენტური ფუნქციით. პირველი ფუნქცია გულისხმობს ენის, როგორც ნიშანთა სისტემის, საშუალებით სინამდვილის ასახვის ფაქტს. ხოლო მეორე, საკომუნიკაციო ფუნქციით, ენა უკავშირდება სინამდვილის სპეციფიკურ, კომპლექსურ ასპექტს – საკომუნიკაციო აქტს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომუნიკაციის განახლებული კონცეფციის თანახმად, კომუნიკაცია აღარ განიხილება, როგორც ენობრივი სისტემის, კოდისა, თუ ინდივიდის ენობრივი უნარის მხოლოდ აქტუალიზაცია. ტრადიციულად მიიჩნევდნენ, რომ კომუნიკაციის აქტამდე სიტყვა, წინადადება არსებობდა მზა სახით და კომუნიკაციის პროცესში ხდებოდა მათი აქტუალიზაცია. დღეს კომუნიკაციურ–ლინგვისტური თვალსაზრისი გულისხმობს, რომ კომუნიკაციის პროცესში ხდება ყოველი ენობრივი ერთეულის ფორმირება, ან ხელახლა ფორმირება, ახლად დაბადება (ლებანიძე 1998: 52).

ენის, როგორც სემიოტიკური ფენომენის ხედვის სათავეებთან დგას ფ. დე სოსიური, რომელმაც ლინგვისტურ აზროვნებაში შემოიტანა ენობრივი ნიშნის პირველი, ორპლანიანი მოდელი. მის ერთ ასპექტს წარმოადგენს აკუსტიკური ხატი (აღმნიშვნელი), მეორეს კი – ასოციაციური ხატი (აღსანიშნი). მოდელი იმანენტისტურია,

რადგან მისი ორივე პლანი აღიქმება, როგორც გარემომცველი ობიექტური სინამდვილისაგან იზოლირებული ფსიქიკური ფენომენი. იმანენტიზმის გადალახვის ტენდენციამ წარმოშვა ნიშნის ახალი მოდელის შექმნის აუცილებლობა. ნიშნის სინამდვილესთან დასაკავშირებლად საჭირო გახდა ნიშნის ცნების დეფსიქოლოგიზაცია: სოსიურისეული ასოციაციური ხატი გაიყო ორ ასპექტად – სიგნიფიკატად და დენოტატად. სიგნიფიკატი წარმოადგენს კონცეპტს – იმ საგნის, ან მოვლენის განზოგადებულ წარმოდგენას, რომელზეც მიუთითებს აკუსტიკური ხატი. დენოტატი კი არის ენის დონეზე ყველა ის საგანი, ან მოვლენა, რომელიც სინამდვილეში შეესაბამება სიგნიფიკატს, ხოლო მეტყველების დონეზე – ამ საგანთა, თუ მოვლენათა კონკრეტული წარმომადგენელი. ასოციაციური ხატი უკვე გვევლინება არა მარტო ფსიქიკურ, არამედ იმ სინამდვილის ამსახველ ფენომენადაც, რომელიც ცნობიერებაში არსებულ წარმოდგენას შეესატყვისება. ამრიგად, ჩვენ წინაშეა ნიშნის ახალი, „სამკუთხედოვანი“ მოდელი სამი ასპექტით: აკუსტიკური ხატი, სიგნიფიკატი და დენოტატი. იმანენტიზმი გადაილახა პირველი მიმართულებით – ენა დაუკავშირდა ობიექტურ რეალობას მის გლობალურ განზომილებაში.

იმანენტიზმის გადალახვის მეორე მიმართულებამ ენა საკომუნიკაციო აქტთან დააკავშირა. ამ შემთხვევაში ლინგვისტიკამ გამოიყენა ფილოსოფიური, პრაგმატული წარმოშობის პირს-მორისისეული მოდელი, რომელსაც სამი განზომილება აქვს: სინტაქტიკა (ნიშნის მიმართება სხვა ნიშნებთან), სემანტიკა (ნიშნის მიმართება აღსანიშნთან) და პრაგმატიკა (ნიშნის მიმართება მის მომხმარებელ სუბიექტთან). ნიშნის ეს სამი განზომილება ემთხვევა ლინგვისტური აზროვნების სამ ფუნდამენტურ მიმართულებას: ენობრივ ნიშანთა ურთიერთმიმართებების კვლევას, ენობრივ ნიშანთა შინაარსის პლანის ანალიზს და ენობრივი ნიშნის შესწავლას იმ ენობრივ სუბიექტთან მიმართებაში, რომელიც ჩართულია კომუნიკაციის – ყოვლისმომცველი ფენომენის სტრუქტურაში. „ადამიანი ერთდროულად ურთიერთობს საზოგადოების სხვა, მისთვის თანამედროვე წევრებთან, თავისი საზოგადოებისა და სამშობლოს წარსულთან, და რამდენადმე მაინც მომავალთან, საკუთარ თავთან და თვით სამყაროსთან. ე.ი.

კომუნიკაცია არის ყოვლისმომცველი და ყოვლისგამჭოლი ადამიანური ფენომენი, ხოლო ენა წარმოადგენს ერთდროულად ამ ფენომენის საფუძველს, მედიუმს და შეიძლება ითქვას, წიადს“ (ლებანიძე 2004: 37–38).

ლინგვისტიკის ევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე კვლევის სხვადასხვა მიმართულება იყო აქცენტირებული. თანამედროვე ენათმეცნიერული აზროვნება ენის პრაგმატიკულ ასპექტზე და კომუნიკაციურ პარადიგმაზეა ორიენტირებული. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ უგულებელყოფილია რომელიმე წინამორბედი პარადიგმა. კომუნიკაციის ცნების შინაარსის თანამედროვე გაგება, კომუნიკაციური პარადიგმა, თავისი არსიდან, შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ყველა მანამდე არსებული პარადიგმის მონაპოვარის შენარჩუნებას. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება ჭეშმარიტად ანთროპოცენტრისტული ლინგვისტიკის აგება.

გ. ნებიერიძის მოსაზრებით, დღეისათვის ცნობილ სხვადასხვა ლინგვისტურ მიმდინარეობებს შორის არსებული მკვეთრი კონტრასტის მიუხედავად, მაინც ვერ ვიტყვით, რომ მათ ჩინური კედელი ამორებით ერთმანეთს. შესაძლებელია ე.წ. ოქროს შუალედის მოძებნა და ისეთი ლინგვისტური თეორიის შექმნა, რომელიც გააერთიანებს განსხვავებულ ლინგვისტურ მიმდინარეობათა მონაპოვარს (ნებიერიძე 2003: 7). საზოგადოდ, სხვადასხვა ლინგვისტურმა თეორიამ შესაძლოა თავისი წვლილი შეიტანოს ენობრივი ნიმუშების შესწავლის საქმეში. ერთი და იგივე მონაცემების მიმართ სხვადასხვა მიდგომის გამოყენების შემთხვევაში თვალსაჩინო ხდება მოცემული ნიმუშის სხვადასხვა ასპექტი, რაც მისი უფრო სრულფასოვნად შეფასების შესაძლებლობას ქმნის (ზვიადაძე 2005: 7).

სწორედ ამიტომ, დღეს თანაარსებობს და მუდმივ დიალოგშია ენის არსისა და სტრუქტურის ხედვის ორი ძირითადი პარადიგმა: სოსიურისეული სემიოტიკური კონცეფცია და ჰუმბოლდტისეული ენერგეტული კონცეფცია. პირველი მათგანი ენის ნიშნობრივ ბუნებაზეა ორიენტირებული, რაც თავისთავად გულისხმობს კომუნიკაციას, რადგან ნიშანი არსებობს იმისათვის, რომ განსაზღვრული ფუნქცია შეასრულოს კომუნიკაციის პროცესში, ხოლო კომუნიკაცია ნიშნობრიობის გარეშე შეუძლებელია.

ენერგეტიკული („ენერჯია“ – მოქმედება, ძალა) ხედვა კი ენას უპირველესად აღიქვამს, როგორც შემოქმედებით პროცესს, სამყაროს განუმეორებელი ხატის შემქმნელ ფენომენს. დასახელებული ორი პარადიგმა – შემოქმედებითი პროცესულობა და კომუნიკაციურობა არის ენის ორი ისეთი იპოსტასი, რომლებიც არსებითად გულისხმობენ და ონტოლოგიურად ფარავენ ერთმანეთს (ლებანიძე 2006: 233).

ტრიადა – ენა, აზროვნება, კულტურა – გზას უხსნის კვლევის მრავალფეროვან მიმართულებებს. თუ ტრადიციულად ენის, აზროვნებისა და კულტურის ურთიერთკავშირი, უპირატესად, განიხილებოდა, როგორც მნიშვნელოვანი, მაგრამ რიგითი ფაქტი, ამჟამად ეს მიმართება საგანგებო შესწავლის საგანს წარმოადგენს. ჯერ კიდევ სოსიური მიუთითებდა ენათმეცნიერების მჭიდრო კავშირზე სხვა მეცნიერებებთან, რომლებიც ზოგჯერ მას დაესესხებიან, ზოგჯერ კი პირიქით, მიაწვდიან მასალას (სოსიური 2002: 18). ხოლო ა. ჩიქობავა გასული საუკუნის 60–იანი წლების ბოლოს აღნიშნავდა, რომ ლინგვისტთა ძირითად ამოცანად რჩება ენის შესწავლა სათანადო ისტორიულ სინამდვილესთან, კერძოდ, კულტურის ისტორიასთან კავშირში, ერთის მხრივ, და აზრის კატეგორიასთან და აზროვნების ისტორიასთან მიმართებაში, მეორე მხრივ (ჩიქობავა 1967: 6). ფაქტობრივად, აღნიშნული მოსაზრება ასახავს თანამედროვე ანთროპოცენტრისტული ლინგვისტიკის პრინციპულ ამოცანებს – შეისწავლოს კულტურისა და ენის დიალექტიკური ურთიერთკავშირი სინქრონიასა და დიაქრონიაში, გაიაზროს კულტურა, როგორც ენის არსებობის უმაღლესი ფორმა, აზროვნების სტრუქტურათა წარმომქმნელი ფენომენი, რომელიც, ერთდროულად, ენის შემოქმედიც არის და პროდუქტიც.

ენა ყოველთვის აღიქმებოდა, როგორც ამა თუ იმ ეთნოსის სპეციფიკის ყველაზე მკაფიოდ განმსაზღვრელი ფაქტორი. პრიმორდიალისტებს (ი.გ. ფრიხტე, ი.გ. ჰერდერი) შეუძლებლად მიაჩნიათ ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნება ეთნოსთან ტრადიციულად დაკავშირებული ენის გარეშე. მაგალითისათვის ასახელებენ ერთდროულად გამქრალ ენებსა და ეთნოსებს (რომაელები, შუმერები და ა.შ.) (ფიშმანი 2005: 116–119). ენისა და ეთნიკურობის ურთიერთკავშირი ერთგვარ ხელშეუხებელ

materia sancta–დ მიიჩნევა: ისინი, ვინც ერთ ენაზე ლაპარაკობენ, თვით ბუნების უხილავი და უამრავი ძაფით იყვნიენ ერთმანეთთან დაკავშირებული ჯერ კიდევ მანამდე, სანამ შეიქმნებოდა ადამიანური ხელოვნება. მათ ერთმანეთის ესმით და შესწევთ უნარი, შემდგომშიც განავითარონ ეს ურთიერთგაგება; ისინი თავიანთი არსით ქმნიან ერთიანსა და განუყოფელ მთელს... შინაგანი საზღვრით (ენით), რომელსაც თვით ადამიანის სულიერი ბუნება ავლევს, ხდება საცხოვრებელ ადგილზე ეთნიკური საზღვრის მონიშვნა და ცალკეული ინდივიდები ქმნიან ხალხს არა იმის გამო, რომ ისინი გარკვეულ მთებსა და მდინარეებს შორის ცხოვრობენ, არამედ, პირიქით, იმიტომ, რომ ისინი ცხოვრობენ ერთად. ბუნების ბევრად უფრო მაღალი კანონის თანახმად, ისინი უკვე წარმოადგენენ ხალხს (ჯოზეფი 2005: 19).

ენის, აზროვნებისა და კულტურის, ენისა და ადამიანის ურთიერთმიმართების პრობლემათა აქცენტირება XIX საუკუნიდან იღებს სათავეს. აღნიშნული საკითხები დამუშავებულია ვ. ფონ ჰუმბოლდტის, ე. ბენვენისტის, გ. შტეინტალის, ა.ა. პოტენიასა და სხვა ენათმეცნიერთა შრომებში. თუმცა XX საუკუნის პირველ ნახევარში ენათმეცნიერებაში დომინირებს იმანენტიალური პრინციპი და, როგორც უ.კ. ვოლოშინი მიუთითებს, ლინგვისტიკა იკვლევს „მდუმარე ადამიანს“ (ენობრივი სისტემისაგან იზოლირებულს) (ვოლოშინი 2000: 20). გ. ოსტროფი და კ. ბრუგმანიც აღნიშნავენ, რომ ენათმეცნიერები დიდი გატაცებითა და მონდომებით იკვლევდნენ ენებს, მაგრამ ნაკლებად – მოლაპარაკე ადამიანს (ოსტროფი, ბრუგმანი 1960: 153). ენისა და ადამიანის კომპლექსური ანალიზის, ე.ი. „მეტყველი ადამიანის“ შესწავლის აუცილებლობის გაცნობიერების შედეგად კი კვლავ წინა პლანზე გადმოინაცვლებს ამ უაღრესად რთული პრობლემის ყველა ასპექტი. ანთროპოცენტრისტული პარადიგმის დამკვიდრებასთან ერთად იცვლება ლინგვისტიკის კვლევის ობიექტის ბუნება: ყურადღების ცენტრშია არა იზოლირებული კონსტრუქტი, არამედ მრავალმხრივი ენობრივი პიროვნება და მისი კომუნიკაციური ქმედება.

ენობრივი ანთროპოცენტრიალური კონცეფცია თანამედროვე ლინგვისტიკის წამყვანი პრინციპია. მოცემული პარადიგმის ფარგლებში ადამიანი სამყაროს შეიმეცნებს

საკუთარი პიროვნებისა და თეორიულ-პრაქტიკული მოღვაწეობის საფუძვლიანი გააზრების ფონზე, რაც შესაძლებლობას აძლევს თავის ცნობიერებაში დამოუკიდებლად შექმნას გარემომცველი რეალობის შემადგენელი საგნებისა და მოვლენების ანთროპოცენტრისტული ჰარმონია. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს ადამიანის სულიერ არსს, ქმედების მოტივებსა და ღირებულებათა იერარქიას (მასლოვა 2001: 6–7).

ანთროპოცენტრისტული პარადიგმა ზემოთ დასახელებულ პრობლემებს რამდენიმე ასპექტის გათვალისწინებით იკვლევს. პირველყოვლისა, ენა მოიაზრება, როგორც ადამიანის სარკე. ამგვარი მიდგომის საფუძველია სამყაროს ენისმიერი ხატის კონცეფცია, ხოლო უმთავრესი ამოცანა – შეისწავლოს როგორ ასახავს ადამიანი ენაში საკუთარ თავს. მეორე მიმართულება კონცენტრირებას ახდენს ადამიანის მიმართებაზე საკომუნიკაციო პროცესთან. მესამე მიდგომა იკვლევს ენის როლს შემეცნებით პროცესებსა და კოგნიტურ ორგანიზაციაში. დაბოლოს, მეოთხე – ინტრასუბიექტურობის კონცეფცია მიზნად ისახავს, გაარკვიოს, რა სახით არსებობს ენა ადამიანში. ეს უკანასკნელი ეყრდნობა ი.ა. ბოდუენ დე კურტენეს მოსაზრებას, რომლის მიხედვით ენა არსებობს მხოლოდ იმ ინდივიდთა გონებაში, სულსა და ფსიქიკაში, რომლებიც ქმნიან მოცემულ ენობრივ საზოგადოებას (ბოდუენ დე კურტენე 1963: 71).

ენა უაღრესად რთული და მრავალგანზომილებიანი ფენომენია. მისი განხილვა შესაძლებელია სხვადასხვა თვალსაზრისით: 1. ინდივიდის ენა; 2. ენა როგორც ენათა ოჯახის წევრი; 3. ენა როგორც სტრუქტურა; 4. ენა როგორც სისტემა; 5. ენა როგორც ტიპი და სპეციფიკა; 6. ენა როგორც კომპიუტერი; 7. ენა როგორც კონცეპტუალური და ღირებულებითი სივრცე. აქედან გამომდინარე, ენა ინდივიდისა და ერის რთული კოგნიტური ქმედების შედეგია. იგი სისტემაც არის და ანტისისტემაც, ქმედებაც და ამ ქმედების პროდუქტიც, სულიც და მატერიაც, სტიქიურად განვითარებადი ობიექტიც და მოწესრიგებული, თვითრეგულირებადი ფენომენიც. შეუძლებელია ენის არსში წვდომა თითოეული დასახელებული ასპექტის გათვალისწინების გარეშე. ფაქტობრივად, ენა წარმოადგენს კულტურის პროდუქტს, მის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს და, ამასთან,

მისი არსებობის განმსაზღვრელ უმთავრეს წინაპირობას, როგორც კულტურული კოდების ფორმირების განმაპირობებელი ფაქტორი (მასლოვა 2001: 6).

მაშასადამე, ენათმეცნიერება კულტურულ–ისტორიული შინაარსით არის განმსჭვალული, რადგან მისი კვლევის ობიექტი – ენა – კულტურის განმსაზღვრელი ფაქტორი, მისი საფუძველი და პროდუქტია. კულტურას გააჩნია კომუნიკაციურ–მოღვაწეობითი, ღირებულებითი და სიმბოლური ხასიათი. ენა მარტო მჭიდრო კავშირში კი არ არის მასთან, არამედ ყალიბდება, ვითარდება მის წიაღში და, ამასთან, წარმოაჩენს მას (მასლოვა 2001: 9). ამა თუ იმ ერის კულტურული თავისებურებები ასახულია მის უნიკალურ ენაში, რომელიც სპეციფიკურად ირეკლავს გარემომცველ სამყაროს და ადამიანს. უ.კ. ვოლოშინი ხატოვნად მიუთითებს, რომ კულტურა, უპირატესად, მდუმარე ფენომენია, რომლის ამეტყველების ერთადერთ საშუალებას ენა წარმოადგენს (ვოლოშინი 2000: 5).

ზემოთ აღნიშნული პრობლემატიკის სიღრმისეული ანალიზი, უმთავრესად, ენობრივი პიროვნებისა და კონცეპტის ცნებებს ეყრდნობა.

ანთროპოცენტრისტული ლინგვისტური პრობლემატიკის ფოკუსი – ენობრივი პიროვნება – მრავალგანზომილებიანია: ფიზიკური, სოციალური, ინტელექტუალური, ემოციური და მეტყველი. ენობრივი პიროვნება საკომუნიკაციო პროცესში ერთვება სხვადასხვა ასპექტით ამ პროცესისათვის ნიშანდობლივი სტატეგიისა და ტაქტიკის, კომუნიკანტთა სოციალურ–ფსიქოლოგიური როლებისა და ინფორმაციის სოციოკულტურული შინაარსის შესაბამისად.

თანამედროვეობისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ადამიანის, როგორც მეტყველი არსების – ჰომო ლოქუენს – განსაზღვრას. ამ განსაზღვრების თანახმად ენა უნდა გავიგოთ, როგორც ადამიანურობის ფენომენის ფუძემდებლური განზომილება. ადამიანი მეტყველებს იმდენად, რამდენადაც ჩართულია ყოვლისმომცველი ფენომენის – კომუნიკაციის სტრუქტურაში. იგი კომუნიკაციას ამყარებს საკუთარ თავთან და გარესამყაროსთან. მაშასადამე, ენის სისტემა განპირობებულია ადამიანური სინამდვილის შინაგანად კომუნიკაციური ბუნებით.

არსებობს სხვადასხვა მიდგომა ენობრივი პროცესების საკითხის შესწავლისადმი. პირველყოვლისა, მოცემული ტერმინი გულისხმობს კონკრეტულ ენაზე მეტყველ ადამიანს, რომელიც ფლობს სამეტყველო ქმედების უნარს. მაშასადამე, საქმე გვაქვს მეტყველ პროცესებთან. გარდა ამისა, ტერმინი უკავშირდება ადამიანის ვერბალური ქცევის თავისებურებათა ერთობლიობას, რომელზე დაყრდნობითაც ადამიანი ენას იყენებს, როგორც საკომუნიკაციო საშუალებას, და წარმოგვიდგება, როგორც საკომუნიკაციო აქტის მონაწილე. დაბოლოს, ენობრივი პროცესება აღიქმება, როგორც კონკრეტული ენის მატარებლის ფუნდამენტური ნაციონალურ-კულტურული პროტოტიპი, რომელიც, ძირითადად, ენის ლექსიკურ ფონდშია ფიქსირებული და ეყრდნობა მსოფლმხედველობრივ სისტემებსა და ღირებულებით პრიორიტეტებს. ამ შემთხვევაში ჩვენ წინაშე ენობრივი პროცესების ეთნოსემანტიკური ასპექტია.

შესიტყვება „ენობრივი პროცესება“ პირველად ი. კარაულოვმა გამოიყენა: ენობრივი პროცესება არ წარმოადგენს ზოგადად პროცესების კერძო-ასპექტურ კორელატს, როგორცაა, მაგალითად, სამართლებრივი, ეკონომიკური, თუ ეთიკური პროცესება. ენობრივი პროცესება არის პროცესების ცნების გაღრმავება-განვითარება, მისი გამდიდრება დამატებითი შინაარსით. ენობრივ პროცესებაში ი. კარაულოვი გულისხმობს იმ ადამიანური უნარებისა და მახასიათებლების ერთობლიობას, რომლებიც მეტყველების ნაწარმოებთა (ტექსტების) პროდუცირებასა და აღქმას განაპირობებს. ტექსტები კი განსხვავდებიან სტრუქტურულ-ენობრივი სირთულის ხარისხით, სინამდვილის ასახვის სიღრმითა და სიზუსტით, განსაზღვრული მიზანმიმართულებით (კარაულოვი 1989: 3).

ენობრივი პროცესების ცნება აღემატება ენობრივი ინდივიდის ცნებას. მისი სტრუქტურა აგებულია სამი დონით: ვერბალურ-სემანტიკური დონით, რომელიც გულისხმობს ენის მატარებლის მიერ ბუნებრივი ენის სათანადოდ ფლობას; კოგნიტური დონით, რომელიც ემყარება ცნებების, იდეებისა და კონცეპტების ერთობლიობის სახით წარმოდგენილ, ღირებულებათა იერარქიის ამსახველ, მოწესრიგებულ და სისტემატიზებულ სამყაროს ხატს; პრაგმატიკული დონით, რომელიც უკავშირდება

მიზნებს, მოტივებს, ინტერესებს, განწყობებსა და ინტენციებს (კარაულოვი 1987: 214–215).

რაც შეეხება კონცეპტს, იგი განისაზღვრება, როგორც ადამიანის ცნობიერებაში კონცენტრირებული კულტურა, რომელიც წარმოადგენს მენტალური სამყაროს განუყოფელ ნაწილს. კონცეპტი სხვადასხვა მოცულობისა და ფუნქციის მქონე მენტალური ფენომენია (გაფაროვა, კილდიბეკოვა 2003: 32), ადამიანის ცნობიერებაში ფიქსირებული აზრი (ბოლდირევი 2000: 22). კონცეპტის მრავალფეროვანი განმარტებები ცნების განსაკუთრებულ სირთულესა და მრავალგანზომილებიანობაზე მეტყველებს. ამ ფენომენის შესწავლისას ოთხი ძირითადი მიდგომა იპყრობს ყურადღებას: 1. კოგნიტური მიდგომა, რომელიც კონცეპტის მენტალური ბუნების აქცენტირებას ახდენს და უზრუნველყოფს მნიშვნელობის მენტალური არსის განსაზღვრას (ფრუმკინა 1995: 88–89). ფაქტობრივად, კონცეპტი სინამდვილის საგანთა შორის არსებული კავშირების მენტალური რეპრეზენტაციაა (ბაბუშკინი 1996: 16); 2. ლინგვისტური მიდგომა, რომელიც კონცეპტის შინაარსს ენობრივი ნიშნის სემანტიკასთან ათანაბრებს (ჯაკენდოფი 1992: 195). მოცემულ შემთხვევაში მკვლევარის ამოცანას ამა თუ იმ კონცეპტის ვერბალიზაციის მეთოდთა დადგენა წარმოადგენს; 3. ფსიქოლოგიური მიდგომა, რომელიც გამოკვეთს კონცეპტის ფსიქოფიზიოლოგიურ ბუნებას. ამ უკანასკნელის საფუძველია კონცეპტის შინაარსის განმსაზღვრელი, გარემომცველი სამყაროს შესახებ ცოდნის ამსახველი ერთგვარი მგრძნობელობითი ასპექტი (პოპოვა, სტერნინი 2001: 57); 4. კულტუროლოგიური მიდგომა, რომლის მიხედვით კონცეპტის სახით კულტურა ადამიანის მენტალური სამყაროს კომპონენტი ხდება. ამასთან, კონცეპტის საშუალებით ადამიანი თავად გვევლინება კულტურის განუყოფელ ნაწილად და ზოგ შემთხვევაში გავლენას ახდენს მასზე (სტეპანოვი 2000: 43). კულტუროლოგიურ ასპექტს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, როცა კონცეპტის ფენომენს გავიზრებთ, როგორც სამყაროს ენისმიერი ხატის ბაზისურ ერთეულს. კონცეპტი უზრუნველყოფს სიტყვის ჩართულობა–ფუნქციობას სამყაროს ენისმიერ

ხატში და მის ურთიერთქმედებას სხვა ლექსიკურ ერთეულებთან, რომლებიც შეადგენენ კონცეპტუალურ ველს და, ზოგადად, კონცეპტუალურ სივრცეს (ივანოვა 2002: 65).

ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტის გაგება არ ემთხვევა ცნების ტრადიციულ განმარტებას, რომელიც საგნის არსებით ნიშანთა ერთობლიობას გულისხმობს. კონცეპტის თანამედროვე ინტერპრეტაცია ჰუმანიტარულ აზროვნებაში სისტემურ-სტრუქტურული პარადიგმის ანთროპოცენტრისტული პარადიგმით ჩანაცვლების ერთ-ერთი შედეგია. კონცეპტი უკვე სულიერი ღირებულების ცნებად მიიჩნევა.

კონცეპტი ყოფით-ფილოსოფიური (უპირატესად ეთნიკური) ცნობიერების კულტურულად ნიშნადი, აქსიოლოგიურად შეფერილი და მსოფლმხედველობრივად ორიენტირებული ერთეულია. როგორც მენტალური ფენომენი, კონცეპტი იძლევა არა მარტო გააზრების, არამედ განცდის შესაძლებლობასაც. მის მიმართ ვლინდება სიმპათიისა და ანტიპათიის ემოციური დამოკიდებულება (სტეპანოვი 1997: 41).

კონცეპტი წარმოადგენს უფრო გლობალური სისტემის – დომენის ნაწილს. დომენი, თავის მხრივ, ქმნის გარკვეულ მაკროსტრუქტურას (რახილინა 2000: 3). მკვლევარები საუბრობენ სუპერკონცეპტებზეც, რომლებიც ყველაზე აბსტრაქტულ გლობალურ მნიშვნელობებს ატარებენ და მოიცავენ გარემომცველი სამყაროს საგნებისა და მოვლენების შესახებ არსებული ცოდნის კომპლექსს (გაფაროვა, კილდიბეკოვა 1998: 85). კატეგორიულ აპარატში ხშირად იკვეთება ისეთი ცნებებიც, როგორიცაა მიკროკონცეპტები და ბაზისური კონცეპტები (უბიიკო 1998: 4). შეიძლება ითქვას, რომ კონცეპტი თავისი მრავალფეროვანი სახეებით ქმნის ფუნქციურ-სემანტიკური ველის კოგნიტურ ანალოგს ბირთვითა და პერიფერიებით. ბირთვი წარმოადგენს ყველაზე მყარ, ლოგიკური თვალსაზრისით ყველაზე მკაფიოდ ორგანიზებულ არეალს, რომელიც შეიცავს დენოტატის კონკრეტულ-ხატოვან მახასიათებლებს. ცენტრიდან პერიფერიების მიმართულებით კოგნიტურ მახასიათებელთა აბსტრაქტულობის ხარისხი იზრდება (ბერესტნევი 1997: 48, სერგეევა 2001: 151).

მკვლევართა ნაწილი კონცეპტს ცნებით, ღირებულებით და ხატოვან კომპონენტებად ყოფს (ვორკაჩევი 2004: 45; კარასიკი 2002: 129; სლიშკინი 2000: 12-13).

ცნებითი, ანუ ფაქტუალური კომპონენტი შეესატყვისება კონცეპტის ბირთვულ არეალს, რომელიც ასახავს მის თვისობრივ-დეფინიციურ სტრუქტურას. აღნიშნული კომპონენტი თავისი ფორმირების პროცესში ვერბალიზდება ლექსიკური ერთეულებით და მდიდრდება ასოციაციებით. ღირებულებით ელემენტს კონცეპტის კულტუროლოგიური არსი უდევს საფუძვლად. იგი უაღრესად აქტუალური ინფორმაციის მატარებელია, რადგან უშუალოდ განსაზღვრავს აქსიოლოგიური თვალსაზრისით რამდენად მნიშვნელოვანია ესა თუ ის კონცეპტი კონკრეტული ნაციონალურ-კულტურული საზოგადოებისათვის. რაც შეეხება ხატოვან კომპონენტს, მას ცნობიერებაში ასახული ასოციაციური მახასიათებლები ქმნის.

მაშასადამე, კონცეპტი განისაზღვრება, როგორც რთული, მრავალგანზომილებიანი მენტალური ერთეული, რომელიც მოიცავს ლინგვისტურ, კოგნიტურ და კულტუროლოგიურ ასპექტებს და გამოირჩევა ნაციონალური სპეციფიკით. კონცეპტის, როგორც ლინგვოკულტუროლოგიური ნიშნით მარკირებული მენტალური ფენომენის შესწავლის აუცილებლობის აღიარება ლინგვისტური ანთროპოცენტრიზმის ფორმირების გზაზე გადადგმული კანონზომიერი ნაბიჯია. კონცეპტში დომინირებს ენობრივი პიროვნების ეთნოსემანტიკური ასპექტი – განსაზღვრულ ენაზე მოსაუბრე პიროვნების ფუნდამენტური ნაციონალურ-კულტურული პროტოტიპი, რომელიც კოდირებულია ბუნებრივი ენის სემანტიკურ სისტემაში.

ენობრივი პიროვნებისა და კონცეპტის ბაზისური კატეგორიები უშუალოდ ასახავენ კონკრეტულ ენაზე მოსაუბრე, განზოგადებული სახით წარმოდგენილი პიროვნების მენტალობას და წარმოადგენენ ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის ეფექტურ ინსტრუმენტს „მეტყველი პიროვნების“ პროტოტიპული ხატის შესაქმნელად.

ამრიგად, ანთროპოცენტრისტული პარადიგმა კონცენტრირდება ადამიანზე, რომლის მთავარ მაკონსტიტუირებელ თვისებად წარმოგვიდგება ენა.

შეუძლებელია ენისაგან, მეტყველების პროდუცირებისა და აღქმის ენობრივი შესაძლებლობებისაგან იზოლირებულად განვიხილოთ ადამიანის ინტელექტი. საზოგადოდ, ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართების საკითხი ყოველთვის

წარმოადგენდა მკვლევართა მძლავრი ინტერესის ობიექტს. ვ. ფონ ჰუმბოლდტი ხაზგასმით მიუთითებს ენისა და აზროვნების დროში თანადროულობასა და განუყოფელობაზე. ხალხის ენა არის მისი გონება და ხალხის გონი არის მისი ენა. ერის სულიერი თვისებები და ენა იმდენად დაკავშირებულია ერთმანეთთან, რომ თუ არის ერთი, მაშინ აუცილებლად მეორეც უნდა იყოს. ენა თითქოს ერის სულის გამომხატველია. ენა და სულიერი ძალები ერთად ვითარდებიან და ქმნიან ინტელექტუალური შემოქმედების მთლიანობას. ენა იგივე მსოფლხედვაა. ენა, როგორც მსოფლხედვა, მთელ სინამდვილეს და მის ცალკეულ მოვლენებს თავისი ხედვით აშუქებს. ამიტომ ყოველ ენაში სამყარო თავისებურად აისახება. ენათა სხვაობა არის არა სხვაობა ბგერადობისა და ნიშნებისა, არამედ მსოფლხედვისა, რაც ყოველგვარი გამოკვლევის საფუძველი და საბოლოო მიზანი უნდა გახდეს (ჰუმბოლდტი 1969: 97).

ვ. ფონ ჰუმბოლდტის ნააზრევს მეტ დინამიკას სძენენ ე. სეპირი და ბ. უორფი. ისინი მიიჩნევენ, რომ ენობრივი მოდელები ადამიანს არაცნობიერად უბიძგებს სინამდვილის უნიკალური აღქმა-ინტერპრეტაციისაკენ. ლინგვისტური დეტერმინიზმის სახელით ცნობილი სეპირ-უორფის ჰიპოთეზის თანახმად ენა და მისი სტრუქტურა განსაზღვრავს ამ ენაზე მოსაუბრე ადამიანის აზროვნების თავისებურებებს. სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანები განსხვავებულად აზროვნებენ და აღიქვამენ რეალობას, რადგან ერთ ენაში კოდირებული კატეგორიები არ არის ხელმისაწვდომი მეორე ენისათვის და პირიქით. ენა განაპირობებს სამყაროს აღქმისა და ინტერპრეტაციის ჩვენეულ არჩევანს (სეპირი 2001: 261). ადამიანი გარემომცველ რეალობას ანაწევრებს დედაენის მიერ ნაკარნახევი კანონების შესაბამისად (უორფი 1960: 174). ამასთან, მკვლევარები ენას მიიჩნევენ კულტურის განვითარებისათვის აუცილებელ წინაპირობად, რომელიც, თავის მხრივ, კულტურის წიაღში აღმოცენდა და მჭიდრო კავშირშია მასთან (სეპირი 2001: 223).

სეპირ-უორფის კონცეფციას იზიარებს ა. ვეჟბიკაია, რომელიც მიუთითებს, რომ ყოველი ენა პიროვნული და საზოგადოებრივი გამოცდილების გადმოცემის უნიკალური საშუალებაა და კულტურის რეალურობის საუკეთესო მტკიცებულებას წარმოადგენს

(ვეუბიკაია 1999: 289). ხოლო ენობრივ მონაცემებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა აზროვნების ფუნდამენტური მოდელების გამოსავლენად. ნაციონალურ-სპეციფიკური კონცეპტებით აგებული სხვადასხვა ენის მიერ წარმოდგენილი სამყაროს ხედვის სისტემები ურთიერთშედარებადია იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია მათი თარგმნა სემანტიკური პრიმიტივების ენაზე (ibid. 1997: 291–292).

ენა ინტერპრეტატორია, მისი უმთავრესი ფუნქცია სამყაროს ქაოსური მთლიანობის ადამიანური ცნობიერების დონეზე გარდასახვაა. ქაოტური სამყარო ცვალებადი და მოუხელთებელია. სწორედ იმიტომ არსებობს ადამიანში ენის, როგორც სტრუქტურული მედუმი საჭიროება, რომ სამყარო მისთვის მოწესრიგებული, ჰარმონიული და იოლად აღქმადი გახდეს. ენა აყალიბებს აზრს ინტელექტუალური შემოქმედების შედეგად, ბგერის მეშვეობით ახდენს მის რეალიზებას მეტყველებაში და ხდის აღქმისათვის მისაღებს. ამას განაპირობებს ინტელექტუალური შემოქმედებისა და ენის მთლიანობა. ენა უნდა გავიგოთ როგორც მუდმივად შემოქმედი, დინამიური ორგანიზმი, რომელშიც დადგენილია შიდასისტემური კანონები.

ნ. ჩომსკი ენათმეცნიერებას აზროვნების შემსწავლელ დარგად მიიჩნევს და მის მთავარ ამოცანად ასახელებს ენობრივი მოქმედების საფუძვლების – აზროვნებითი პროცესების მექანიზმის განსაზღვრას. მისი კონცეფცია აგებულია ენისა და აზროვნებითი პროცესების სამეტყველო აქტის წარმომშობ მექანიზმთა გაიგივებაზე. ჩომსკი სოსიურის დიქტომიურ ტერმინებს – ენა (სინტაგმურ კონსტრუქციათა სისტემა) და მეტყველება (ტექსტი, რომელიც ამ სისტემის რეალიზებას, აქტუალიზაციას ახდენს) – ცვლის ტერმინებით: კომპეტენცია (ენის იდეალური ცოდნა ადრესანტისა და ადრესატის მიერ) და პერფორმაცია (ენის რეალური გამოყენება კონკრეტულ სიტუაციებში). ამგვარად, ჩომსკი სოსიურის მიერ შემოთავაზებულ კონცეფციას ენაზე, როგორც ერთეულთა სისტემატიზირებულ ინვენტარზე, უპირისპირებს ფსიქოლოგიურ მიდგომას და უბრუნდება ჰუმბოლდტისეულ კონცეფციას ენის, როგორც წარმომშობ მექანიზმთა სისტემის შესახებ (ჩომსკი 1965: 4).

ჩომსკი კონცეპტუალურ საფუძველს უყრის კოგნიტურ მიდგომას ლინგვისტურ კვლევებში და ქმნის ანალიზის ტრანსფორმაციულ, წარმომშობ მეთოდს. ენა განიხილება არა როგორც ერთეულებისა და მათი კლასების კრებული, არამედ როგორც ენობრივ ერთეულთა წარმომქმნელი თავისებური მექანიზმი. ენობრივი ქმედება, როგორც წარმომქმნელი მექანიზმი, მასალიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ მისი მოდელირება ხდება დედუქციურად, რაც იმას ნიშნავს, რომ ხდება არა ტექსტის სეგმენტაცია, არამედ სინთეზი (კირვალიძე 2008: 63).

საზოგადოდ, კოგნიტივიზმი, როგორც კერძო დისციპლინა, შეისწავლის ინდივიდის შემეცნებით მოღვაწეობას, მენტალურ პროცესებს, ცოდნის რეპრეზენტაციისა და ინფორმაციის დამუშავების სისტემებს. ჰ. გარდნერი და დ.პ. ვულფი კოგნიტივიზმის პრინციპულ ამოცანად მენტალური რეპრეზენტაციის, კოგნიტური პროცესების სტრატეგიებისა და შემეცნებითი შესაძლებლობების კვლევას მიიჩნევენ. ამასთან, ხაზგასმით მიუთითებენ განსაზღვრული კულტურული სპეციფიკის მნიშვნელოვან როლზე შემეცნებითი პროცესების განვითარებაში (გარდნერი, ვულფი 1987: 117). კ. ნელსონი მიიჩნევს, რომ კოგნიტივიზმმა უნდა შეისწავლის არა მარტო პროცედურები, რომლებიც უკავშირდება ცოდნის შექმნას, გამოყენებას, შენახვას, გადაცემასა და დამუშავებას, არამედ უნდა შექმნას ცნობიერების კოგნიტური მოდელების თეორიაც. გარემომცველი რეალობის მოვლენათა მენტალური რეპრეზენტაცია (ცოდნა-წარმოდგენა აღნიშნული მოვლენების შესახებ, დამოკიდებულება მათ მიმართ) განიხილება, როგორც განსაზღვრული სიმბოლური სივრცე, რომელშიც იშლება და ვითარდება სააზროვნო პროცესები (ნელსონი 1986: 2).

კოგნიტური მეცნიერების კვლევის უმთავრეს საგნად გ. ჰარმანი მიიჩნევს ენას, როგორც აზროვნების ძირითად წყაროს (ჰარმანი 1988: 259). კოგნიტური ლინგვისტიკა, როგორც დამოუკიდებელი დარგი, სწორედ კოგნიტივიზმის წიაღში ჩაისახა. თანამედროვე კოგნიტური ლინგვისტიკის განვითარება დაკავშირებულია ისეთ მიღწევებთან, როგორცაა: ჩ. ფილმორის ფრეიმული სემანტიკა (ფილმორი 1982), ჯ. ლაკოფისა და მ. ჯონსონის მეტაფორისა და მეტონიმიის თეორიები (ლაკოფი, ჯონსონი

1980), რ. ლანგაკერის კოგნიტური გრამატიკა (ლანგაკერი 1991) და ჯ. ფოკონიეს მენტალური სივრცეების თეორია (ფოკონიე 1985).

კოგნიტური ლინგვისტიკა ენათა სიმრავლეს განსხვავებული კულტურის წარმომადგენელთა მიერ გარემომცველი სინამდვილის კონტრასტული ინტერპრეტაციებით ხსნის. განსაზღვრული ენობრივი სისტემის ჩამოყალიბებისათვის მთავარ საფუძველს კონკრეტული კულტურული არეალი და მსოფლხედვა ქმნის (პალმერი 1996; პალმერი, არინი 1999; პალმერი, ვუდმანი 1999). რ. ლანგაკერი მიუთითებს, რომ კოგნიტური ლინგვისტიკის ჩამოყალიბება კულტუროლოგიური ლინგვისტიკისაკენ შემობრუნების მაცნეა (ლანგაკერი 1994: 31).

ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართება ენისა და კულტურის მჭიდრო ურთიერთკავშირზე მეტყველებს, რადგან კულტურის წარმოშობისა და არსებობის სათავე ადამიანის აზროვნებაა. არ არსებობს კულტურა ენის გარეშე. ენა კულტურის საერთო არსებობის წესია, მისი პირობაა. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ხალხი, რომელსაც არ ექნებოდა პოეტური ენა, მაგრამ ეყოლებოდა დიდი პოეტები, არ ექნებოდა მოქნილი ენა, მაგრამ ეყოლებოდა უდიდესი პროზაიკოსები, არ ექნებოდა ზუსტი ენა, მაგრამ ეყოლებოდა დიდი მოაზროვნენი (მამაშვილი et al. 1999: 172-173). ყოველივე ზემოთ აღნიშნული ენის კულტურულ-შემოქმედებით ფუნქციაზე მიუთითებს.

ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების საკითხი მკვლევართა სერიოზული დისკუსიის საგანსაც წარმოადგენს. მკვლევართა ნაწილი ენას კულტურის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს, ნაწილი – კულტურის გამოხატვის ფორმად და არა კულტურის ელემენტად. მესამე პოზიციის თანახმად კი ენა არც კულტურის ასახვის ფორმაა და არც მისი კომპონენტი.

ე. სეპირის თვალსაზრისით, კულტურა არის ის, რასაც ქმნის და, რაზეც ფიქრობს კონკრეტული საზოგადოება, ხოლო ენა აღნიშნული საზოგადოების აზროვნებას განსაზღვრავს (სეპირი 1993: 193).

ნ.ი. ტოლსტოი მიიჩნევს, რომ ენა კულტურის კომპონენტად უნდა მოვიაზროთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა საუბარია სალიტერატურო, ან ფოლკლორის ენაზე. თუმცა

ენა, იმავდროულად, ავტონომიურობასაც ინარჩუნებს კულტურასთან მიმართებაში და შესაძლებელია იგი იზოლირებული სახით განვიხილოთ, ან შევადაროთ კულტურას, როგორც დამოუკიდებელი, თანასწორუფლებიანი ფენომენი (ტოლსტოი 1995: 16).

ენა ინდივიდსა და გარესამყაროს შორის არსებული ერთგვარი შუალედური რგოლია, რომელიც ასახავს ერის მატერიალურ და სულიერ კულტურას. ნებისმიერი კულტურა თავისი არსითა და ბუნებით ნაციონალურია, რასაც ცხადყოფს თითოეული ენის სისტემაში წარმოდგენილი გარემომცველი სინამდვილის უნიკალური ინტერპრეტაცია. ენისათვის დამახასიათებელია სპეციფიკური შინაგანი ფორმა, რომელიც ეროვნული სულის გამოხატულებაა. აქვე საჭიროა აღინიშნოს ენასა და კულტურას შორის არსებული ურთიერთგანმაპირობებელი ბილატერალურობა. ენაში, როგორც ლინგვოკულტუროლოგიურ ფენომენში, კონცენტრირებულია კულტურის საგანძური. მეორე მხრივ, ნებისმიერი ნაციონალური კულტურა მჭიდრო კავშირშია კონკრეტული ენის სპეციფიკასთან.

დ.ს. ლიხაჩევის თვალსაზრისით, ენა წარმოადგენს ერის კულტურის ერთგვარ კონცენტრატს, რომელიც მოცემული ენობრივ-კულტურული საზოგადოების სხვადასხვა სექტორში რეალიზდება (ლიხაჩევი 1996: 28).

შევჩერდეთ საკუთრივ კულტურის ფენომენზე. მკვლევართა შორის არსებობს ტენდენცია გაიაზრონ კულტურის ფენომენი როგორც სამყაროში პიროვნებისა და საზოგადოების არსებობის სპეციფიკური ფორმა. ხოლო ენა შესწავლილი უნდა იქნეს მისი ფუნქციის მიხედვით ადამიანის მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში, განსაკუთრებით კი კულტურასთან მიმართებაში.

კულტურის დღეისათვის არსებულ სამასამდე დეფინიციას აკრებერი და კ.კლაქჰონი ექვს კატეგორიად ყოფენ: აღწერითი, ისტორიული, ნორმატიული, ფსიქოლოგიური, სტრუქტურული და გენეტიკური (კრებერი, კლაქჰონი 1952). აღწერითი ხასიათის დეფინიციის თანახმად, კულტურა ადამიანის მოღვაწეობის ყველა ასპექტის ერთობლიობაა. ისტორიული ხასიათის დეფინიცია კულტურას საზოგადოებრივ ტრადიციებსა და სოციალურ მემკვიდრეობას უკავშირებს.

ნორმატიული ინტერპრეტაცია მას ცხოვრების წესის, იდეალებისა და ღირებულებების ამსახველი ნორმების ერთობლიობად მიიჩნევს. ფსიქოლოგიური განმარტება კულტურას აიგივებს სოციოლოგიურ ქცევასთან. ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს ადამიანის თანდაყოლილ თავისებურებას და ახალი თაობის მიერ მისი ათვისება ხდება საგანმანათლებლო მოღვაწეობის შედეგად. სტრუქტურული გაგება კულტურას ურთიერთდაკავშირებულ ფენომენტთა სისტემად მოიაზრებს. გენეტიკური ინტერპრეტაციის მიხედვით კი კულტურა წარმოადგენს საზოგადოების გარემოსთან ადაპტაციის შედეგს, რომელიც უკავშირდება გონებრივი შესაძლებლობების რელიაზაციაზე დამოკიდებულ საგნებსა და მოვლენებს (გრუშევიცკაია et al. 2002: 18–19; როზინი 2002: 282–283).

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კულტურის ცნების ინფორმაციულ–სემიოტიკურ ინტერპრეტაციას, რომლის თანახმად კულტურა არის საზოგადოებისთვის აუცილებელი ინფორმაციის განსაზღვრული მოცულობის კონდენსატორი და, ამასთან, აღნიშნული ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის საშუალება. სემიოტიკური მიდგომის ფარგლებში აქცენტირებულია კულტურის, როგორც დინამიკურ ნიშანთა სისტემის უწყვეტი მოძრაობის, ცვალებადობის, განვითარებისა და გარდაქმნის უნარი მოცემულ სისტემაში არსებულ კანონზომიერებათა შესაბამისად (ივანოვა 2004: 12–13).

კულტურის დეფინიციათა მრავალფეროვნება განპირობებულია კულტურის ფენომენტის რთული, მრავალსპექტოვანი ბუნებით. ყველა ჩამოთვლილი დეფინიციისათვის დამახასიათებელია რამდენიმე საერთო მომენტი: 1. კულტურის ანთროპოლოგიური ხასიათი. 2. კულტურული მემკვიდრეობის არაბიოლოგიურობა. 3. კულტურის კავშირი ცნებებთან და იდეებთან, რომლებიც არსებობენ და გადაიცემიან სიმბოლური ფორმით (ენის საშუალებით) (იონინი 1996: 47).

ინტერესს იმსახურებს ც.ვ. ივანოვას თვალსაზრისი კულტურის, როგორც კვლევის საგნის, დიფერენცირების შესახებ ცივილიზაციურ, მოდუსურ და სოციალურ–ფსიქოლოგიურ კომპონენტებად. პირველი კომპონენტი უკავშირდება საზოგადოების სამეურნეო საქმიანობას; მეორე – სინამდვილის აღქმისა და ინფორმაციის გადაცემის

საშუალებებს; მესამე კომპონენტი კი მოიცავს ნაციონალური ბუნების მქონე ცნებებს, ღირებულებებს, მორალსა და მენტალიტეტს (ივანოვა 2004: 14).

კულტურის სისტემურ–უნივერსალური განსაზღვრების თანახმად „კულტურა არის ადამიანის თავისუფალი, მიზანდასახული, შემოქმედებითი შრომის შედეგად, პიროვნული, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა ნორმებით მის სულში და მის გარეთ დამყარებული წესრიგი, გაფორმებული სიმბოლოთა სისტემაში; რომლითაც იგი ახორციელებს დიალოგს ღმერთთან, ბუნებასთან, სხვა ადამიანებთან, საკუთარ თავთან, წარსულთან, აწმყოსთან და მომავალთან (ანუ მთელ სამყაროსთან)” (ძამაშვილი et al. 1999: 57).

ენის უნარი ასახოს, დააფიქსიროს, შეინახოს და თაობიდან თაობას გადასცეს საზოგადოების შემეცნებითი გამოცდილება მის კუმულაციურ ფუნქციაში აისახება. ენა გვევლინება, როგორც სამყაროს პირველადი კონცეპტუალიზაციისა და ადამიანური გამოცდილების რაციონალიზაციის ფორმა, სამყაროს შესახებ არსებული გაუცნობიერებელი, სტიქიური ცოდნისა და ისტორიული მეხსიერების საცავი (პოსტოვალოვა 1999: 30). სწორედ ენის აღნიშნულ ფუნქციაში აღმოვაჩინეთ მის მჭიდრო კავშირს აზროვნებასთან და, შესაბამისად, კულტურასთან. ენისა და კულტურის კავშირზე საუბრისას ვ. ფონ ჰუმბოლდტი ყურადღებას ამახვილებს ენისა და კაცობრიობის სულიერი განვითარების ურთიერთმიმართებაზე. ენა თან სდევს კაცობრიობის განვითარების ყოველ ეტაპს და ასახავს კულტურის ნებისმიერ სტადიას (ჰუმბოლდტი 1984: 48). თუმცა ენის პირველად ფუნქციად ვ. ფონ ჰუმბოლდტი ურთიერთობას, ან აზროვნებას კი არ მიიჩნევს, არამედ იმ გარემოებას, რომ ენა ერთგვარი შუალედური რგოლია გარესამყაროსა და პიროვნების შინაგან სამყაროს შორის (ჰუმბოლდტი 1984: 304).

ლინგვოკულტურული მიმართებები შესაძლოა განვიხილოთ, როგორც ურთიერთშედწევადი მოვლენები, რის საშუალებასაც გვაძლევს ენისა და კულტურის საერთო ონტოლოგიური მახასიათებლები, მათი ობიექტურ–სუბიექტური დეტერმინაცია (სმირნოვა 2001: 34). ამ ორი სისტემის ურთიერთდამოკიდებულებისა და

ურთიერთგავლენის პრინციპი გულისხმობს ენის მჭიდრო კავშირს კულტურასთან, კულტურის მიერ ენობრივ ერთეულთა შინაარსის განსაზღვრას. თავის მხრივ აღნიშნული ენობრივი ერთეულები განაპირობებენ ამა თუ იმ კულტურის წარმომადგენელთა სპეციფიკას. ფაქტობრივად, ენისა და კულტურის ონტოლოგიურ ერთობას უზრუნველყოფს შუალედური ელემენტი, რომელიც ენაში ენობრივ ნიშანთა მნიშვნელობის, ხოლო კულტურაში კულტურის საგნების სახით არსებობს (ტარასოვი 1994 : 107). ენა წარმოადგენს ნაციონალური კულტურის განუყოფელ ნაწილს და, ამასთან, თავად გვევლინება კულტურის ფიქსაციის საშუალებად.

მაშასადამე, დღეს, როცა ლინგვისტურ აზროვნებას გავლილი აქვს ევოლუციის რთული და წინააღმდეგობრივი გზა იმანენტიზმიდან ექსტრალინგვისტური სინამდვილის სიღრმისეულად შესწავლის აუცილებლობის აღიარებამდე; როცა თანამედროვე კომუნიკაციური პარადიგმა, თავისი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ყველა მანამდე არსებული პარადიგმის მონაპოვრის შენარჩუნებას, რათა გადაიჭრას ლინგვისტური ანთროპოცენტრიზმის წინაშე არსებული ამოცანები; როცა მუდმივ დიალოგშია, მუდმივად ავსებს ერთმანეთს და მუდმივად ვითარდება ორი უმთავრესი კონცეფცია ენის შესახებ: ჰუმბოლდტისეული ენერგეტული და სოსიურისეული სემიოტიკური ხედვა, ტრიადა – ენა, აზროვნება და კულტურა – გვევლინება დიალექტიკურად ურთიერთდაკავშირებულ მრავალგანზომილებიან ფენომენტთა ერთობის სახით. ტრიადის წევრთაგან თითოეული ითავსებს ორ განსაკუთრებულ, ერთი შეხედვით ურთიერთგამომრიცხავ ფუნქციას: იყოს დანარჩენი წევრების, ერთდროულად, შემოქმედიც და პროდუქტიც. ნებისმიერი თანამედროვე კვლევისათვის მნიშვნელოვანია ამ ფენომენტთა თითქმის ყველა განზომილების გათვალისწინება. ასევეა ჩემი კვლევისათვის. თუმცა საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე ყურადღებას ვამახვილებ ტრიადის წევრთა კონკრეტულ ასპექტებზე: ენაზე, როგორც მსოფლხედვაზე, რომელიც ქმნის სამყაროს უნიკალურ ხატს და, თავისი კუმულაციური ფუნქციის წყალობით, პიროვნული და საზოგადოებრივი გამოცდილების ყველაზე ობიექტურ მემატთანედ გვევლინება; აზროვნებაზე –

ლინგვისტური დეტერმინიზმის ფარგლებში, რომლის თანახმად ენა განაპირობებს სამყაროს აღქმისა და ინტერპრეტაციის ჩვენეულ, უნიკალურ არჩევანს; დაბოლოს, კულტურაზე მის უნივერსალურ და ნაციონალურ განზომილებებში.

1.2. ინტერკულტურული კომუნიკაციის პრობლემა


ენა მნიშვნელოვან როლს ასრულებს კულტურათაშორისი კომუნიკაციის გლობალიზაციის პროცესში. განსხვავებულ კულტურათა დიალოგის დროს ხშირად ყურადღების ცენტრში ექცევა ისეთი საკითხები, რომლებიც მანამდე არც ერთ ცალკეულ კულტურაში არ ყოფილა აქცენტირებული და მკვლევართა წინაშე ახალი, აქამდე უცნობი ასპექტები წარმოჩინდება. როგორც მ.მ. ბახტინი მიუთითებს, უცხო კულტურას ვუსვამთ კითხვებს, რომლებიც ადრე მას არ დაუსვამს საკუთარი თავისთვის. ჩვენ ვეძებთ პასუხს ამ კითხვებზე. უცხო კულტურაც გვპასუხობს და წარმოგვიჩენს თავის ახალ მხარეებს, ახალ შინაარსობრივ სიღრმეებს (ბახტინი 1979: 335). არც ერთ ენაში არ არის მოცემული საგანი მთელი თავისი სიცხადით, სისრულითა და მრავალწახნაგოვნებით. მხოლოდ ენათა ნაირგვარობის ფაქტის გააზრების შედეგად გვეძლევა აღნიშნული საგნის განსხვავებულ ასპექტებთან მიახლოების შესაძლებლობა, რაც ზრდის ენათა შინაარსობრივი შედარების არა მარტო ლინგვისტურ, არამედ კულტურულ–ანთროპოლოგიურ მნიშვნელობასაც (რამიშვილი 1995: 10).

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესს თითქოს გარკვეულწილად უნდა შეემცირებინა კულტურული მრავალფეროვნების ხარისხი და უცხო კულტურული არეალისადმი კუთვნილი ინფორმაციის მცდარი ინტერპრეტაციის ალბათობაც, მაგრამ ფაქტია, რომ გლობალიზაცია შლის კულტურათა შორის არსებულ მხოლოდ ზედაპირულ კონტრასტებს, სიღრმისეული სხვაობები კი უცვლელი რჩება.

კულტურათაშორისი კომუნიკაციისა და კონტრასტივიკის ერთ–ერთმა პირველმა თეორეტიკოსმა, ამერიკელმა ლინგვისტმა რ. ლადომ შემოგვთავაზა კომუნიკაციის

ტიპური პროცესის ამსახველი სქემა (იხ. სქემა 1), რომლის მიხედვით, ადრესანტის მესიჯი, ვიდრე იგი კონკრეტულ ენობრივ სახეს მიიღებდეს, ეტაპობრივად გაივლის სამი ძირითადი მნიშვნელობის პრიზმას: ინდივიდუალურს, კულტურულსა და ზოგადს. ინდივიდუალური მნიშვნელობა (ადრესანტის ცნობიერებაში ასახული მნიშვნელობა) კულტურული მნიშვნელობის (ნაციონალურ ცნობიერებაში ასახული მნიშვნელობა) პრიზმის გავლით იძენს ზოგად მნიშვნელობას (უნივერსალურ ცნობიერებაში ასახული მნიშვნელობა) და კონკრეტული ენობრივი ფორმის სახით მიეწოდება ადრესატს. ხოლო ადრესატი საპირისპირო ეტაპობრივი თანმიმდევრობით ახდენს ინფორმაციის დეკოდირებას. პირველ ეტაპზე აქცენტირებულია ზოგადი მნიშვნელობა. შემდეგ კი დეკოდირება მიმდინარეობს კულტურულ და ინდივიდუალურ მნიშვნელობათა გააზრების გზით (ლადო, 1957). კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ყურადღებას ვამახვილებ კულტურულ მნიშვნელობაზე. იმ უმნიშვნელოვანესი რგოლის უგულვებელყოფის შემთხვევაში, რომელსაც მნიშვნელობის კულტურული კომპონენტი ქმნის, შეუძლებელია შედგეს წარმატებული კომუნიკაცია.

სქემა 1. კომუნიკაციის პროცესი



გარემომცველი სამყაროს აღქმა რეალური მონაცემებისა და აღქმელი ინდივიდისეული ინტერპრეტაციის სინთეზია. ენა არ წარმოადგენს მხოლოდ სამყაროს სარკეს. იგი სამყაროს რამდენადმე განსხვავებული სახით რეპრეზენტაციაც არის. ამა თუ იმ კულტურისა და ენის პრიზმაში გააზრებული სამყაროს უნიკალური სურათები და მოდელები ენობრივი კულტურის საფუძვლებად მიიჩნევა. სამყაროს უნივერსალური მოდელი კონტრასტული ენობრივი ვარიანტების სახით რეალიზდება. სხვადასხვა ენა სხვადასხვაგვარად ანაწევრებს აზროვნების უფორმო მასას – აღნიშნავს, ანაწილებს და აერთიანებს საგანთა სინამდვილეს. არც ერთი ენა არ მისდევს საყოველთაო სქემას. ყოველი ენა საგანთა სინამდვილის თავისებური კლასიფიკაციაა.

რ. ლადოს თეორიულმა პრინციპებმა შემდგომი განვითარება ჰპოვა რ.ჯ. დი პიეტროს (1971), რ.კ. ჰარტმანის (1991), ბ. ჰატიმის (1997), პ. ჰელტაის (1988) და სხვათა შრომებში, სადაც დამუშავებულია ლინგვოკულტუროლოგიურ ინტერფერენციასთან, თარგმნის თანამედროვე თეორიასთან და თანამედროვე ლექსიკოგრაფიასთან დაკავშირებული პრობლემატიკა.

კულტურათაშორისი კომუნიკაციის პრინციპების მეშვეობით ხდება ადრესატისათვის იოლად აღქმადი, მკაფიოდ სტრუქტურირებული ინფორმაციის გადაცემა. თუ ადრესანტი და ადრესატი სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები არიან, მათ, შესაძლოა, სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია მისცენ როგორც ვერბალურ, ისე არავერბალურ კოდებს. ენობრივი სხვაობა ქმნის კომუნიკაციის პრობლემებს მაშინაც კი, როცა კომუნიკაციის აქტანტებმა იციან ერთმანეთის ენა, რადგან ხშირად ადრესანტი და ადრესატი ინფორმაციიდან არჩევენ იმ ფაქტებს, რომლებიც შეესატყვისება მათ აზროვნებაში აკუმულირებულ მენტალურ მოდელებს და უგულებელყოფენ, ან მცდარ ინტერპრეტაციას აძლევენ იმ ფაქტებს, რომლებიც არ ადასტურებს მათ ხედვას. აღნიშნული მენტალური მოდელები ინდივიდთა უნიკალური ცოდნა-გამოცდილების სარკეა. მენტალურ მოდელთა კომპლექსი ცნობილია ერის თითოეული წარმომადგენლისათვის.

კულტურა შეიცავს ისეთი სახის ელემენტებსაც, რომლებიც ვერ აღიქმებიან სხვა კულტურის წარმომადგენელთა მიერ. ი.ა. სოროკინი მსგავს ელემენტებს ლაკუნებს უწოდებს: ყოველივე ის, რასაც უცხო კულტურის ტექსტში ამჩნევს რეციპიენტი, მაგრამ ვერ გებულობს, რაც უცნაურად ეჩვენება და საჭიროებს ინტერპრეტაციას, ტექსტში იმ კულტურის ნაციონალურ-სპეციფიკური ელემენტების არსებობაზე მიგვანიშნებს, რომელშიც არის შექმნილი ტექსტი. ასეთ შემთხვევებში საქმე გვაქვს ლაკუნებთან (სოროკინი 1985: 219).

ყოველ ენაში არსებობს ზონები, რომლებიც შეიცავს კულტურულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება იყოს როგორც ნაციონალურ-კულტურული, ისე უნივერსალურ-კულტურული. არც ერთი ცივილიზებული ერის კულტურა და მისი ლექსიკური სისტემა არასოდეს ყოფილა დახშული უნივერსალური ელემენტებისათვის, რომელთა ათვისება აისახებოდა საზრისთა განვითარებასა და გამრავალფეროვნებაზე, ადგილობრივ კულტურულ ღირებულებებზე დაყრდნობით. კულტურათაშორისი ურთიერთობების დროს უნივერსალური საზრისები და გამოთქმები ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს, ნაციონალურ-კულტურული საზრისები და გამოთქმები კი აუცილებელ კომენტარს მოითხოვს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ინტერკულტურული კომუნიკაციის წარუმატებლობა.

განსხვავებულ ლინგვოკულტურულ ერთობის წარმომადგენელთა შორის კომუნიკაციისას ადექვატური გაგების პრობლემას ქმნის არა იმდენად ენათა სხვადასხვაობა, რამდენადაც სემანტიკური კონტრასტი, რასაც განაპირობებს ენაში ასახული კულტურა და მის მიერ შექმნილი მნიშვნელობები. კულტურათა ჰეტეროგენულობის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ხდება ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის დროს. ერთი ენის ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკის ზუსტი შესაბამისობა მეორე ენაში არ არსებობს. ორივე ენის ლექსიკურ ერთეულთა შინაარსის პლანი მკვეთრად გამოხატული ნაციონალური სპეციფიკის მატარებელია. ტრადიციული მიდგომით თარგმნის აქტის დროს ყურადღების ცენტრში იყო ტექსტის სტილისტიკურ თავისებურებათა შენარჩუნების საკითხი. თანამედროვე მიმართულებებს კი ყურადღება

გადააქვს უცხოენოვანი ადრესატის რეაქციაზე, რომელიც მაქსიმალურად უნდა უახლოვდებოდეს ორიგინალის ენაზე მოსაუბრე ადრესატის რეაქციას. ადექვატური აღქმის უზრუნველსაყოფად მთარგმნელი ადრესატს ხშირად დამატებით კომენტარებსა და ინტერპრეტაციებს აწვდის, რათა გაუგებარი არ დარჩეს ალუზიები, რემინისცენციები და მხატვრული სახეები.

ჰ.გ. გადამერი მიიჩნევს, რომ იქ, სადაც თარგმანია საჭირო, უნდა შევეგუოთ იმ შეუსაბამობას, რომელიც არსებობს ერთ ენაზე გამოთქმულ ზუსტ აზრსა და მეორე ენაზე მისი გადმოცემისას მოძებნილ ეკვივალენტს შორის. აღნიშნული შეუსაბამობის სრულად დაძლევა შეუძლებელია (გადამერი, 1988: 447).

ადრესატზე ზემოქმედების ადექვატურობა დამოკიდებულია ადრესატის ბუნებაზე და განსაზღვრული ნაციონალურ-კულტურული ერთობისადმი მის კუთვნილებაზე. გადაცემული ინფორმაციის სწორად ინტერპრეტაციის შესაძლებლობას სპეციფიკური ნაციონალურ-კულტურული ფაქტორები განსაზღვრავს. კონტრასტი ორიგინალის ენის მფლობელთა კულტურასა და თარგმანის ენის მფლობელთა კულტურებს შორის რელევანტურ პრაგმატიკულ ადაპტაციას მოითხოვს. ფაქტობრივად, ითარგმნება კულტურა და არა ენა. ხოლო თარგმანის შეფასება ხდება არა იმდენად ორიგინალთან შედარებით, რამდენადაც ადრესატზე მისი რეაქციის ადექვატურობის ხარისხის შემოწმებით (ბიკმანი 1965, ლარსონი 1997, ნაიდა 2002).

ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესში ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტების უგულვებელყოფას შედეგად მოსდევს ლინგვოკულტუროლოგიური ინტერფერენცია. საზოგადოდ, ინტერფერენციის პრობლემა სხვადასხვა დისციპლინის კვლევის საგანს წარმოადგენს: ფსიქოლოგიის, ლინგვოდიდაქტიკის, ლინგვისტიკის სხვადასხვა დარგების – სოციოლინგვისტიკის, ფსიქოლინგვისტიკის, ეთნოლინგვისტიკის, ბილინგვიზმის თეორიის, ენობრივი კონტაქტების თეორიისა და სხვ. საკითხი დამუშავებულია მთელ რიგ კონცეპტუალური და სპეციფიკური ხასიათის სამეცნიერო გამოკვლევებში (უ.ვ. ვაინრაიხი, ე. ჰაუგენი, ვ.უ. როზენცვაიგი, ა.ე. კარლინსკი, ე.მ. ვერეშჩაგინი, ლ.ი. ბარანიკოვა და სხვ).

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ინტერფერენცია ჩვევების ურთიერთქმედებაა, რომლის დროსაც უკვე ჩამოყალიბებული ჩვევები აფერხებენ ახალი ჩვევების აღმოცენებას, ან ამცირებენ მათ ეფექტურობას (რუბინშტეინი 1964: 559). მაშასადამე, ინტერფერენციის შემთხვევაში საქმე გვაქვს სამეტყველო ჩვევების გადატანასთან ერთი ენიდან მეორეში.

ფსიქოლინგვისტურ ასპექტში ინტერფერენცია უკავშირდება შემდეგ მომენტებს:

1. სამეტყველო ქმედების ორი უმთავრესი სახე: მეტყველების აღქმა/დეკოდირება/გაგება და მეტყველების პროდუცირება/კოდირება.

2. ჩვევების გადატანის ორი სახე: ფალსიტაცია – პოზიტიური გადატანა, როცა სამეტყველო ჩვევები მშობლიურ და შესასწავლ ენებში რელევანტურია, რასაც შედეგად მოსდევს ახალი ენის, ახალი სინამდვილის წარმატებით დაუფლება; ინტერფერენცია – ნეგატიური გადატანა, რომლის დროსაც სამეტყველო ჩვევები მშობლიურ და შესასწავლ ენებში ნაწილობრივ არის რელევანტური. შესაბამისად, არსებული ჩვევები ართულებს ახალი ჩვევების წარმოქმნის პროცესს, ან ამცირებს ახალ ჩვევათა ეფექტურობას.

ლინგვისტიკაში მოცემული ტერმინის თანამედროვე გაგებით დამკვიდრება უკავშირდება უ. ვაინრაიხის სახელს, რომელმაც იგი პრადის ლინგვისტური სკოლისაგან ისესხა. ლინგვისტური თვალსაზრისით ინტერფერენცია განისაზღვრება, როგორც ნორმისაგან ის გადახრა, რომელიც ბილინგვთა მეტყველებაში შეიმჩნევა ორ ენათაგან რომელიმე მათგანის გამოყენებისას, და რომელიც ამ ენათა ურთიერთქმედების შედეგად მიიღება (ვაინრაიხი 1968: 1, მეგრელიშვილი et al. 2012: 28).

ინტერფერენციას შეიძლება დაექვემდებაროს ყველა ენობრივი დონე. ამიტომ ამ მოვლენის ტიპოლოგიური დიაპაზონი მრავალ ასპექტს მოიცავს. კვლევის ფარგლებში დავინტერესდები ინტერფერენციის კულტუროლოგიური ასპექტით, რომელსაც ექსტრალინგვისტური ფაქტორები უდევს საფუძვლად. კულტუროლოგიური ასპექტის გამოკვეთა შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ ინტერფერენციის აღნიშნული ტიპი, როგორც ლინგვოკულტუროლოგიური. ეს უკანასკნელი მჭიდროდ უკავშირდება ყველა სხვა სახის ინტერფერენციას და ატარებს კომპლექსურ, მრავალგანზომილებიან

ხასიათს. იგი გულისხმობს რეციპიენტის მშობლიური კულტურის წიაღში ჩამოყალიბებულ ჩვევათა ზემოქმედებას უცხო კულტურული არეალისათვის დამახასიათებელი მოვლენების აღქმა-ათვისების პროცესებზე, რაც წინ ეღობება წარმატებულ კომუნიკაციას. ნორმიდან გადახრას განაპირობებს სამყაროს უცხო ენისმიერი ხატის სუსტი ცოდნა. ასეთ შემთხვევებში საკომუნიკაციო აქტის მონაწილეებისათვის ორიენტირს წარმოადგენს მშობლიური კულტურული არეალი. საკუთარი პოზიციებიდან გაკეთებული პროგნოზი კი კომუნიკანტებს ართმევს ახალი იდეების გენერირების უნარს, რომელიც წარმატებული კულტურათაშორისი კომუნიკაციის არსებითი წინაპირობაა.

ლინგვოკულტუროლოგიური ინტერფერენციის პრევენციისათვის აუცილებელია ლინგვოკულტუროლოგიური კომპეტენციის განვითარება, რაც კომუნიკანტებს შესაძლებლობას მისცემს დაეუფლონ კომუნიკაციური ქმედების სრულ კომპლექსს და დაუბრკოლებლად გადაჭრან კულტურათა დიალოგის პროცესში წარმოქმნილი პრობლემები.

1.3. მნიშვნელობის ნაციონალურ-კულტურული კომპონენტი

1.3.1. ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკა როგორც უნივერსალური კატეგორია

ენასთან მიმართებაში ნაციონალური კულტურის შესწავლის საკითხის წინა პლანზე წამოწევა განსაკუთრებით ინტენსიური ხდება ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე. გასული საუკუნის 50-იან წლებში იქმნება ამერიკელ ლინგვისტ რ. ლადოს შრომა “Linguistics across Cultures”. იგი შეიძლება მივიჩნიოთ ერთ-ერთ სერიოზულ ნაბიჯად, რომელიც გადაიდგა ლინგვისტიკის ორი უაღრესად აქტუალური დარგის –

ლინგვოკულტუროლოგიისა და კონტრასტივიკის განვითარების გზაზე. შემდგომში აღნიშნული მიმართულებების ფარგლებში ინტენსიური კვლევითი საქმიანობა წარიმართა როგორც ამერიკულ, ისე დასავლეთევროპულ და რუსულ ლინგვისტურ სკოლებში. რ. ლადო ერთ-ერთია იმ პირველ ლინგვისტთა შორის, რომლებმაც მეცნიერულად დაასაბუთეს კულტურის უმნიშვნელოვანესი როლი კომუნიკაციის პროცესში.

თავდაპირველად ნაციონალური და კულტურული სპეციფიკა იზოლირებული სახით განიხილებოდა. ნაციონალური სპეციფიკა გულისხმობდა ენათა შეპირისპირებისას დაფიქსირებულ, კულტურული ხასიათის მიზეზებით განპირობებულ განსხვავებებს. ხოლო კულტურული სპეციფიკა მოიაზრებოდა, როგორც ენობრივი ერთეულის შესატყვისობა საზოგადოების მენტალიტეტთან, სულიერ კულტურასთან, ისტორიასა და ტრადიციებთან (გაკი 1999: 260–261). თანამედროვე ეტაპზე, ნაციონალური და კულტურული კომპონენტების უაღრესად რთული ურთიერთმიმართებიდან გამომდინარე, ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის ფარგლებში კვლევითი პროცესი კონცენტრირებულია ნაციონალურ სპეციფიკაზე, რომელიც ენობრივ-კულტურული ურთიერთმიმართების თავისებურებებში რეალიზდება (ივანოვა 2004: 18).

ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკის ცნება ადამიანის ცნობიერებაში კულტურის არსებობის ფორმას გულისხმობს. მოცემულ შემთხვევაში კულტურის ცნებაში იგულისხმება განსაზღვრული ნაციონალურ-ლინგვისტური ერთობის წარმომადგენელთა მასობრივ ცნობიერებაში ასახული კულტურა. ნაციონალურ-ლინგვოკულტუროლოგიური სივრცე თავისი არსით არის ინფორმაციულ-ემოციური ველი, ვირტუალური და, ამავე დროს, რეალური სივრცე, სადაც ადამიანი არსებობს და მოქმედებს. აღნიშნული სივრცე თვალსაჩინო ხდება განსხვავებული კულტურის მოვლენებთან შეპირისპირებისას. ყოველ კულტურაში არსებული განსაზღვრული მენტალურ-კულტურული სქემებისა და სიმბოლოების სინთეზი განაპირობებს შესაბამისი ენობრივი ურთიერთობების სპეციფიკას. ნაციონალური კულტურა ცოდნათა

ბაზისური სტერეოტიპული ბირთვის სახით არსებობს ინდივიდის ცნობიერებაში, როგორც სტრუქტურირებულ ცოდნათა და ნაციონალურ-კულტურული ნიშნით მარკირებულ წარმოდგენათა ერთობლიობა. აღნიშნული ბირთვი აუცილებელია მოცემული ნაციონალურ-ლინგვოკულტუროლოგიური ერთობის თითოეული წარმომადგენელისათვის, რათა მათ შეძლონ კომუნიკაცია საკუთარ თავთან და გარესამყაროსთან.

ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკა მქდავდება კულტურის ისეთ კომპონენტებში, როგორცაა: ტრადიციები – კულტურის მყარი ელემენტები, ის ზნე-ჩვეულებები, რომლებიც კულტურის სოციალურ-ნორმატიულ სფეროს განეკუთვნება და კონკრეტულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ ნორმატიულ მოთხოვნებს შეესატყვისება; ყოფითი კულტურა; ყოველდღიური ქმედება (ამა თუ იმ სოციუმში მიღებული ურთიერთობის ნორმები); აზროვნების ნაციონალური თავისებურებები; ეთნოსის კულტურული ტრადიციების ამსახველი თავისებურებები; ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისებისა და წარმოდგენის მეთოდები; ტექნიკური და ტექნოლოგიური დონე, გარემომცველი რეალობის ათვისების მეთოდი (ბრომლეი 1973: 70–71, ივანოვა 2004: 20).

ყველა ზემოთ აღნიშნული ნაციონალურ-კულტურული თავისებურება ასახავს ჰპოვებს ენაში სამყაროს განსაზღვრული ენისმიერი ხატის სახით. სამყაროს ენისმიერი ხატი არის საზოგადოების საუკუნეობრივი გამოცდილების შედეგად ჩამოყალიბებული და ენობრივი ნომინაციის საშუალებებით გამოხატული სურათი, რომელიც ასახავს მთლიან და მრავალგანზომილებიან სამყაროს და მის მრავალრიცხოვან კომპონენტთა შორის არსებულ მიმართებებს. აღნიშნულ კომპონენტებს შორის ცენტრალურ ადგილს იკავებს ადამიანი თავისი მატერიალური და სულიერი მოღვაწეობით. მისი გარემომცველი კომპონენტებია: დრო და სივრცე, ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება, ადამიანის მიერ შექმნილი მითოლოგიური სამყარო და სოციუმი (შვედოვა 1999: 15).

დ.ო. დობროვოლსკი მიიჩნევს, რომ ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკის არსის განმარტებისას ორ ძირითად შეხედულებასთან გვაქვს საქმე. პირველი,

შედარებით ვიწრო გაგების თანახმად, ნაციონალურ-კულტურული კომპონენტი მხოლოდ ენობრივი რეალიების სემანტიკაში არსებობს. მეორე შეხედულების მიხედვით კი ნაციონალური კულტურის თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ ისეთი ღირებულებითი ცნებები, როგორცაა ერის მიერ სამყაროს ხედვა და აღქმა, ეროვნული მსოფლმხედველობა (დობროვოლსკი 1997: 39).

როგორც აღვნიშნეთ, ენა კონკრეტული ერის წარმომადგენელ ადამიანს ენობრივ პიროვნებად აყალიბებს. იგივე როლს ასრულებს ენა ნაციონალური ხასიათის ფორმირებაში (ტერ-მინასოვა 2000: 136).

ნაციონალურ ხასიათთან დაკავშირებით მკვლევართა შორის აზრთა სხვაობა არსებობს. ზოგიერთი მათგანი ყურადღებას ამახვილებს ტემპერამენტზე, სხვები – პიროვნულ თვისებებსა და ღირებულებით ორიენტაციაზე. გრძნობებისა და ემოციების, აზროვნებისა და ქმედების სტილის, ზნე-ჩვეულებებისა და ტრადიციების ნაციონალური კოლორიტის არსებობა ეჭვს არ იწვევს. დისკუსიას აღძრავს ტიპურ ნიშან-თვისებათა საერთოეროვნული მასშტაბით განზოგადების საკითხი.

ნაციონალურ-კულტურულ თავისებურებებზე საუბრისას ყურადღება მახვილდება ერის ფსიქოლოგიურ მახასიათებლებზე, რომლებიც მოიცავს ნაციონალურ ხასიათს, ნაციონალურ ტემპერამენტსა და ეთნიკური პიროვნების სპეციფიკურ აქსიოლოგიურ ორიენტაციას (გრეიდინა 2002: 330). ნაციონალურ ხასიათში არ იგულისხმება ნაციონალური ერთობის ცალკეულ წარმომადგენელთა დისკრეტული ნიშან-თვისებების ჯამი. აქ საქმე გვაქვს ფსიქოლოგიურ თავისებურებებთან, რომლებიც აყალიბებენ ეთნოსოციალური საზოგადოების ტიპურ სტერეოტიპებს მისი განვითარების კონკრეტულ კულტურულ პირობებში. აღნიშნული ტიპური თვისებები ნიშანდობლივია ინდივიდთა მნიშვნელოვანი რაოდენობისათვის სხვადასხვა სახის კონცენტრაციითა და ხარისხით (სტეფანენკო 2003: 134). რასაკვირველია, ნებისმიერი ნაციონალურ-კულტურული ერთობისათვის დამახასიათებელია ისეთი ზოგადსაკაცობრიო თვისებების გამომჟღავნება და გაიდება/დაგმობა, როგორცაა: შრომისმოყვარეობა/სიზარმაცე, გონიერება/უგუნურება, მეგობრობა/მტრობა და ა.შ.

შეუძლებელია დავუშვათ რომელიმე ერის მონოპოლია რომელიმე აღნიშნულ მახასიათებელზე, თუმცა აშკარაა, რომ ერები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ამ თვისებების გამომჟღავნების ფორმებით, რაზეც მეტყველებს პრიორიტეტების განსაზღვრისა და უნივერსალური ზოგადსაკაცობრიო თვისებების ინტერპრეტაციის კონტრასტული ხერხები ამა თუ იმ ნაციონალურ-კულტურულ საზოგადოებაში (ბრომლეი 2000: 9).

ნაციონალური ხასიათი არსებობს, როგორც კონკრეტული კულტურისათვის ნიშანდობლივი ნორმების მყარი კომპლექსი, რომელიც შეესატყვისება ერის სოციალურ-ეკონომიკურ და გეოგრაფიულ პირობებზე, ცხოვრების წესსა და რელიგიურ რწმენაზე დამყარებულ ღირებულებათა სისტემას (სტეფანენკო 2003: 134).

ნაციონალურ-კულტურული ნიშნით მარკირებული ენობრივი ერთეულები ატარებს სიმბოლურ, ეტალონურ, ხატოვან-მეტაფორულ მნიშვნელობას და განაზოგადებს საკუთრივ ადამიანური ცნობიერების მონაპოვარს – არქეტიპულსა და პროტოტიპულს, რომლებიც ფიქსირებულია მითებში, ლეგენდებში, რიტუალებში, წეს-ჩვეულებებში, ფოლკლორულ და რელიგიურ დისკურსში, პოეტურ და პროზაულ ტექსტებში, ფრაზეოლოგიზმებსა და მეტაფორებში, სიმბოლოებში, პარემიოლოგიურ ფონდში და ა.შ.

ნაციონალური ხასიათის, როგორც ნაციონალური კულტურის პროდუქტისა და შემოქმედის, სპეციფიკის შესახებ ობიექტური ინფორმაციის წყაროა ენა (ხაირულინა 1996: 36). „ენა განხორციელებული ღირებულებაა და თანაც, ერთ-ერთი უმაღლესი ღირებულება. იმდენად განსაცვიფრებლად მაღალი, რომ ერის პატრიოტი შვილები ხშირად მზად არიან მის დასაცავად თავი გასწირონ. ენა კულტურაა იმ ზოგადი პრინციპის გამო, რომ იგი ბუნებით ბოძებული მოვლენა კი არ არის, არამედ საკუთარი ყოფიერების გამომუშავების პროცესში, ერის ისტორიული მოღვაწეობით შექმნილი ფენომენია. ყოველი ერი, თავისი ისტორიული ბედით გაპირობებული, თავისებურად აღიქვამს სამყაროს და მის გამოსახატავად თავის განუმეორებელ ენას ქმნის. ამ ენაში ასაგნობრივებს თავის სულს, თავის ისტორიას, თავის იდეალებს. ენა ერის სულიერი

საგანძურია, რომელსაც ყველაზე ნაკლებ ავნებს დროის დამანგრეველი ფაქტორები“ (ძამაშვილი et al 1999: 172).

1.3.2. ფონური ცოდნა – ლინგვომხარეთმცოდნეობის მთავარი ობიექტი

ვ.ა. მასლოვა ერთმანეთისაგან მიჯნავს ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის რამდენიმე მიმართულებას: 1. ლინგვომხარეთმცოდნეობა – არაეკვივალენტური ლექსიკა და ლაკუნები; 2. მითოლოგიზირებული ენობრივი ერთეულები – არქეტიპები და მითოლოგემები, ენაში ფიქსირებული რიტუალები და წეს-ჩვეულებები. 3. პარემიოლოგიური ფონდი. 4. ფრაზეოლოგიური ფონდი. 5. ეტალონები, სტერეოტიპები, სიმბოლოები. 6. მეტაფორები. 7. სტილისტური წყობა; 8. სამეტყველო ქმედება; 9. სამეტყველო ეტიკეტი. დასახელებული ასპექტები ჰეტეროგენული სისტემებია, რაც მათ კვლევის ყველაზე მნიშვნელოვან ობიექტებად წარმოგვიდგენს (მასლოვა 2001: 36–37).

კვაზირეალის ფენომენი ლინგვომხარეთმცოდნეობით მიმართულებას განეკუთვნება. ჩემი კვლევაც აღნიშნულ ასპექტს უკავშირდება.

ლინგვომხარეთმცოდნეობა ენის სოციალურ-კულტურული განპირობებულობის კვლევის ერთ-ერთ ცენტრალურ მიმართულებას წარმოადგენს. იგი შესასწავლი ენისა და ამ ენაზე მოსაუბრე საზოგადოების კულტურის სინთეზური სახით დაუფლებას გულისხმობს, რადგან თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის მოთხოვნები დღის წესრიგში აყენებს ენის შესწავლის აუცილებლობას იმ კულტურული არეალის თავისებურებათა ათვისების პარალელურად, რომელსაც ენა ეკუთვნის.

ლინგვომხარეთმცოდნეობის მიმართულების წარმომადგენელთა მიზანია ენობრივ ერთეულთა სემანტიკაში ექსტრალინგვისტური შინაარსის ამსახველი ნაციონალურ-

კულტურული კომპონენტის გამოყოფა, მისი ლინგვისტური ბუნების წვდომა და ფუნქციობის თავისებურებების დადგენა.

ნაციონალურ-კულტურული კომპონენტი პირველად შესწავლილი იქნა ნ.გ. კომლევის მიერ (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნ.გ. კომლევი მას „კულტურულ-ისტორიულ კომპონენტს“ უწოდებს). მკვლევარი მიუთითებს, რომ სიტყვის მნიშვნელობა, საგნის შესახებ არსებული ინფორმაციის გარდა, მოიცავს განსაზღვრულ სოციალურ ფონს, რომელიც მოცემულ ლექსიკურ ერთეულთან ასოცირდება. თუ დავუშვებთ სიტყვის ექსტრალინგვისტური მნიშვნელობის არსებობას, ანუ იმ ფაქტს, რომ სიტყვა-ნიშანი გამოხატავს გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე საკუთრივ მისი მნიშვნელობაა, მაშინ უნდა ვაღიაროთ კულტურული კომპონენტის არსებობაც – ენობრივი სემანტიკის დამოკიდებულება ინდივიდუუმის კულტურულ გარემოზე (კომლევი 1969: 220).

კულტურული კომპონენტის შესწავლას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ენის, როგორც კომუნიკაციის ქვაკუთხედის სათანადოდ გამოყენებისათვის. ო.ა. ახმანოვა მიუთითებს, რომ ენობრივი ურთიერთობის საფუძველია კომუნიკანტთა მიერ მოცემული სოციოკულტურული გარემოს რეალიების დაუფლება. აღნიშნული მრავლისმომცველი სოციოკულტურული ინფორმაცია ლინგვისტურ ლიტერატურაში „ფონური ცოდნის“ სახელწოდებით დამკვიდრდა (ახმანოვა 1962: 22).

ფონური ცოდნა, როგორც ლინგვომხარეთმცოდნეობის მთავარი ობიექტი, რომელიც განსაზღვრულ ენობრივ-კულტურულ საზოგადოებრივ ერთობას განეკუთვნება და წარმატებული კომუნიკაციის წინაპირობაა, საფუძვლიანად არის შესწავლილი ე.მ. ვერეშჩაგინისა და ვ.გ. კოსტომაროვის მონოგრაფიებში, სადაც შემუშავებულია ლინგვომხარეთმცოდნეობის თეორიული და მეთოდური ასპექტები.

ე.მ. ვერეშჩაგინი და ვ.გ. კოსტომაროვი ლექსიკური ერთეულის შინაარსის პლანში გამოყოფენ ორ ბაზისურ არეალს – ლექსიკურ ცნებას და ლექსიკურ ფონს. ლექსიკური ერთეულის პირველადი, არსებითი ნიშნები – სემები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის კლასიფიკაციას, ლექსიკური ცნების შემადგენლობაში შედის, ხოლო დანარჩენი სემები

ქმნის ლექსიკურ ფონს და მათ ფონურ სემებს ვუწოდებთ. სახელწოდება „ლექსიკური ფონი“ ეფუძნება სოციოლოგიურ ტერმინ „ფონურ ცოდნას“. აღნიშნული ცოდნა ფიქსირებულია ინდივიდუალურ და სოციალურ ცნობიერებაში. მისი აქტუალიზაცია კონკრეტულ კომუნიკაციურ პირობებზე არის დამოკიდებული. ლექსიკური ფონისა და მისი მახასიათებლების განსაზღვრა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ენობრივ-კულტურულ ფენომენტთა შესწავლისას, რომლებიც, კონტრასტულ სოციოკულტურულ სამყაროთა თავისებურებების გამო, უკავშირდებიან როგორც ინვარიანტულ, ისე ვარიანტულ სემებს.

ლექსიკური ფონისათვის დამახასიათებელი ასპექტების გამოკვეთისა და განსაზღვრის მიზნით საჭიროა რამდენიმე საკვანძო საკითხის აქცენტირება, სახელდობრ, ფონის ობიექტივაციის მეთოდებისა და დინამიკის, სემათა გენეზისის, მიგრაციისა და სასრულობის პრობლემატიკის ანალიზი.

ლექსიკური ფონის ობიექტივაციის ყველაზე გავრცელებულ მეთოდთა შორის აღსანიშნავია ინტერვიუს მეთოდი, რომლის გამოყენების დროს ლინგვისტისათვის წყაროს წარმოადგენს რესპონდენტის მიერ დასახელებულ სემათა კომპლექსი. ინფორმანტი გამოყოფს ყველა სემას, რომელთაც, მისი აზრით, მოიცავს ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის შინაარსის პლანი. სერიოზული ყურადღება ეთმობა ასოციაციურ მეთოდს, რომელიც ლექსიკური ფონის სემანტიზაციას ახდენს სემებს შორის არსებულ ასოციაციურ კავშირებზე დაყრდნობით. მკვლევარები მიმართავენ მრავალფეროვანი ლექსიკოგრაფიული წყაროების ანალიზსაც. დაბოლოს, ფონის ობიექტივაცია შესაძლებელია, აგრეთვე, ტექსტში იმპლიციტური სახით მოცემული სემების ექსპლიკაციის გზით (ვერეშჩაგინი, კოსტომაროვი 1980: 41).

გენეზისის თვალსაზრისით ერთმანეთისაგან განვასხვავებთ ინდივიდუალურ და სოციალურ სემებს.

ინდივიდუალური გამოცდილება სემების წარმოშობის პირველად საფუძველს წარმოადგენს. ინდივიდუალური სემა მოცემული ენობრივი ერთეულის ონტოლოგიური ბუნებიდან გამომდინარეობს. ინდივიდუალური გამოცდილება განუყოფელია

საზოგადოებრივი, სოციალური გამოცდილებისაგან, მაგრამ შეუძლებელია არ ვაღიაროთ ლექსიკურ ფონში ინდივიდუალური სემების არსებობა. ადამიანის ცნობიერებაში გამოიყოფა ცოდნა, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის. ამიტომ ლექსიკურ ფონში ვხვდებით აღნიშნული ცოდნის ერთეულების მატარებელ ინდივიდუალურ სემებს. მსგავსი სემები აღმოცენდება კომუნიკაციის პროცესში მიღებული ტექსტების გარდაქმნის შედეგად, ან ინდივიდის პირადი სამეტყველო-გონებრივი აქტივობის დროს (იგულისხმება შემეცნებითი აქტივობა, ცხოვრებისეული გამოცდილება, ემოციური და ესთეტიკური შთაბეჭდილებები და ა.შ.).

რაც შეეხება სოციალურ სემებს, ისინი იყოფა ენათაშორისად (ზოგადსაკაცობრიო და რეგიონალური) და ნაციონალურ-კულტურულად. ზოგადსაკაცობრიო და რეგიონალური სემების არსებობა მთელ რიგ ენათა ლექსიკური სემანტიკის ურთიერთპარალელური და დამოუკიდებელი პროგრესის შედეგია. კონვერგენტულ განვითარებას ყველა ერის, ან მათი განსაზღვრული რაოდენობის ექსტრალინგვისტურ სინამდვილეთა თანხვედრა განაპირობებს. ნაციონალურ-კულტურული სემები კი ახდენს ამა თუ იმ ერის ფსიქოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული თავისებურებების ობიექტივაციას (კომლევი 1966: 46).

ინტერესს იმსახურებს სემათა მიგრაციის საკითხიც. ინდივიდუალურ ენობრივ ცნობიერებაში აღმოცენებული სემები (მაგალითად, დედამიწა მრგვალია, დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო) ენის საკომუნიკაციო ფუნქციის წყალობით ჯერ ინდივიდის უშუალო სოციალურ გარემოცვაში ინერგება, ხოლო შემდეგ – მთელი ერის და მთელი კაცობრიობის ცნობიერებაში. ენის საკომუნიკაციო ფუნქცია ეფუძნება მის კუმულაციურ ფუნქციას. ლექსიკური ფონი გამუდმებით მდიდრდება სემებით. ძველ სემებს (მაგალითად, დედამიწა ბრტყელია, მზე ბრუნავს დედამიწის გარშემო) ჩაანაცვლებს ახალი სემები, რომლებიც, თავდაპირველად, ინდივიდუალურ ცნობიერებაში გაჩნდნენ, ისტორიული თვალსაზრისით ინდივიდუალური სტატუსი აქვთ და მჭიდროდ უკავშირდებიან თავიანთი შემოქმედის სახელს (მოცემულ შემთხვევაში ჰელიოცენტრისტული სისტემის ფუძემდებელს – ნ. კოპერნიკს). ანალოგიურად ხდება

მთელი რიგი ნაციონალურ-კულტურული სემების ფორმირება. მოგვიანებით კონკრეტულ ნაციონალურ არეალში წარმოქმნილი სემები ცნებით-ეკვივალენტური ხდება. დღეს, გლობალიზაციის პირობებში, როცა უფრო და უფრო აქტიურდება საერთაშორისო ურთიერთობები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა მსოფლიო ერთიან საინფორმაციო სივრცედ აქციეს, თითქმის ყველა ენაში უპრეცედენტო ტემპითა და სიხშირით შედის ახალი სემები კონტრასტული ნაციონალურ-კულტურული არეალებიდან.

მაშასადამე, სემის მიგრაციის მიმართულება ასეთია: ინდივიდუალური არეალი – ნაციონალური არეალი – რეგიონალური არეალი – ზოგადსაკაცობრიო არეალი. აღნიშნულმა პროცესმა შესაძლოა საპირისპირო მიმართულებაც მიიღოს: სემა გაქრეს ზოგადსაკაცობრიო აზროვნებიდან, შემდეგ რეგიონალურიდან, ნაციონალურიდან და ბოლოს – ცალკეულ ინდივიდთა ცნობიერებიდან.


ლექსიკური ფონისათვის ნიშანდობლივია ერთგვარი ინერცია: აქტუალური რეალობიდან შეიძლება გაქრეს ესა თუ ის მოვლენა, მაგრამ იგი ენის საშუალებით ინახება სოციალურ მეხსიერებაში. ამიტომ დინამიკურ ჭრილში ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ სინქრონიული და დიაქრონიული სემები. ლექსიკურ ფონში გამოიყოფა სემა, რომელიც ასახავს აქტუალურ კულტურას და სემა, რომელიც კულტურის ადრინდელ მდგომარეობას გამოხატავს. თუმცა ყოველთვის არსებობს გარდამავალი ხასიათის სემაც, რომელიც ჯერ არ გამხდარა დიაქრონიული, მაგრამ უკვე სინქრონიული სემების რიგებსაც აღარ განეკუთვნება. ეს იმით აიხსნება, რომ ექსტრალინგვისტური სინამდვილის ცვლილება ენაზე, ამ უკანასკნელის კუმულაციური ბუნებიდან გამომდინარე, მყისიერად არ აისახება. იმისათვის, რომ სინქრონიული სემა დიაქრონიული გახდეს დროის მცირე მონაკვეთი არ არის საკმარისი.

დაბოლოს, საინტერესოა აქვს თუ არა ზღვარი შინაარსის პლანის შემადგენელ სემათა რაოდენობას. აქ დავეფუძნებით ეგზოთერულ და ეზოთერულ ასპექტთა შეპირისპირების პრინციპს (ვერემჰაგინი, კოსტომაროვი 1980: 126). ამკარაა, რომ ეგზოთერული სემები, რომლებიც მხოლოდ მოცემული ლექსიკური ერთეულისათვის

არ არის დამახასიათებელი, თეორიული თვალსაზრისით, რაოდენობრივ ჩარჩოებში არ ჯდება. ეზოთერული სემები კი მხოლოდ კონკრეტული ლექსიკური ერთეულისათვის არის ნიშანდობლივი და, თეორიულად, მათ რაოდენობას გარკვეული ზღვარი გააჩნია.

ამრიგად, ენობრივ ერთეულთა სემანტიკაში ასახული ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკა სხვადასხვა ტერმინის სახით გვხვდება სპეციალურ ლიტერატურაში: ისტორიულ-კულტურული კონპონენტი, ნაციონალურ-კულტურული კომპონენტი, ფონური ცოდნა. ყველა შემთხვევაში საქმე გვაქვს შინაარსის პლანის განსაკუთრებულ ასპექტთან, რომელიც ჩემი კვლევის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს. ეს ის სემანტიკური კომპონენტია, რომელიც უზრუნველყოფს ნაციონალურ-კულტურული ხასიათის ინფორმაციის დაგროვებას, გარდაქმნა-დამუშავებას და შენახვას. ნაციონალურ-კულტურულ სპეციფიკას მოვიაზრებთ განსაზღვრულ ფონად, რომელიც, რიგ მკვლევართა (ვ.პ.ფურმანოვა, ჰ.ჰამერლი და ა.შ.) მიერ შემუშავებულ კლასიფიკაციის მოდელებზე დაყრდნობით, პირობითად დავყავი რამდენიმე სექტორად – ისტორიულ (ეროვნულ ცნობიერებაში კოდირებული ისტორიული ხასიათის ინფორმაცია), გეოგრაფიულ (ეროვნულ ცნობიერებაში კოდირებული გეოგრაფიული ხასიათის ინფორმაცია), ეთნოკულტურულ (ეროვნულ ცნობიერებაში კოდირებული ეთნოკულტურული ხასიათის ინფორმაცია), სოციოკულტურულ (ეროვნულ ცნობიერებაში კოდირებული სოციოკულტურული ხასიათის ინფორმაცია) და სემიოტიკურ (ინფორმაცია ეროვნულ ცნობიერებაში არსებული სიმბოლიკის შესახებ) არეალებად (იხ. სქემა 2).

სქემა 2. ნაციონალურ-კულტურული არეალები



აღნიშნულ არეალთათვის დამახასიათებელია ურთიერთშეღწევა, რადგან მოიცავენ არაერთ ურთიერთდაკავშირებულ ასპექტს და სხვადასხვა კუთხით წარმოაჩენენ ენაში ობიექტივირებულ ერთიან ნაციონალურ კულტურას.

თავი II

კვაზირელია როგორც გარდამავალი საფეხური უნივერსალიასა და რეალიას შორის


2.1 . ინვარიანტულ და ვარიანტულ მახასიათებელთა სინთეზი

როგორც უკვე აღინიშნა, ბოლო ათწლეულების მანძილზე ინტენსიური კულტურათაშორისი კომუნიკაციის პროცესში თანამედროვე ლინგვისტური აზროვნებისათვის უფრო და უფრო აქტუალური ხდება ნაციონალურ-კულტურული ნიშნით მარკირებული ენობრივი ერთეულების სიღრმისეული ანალიზი. ჩემი კვლევის ობიექტი – კვაზირელია – ნაწილობრივ ეკვივალენტურ ლექსიკას განეკუთვნება და წარმოადგენს რეფერენტს, რომელსაც შესაპირისპირებელ ენაში გააჩნია ეკვივალენტი, ემთხვევა მას არსებითი ნიშნებით, მაგრამ განსხვავდება მისგან მეორადი მახასიათებლებით. არსებით ნიშანთა იდენტურობა კვაზირელიას უნივერსალიასთან აახლოებს, ხოლო მეორად ნიშანთა კონტრასტულობა – რეალიასთან. ამდენად, იგი ერთგვარი გარდამავალი საფეხურია ორ უნივერსალურ ენობრივ-კულტურულ ფენომენს – უნივერსალიასა და რეალიას შორის, და თავადაც უნივერსალურ ენობრივ-კულტურულ ფენომენად გვევლინება.

კვაზირელიების, როგორც რეფერენტების ცალკეულ, სპეციფიკურ ჯგუფად ჩამოყალიბება რეალიების წიაღიდან იწყება. მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს განსაკუთრებული ტიპის რეალიასთან, რომელსაც შესაპირისპირებელ ენაში გააჩნია ფუნქციური ანალოგი და, თავისი სპეციფიკის შესაბამისად, კვლევის განსხვავებულ მიდგომასა და მეთოდოლოგიას საჭიროებს. აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა დაინტერესება ვ.პ.კონეცკაიას მიერ შემუშავებული რეფერენტთა კლასიფიკაციის მოდელით, რომლის ფარგლებში გამოიყოფა უნივერსალიები იდენტური პირველადი და მეორადი ნიშნებით, რეალიები – კონტრასტული პირველადი და მეორადი ნიშნებით

და კვაზირეალიები – იდენტური პირველადი ნიშნებით და კონტრასტული მეორადი ნიშნებით (იხ. სქემა 3).

სქემა 3. რეფერენტების კლასიფიკაციის მოდელი



მაშასადამე, განსხვავებულ კულტურათა შეპირისპირებისას შეინიშნება სამი სახის ურთიერთდამოკიდებულება მათ ელემენტებს შორის. შესაბამისად, კულტურის ელემენტები, პირობითად, დაიყოფა სამ ჯგუფად:

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ელემენტები, რომლებიც შესაპირისპირებელ კულტურებში ერთმანეთს ემთხვევა როგორც პირველადი, ისე მეორადი მახასიათებლებით: sun – მზე, air - ჰაერი, fire – ცეცხლი, love – სიყვარული, happiness – ბედნიერება.

მეორე ჯგუფის ელემენტები გამოირჩევა როგორც პირველადი, ისე მეორადი ნიშნების უნიკალურობით – Big Ben, Thanksgiving, kilt, pudding - სვეტიცხოველი, ლომისობა, ჩოხა, ჩურჩხელა.

მესამე ჯგუფის ელემენტები ერთმანეთს ემთხვევა არსებითი ნიშნებით, მაგრამ განსხვავდება მეორადი მახასიათებლებით: sabbatical year – შემოქმედებითი შვებულება, teacher training college - პედაგოგიური ინსტიტუტი.

უნიკალურობის განსხვავებული ხარისხის საფუძველზე პირველ ჯგუფს, როგორც უკვე მივუთითეთ, განვიხილავთ უნივერსალიებად, მეორე ჯგუფს – რეალიებად, ხოლო მესამეს – კვაზირეალიებად (კონეცკაია 1980: 463–466).

კვაზირეალია ფართო პერსპექტივას შლის შეპირისპირებითი კვლევის მიმართულებით. კონტრასტული ანალიზის საფუძველი ცნებათა კატეგორიებია, ანუ განყენებული ზოგადი მნიშვნელობები, რომლებიც შესაპირისპირებელ ენებში ამა თუ იმ გამოხატულებას პოულობს (მეგრელიშვილი et al. 2012: 20). კვაზირეალიების შეპირისპირებითი კვლევის საფუძველს წარმოადგენს სემანტიკური უნივერსალიები, რომლებთანაც ასოცირდება კვაზირეალიების არსებითი, ინვარიანტული ნიშნები.

უნივერსალია უკლებლივ ყველა ენის, ან ენათა დიდი უმრავლესობისათვის დამახასიათებელი სტრუქტურული ნიშან-თვისებაა. ყველა ენისათვის დამახასიათებელ უნივერსალიას აბსოლუტური ეწოდება, ხოლო ენათა უმრავლესობისათვის ნიშანდობლივს – სტატისტიკური, ანუ კვაზიუნივერსალია. ობიექტის მიხედვით ერთმანეთისაგან იმიჯნება ფონოლოგიური, გრამატიკული და სემანტიკური უნივერსალიები (გამყრელიძე et al. 2008: 401).

სემანტიკური უნივერსალიები გადმოგვცემს ერთსა და იმავე ცნებას სხვადასხვა ფონემური შემადგენლობის მქონე სიტყვებით სხვადასხვა ენაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სემანტიკური უნივერსალია უფრო მეტად ფარდობითია, ვიდრე ზუსტი, ანუ სხვადასხვა ენაში ერთი და იმავე ცნების გადმოცემა აბსოლუტურად ერთი და იმავე მნიშვნელობით პრაქტიკულად არ ხდება. ამასთან, სემანტიკურ უნივერსალიათა უმეტესობა უფრო სტატისტიკურია, ვიდრე აბსოლუტური.

სემანტიკური უნივერსალები იგივე კონცეპტუალურ-კულტურული უნივერსალებია. ა. ვეჟბიცკაია მიუთითებს, რომ დაუშვებელია სხვადასხვა ენის მიერ წარმოდგენილი მსოფლმხედველობრივი სისტემების შეპირისპირების შეუძლებლობის მტკიცება. რასაკვირველია, ენობრივი და კულტურული სისტემები მნიშვნელოვანწილად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ არსებობს ლექსიკური და სემანტიკური უნივერსალები, რომლებიც ენის, აზროვნებისა და კულტურის საერთო ცნებით საფუძველზე მიუთითებენ (ვეჟბიცკაია 1999: 322).

კულტურული უნივერსალია უკავშირდება როგორც საგნობრივ სამყაროს, ისე ეთნოსის ნაციონალურ-კულტურულ და ზნეობრივ პრობლემატიკას. ეს ორი ასპექტი განაპირობებს უნივერსალის სემანტიკურ ტევადობას და მის უნარს მოგვევლინოს ნაციონალური და ეპოქალური სიმბოლოების გამომხატველად (მასლოვა 2001: 53).

ამრიგად, კვაზირეალების ინვარიანტული მახასიათებლები სემანტიკურ უნივერსალებს უკავშირდება. რაც შეეხება ვარიანტულ ნიშნებს, ამ შემთხვევაში კვაზირეალებისა და რეალების ურთიერთმიმართებასთან გვაქვს საქმე.

სოციოკულტურული ხასიათის ინფორმაციას, რომელიც მხოლოდ განსაზღვრული ერისათვის არის ნიშანდობლივი და ასახულია მის ენაში, ვ.ს. ვინოგრადოვი ფონურ ინფორმაციას უწოდებს. იგი მოიცავს სპეციფიკურ ისტორიულ ფაქტებს, სახელმწიფოებრივი წყობისა და გეოგრაფიული გარემოს თავისებურებებს, მატერიალური კულტურის ნიმუშებს, ფოლკლორულ ცნებებს – ყოველივეს, რასაც თარგმნის თეორია რეალიებად მოიხსენიებს (ვინოგრადოვი 2001: 63).

რეალის ცნება მრავალმნიშვნელოვანია და სხვადასხვაგვარად აღიქმება. რეალიებად შესაძლოა მივიჩნიოთ საგნები და მოვლენები ჩვენი გარემომცველი რეალობიდან, თუმცა თარგმნის თეორიასა და პრაქტიკაში აღნიშნული ცნება უკავშირდება სინამდვილის იმ საგნებსა და მოვლენებს, რომლებიც მხოლოდ განსაზღვრული კულტურისათვის არის დამახასიათებელი. რეალის ამ მნიშვნელობის საფუძველზე აღმოცენდა კიდევ ერთი მნიშვნელობა – რეალიებად მოიხსენიებენ იმ

ენობრივ ერთეულებსაც, რომლებიც სინამდვილის უნიკალურ საგნებსა და მოვლენებს აღნიშნავენ.

კულტურის ელემენტები აისახება ადამიანის ცნობიერებაში და, შესაბამისად, მის ენაში. რეალია, პირველყოვლისა, განიხილება, როგორც „განსაკუთრებული რეფერენტი“, „აზრობრივი ობიექტი“ (კონეცკაია 1980: 463–466). ამაზე მიუთითებს ა.ვ. ფედოროვიც შრომაში „თარგმნის ზოგადი თეორიის საფუძვლები“ (1983). ეს რეფერენტი ვერბალიზებულია ენობრივი ერთეულების სახით. მოცემულ შემთხვევაში ტერმინი „რეალია“ პოლისემიურია, რადგან მიუთითებს როგორც სინამდვილის ობიექტებზე, ისე მათ ენობრივ გამოხატულებაზე. ამ უკანასკნელის აღსანიშნავად ზოგჯერ მიმართავენ ტერმინს – ენობრივი რეალიები.

ენობრივი რეალიები ხშირად მოიხსენიება სახელწოდებით „არაეკვივალენტური ლექსიკა“, თუმცა საუბრობენ რეალიების თარგმანზეც, რაც გვევლინება გამოხატვის პირობითი და გამარტივებული საშუალებების სახით (ტრანსკრიფცია, ტრანსლიტერაცია, კალკირება, გენერალიზაცია, აღწერითი მეთოდი).

რეალიების პრობლემა საკმაოდ საფუძვლიანად არის გაშუქებული თარგმნის თეორიისა და პრაქტიკისადმი მიძღვნილ სპეციალურ ლიტერატურაში. აღნიშნულ საკითხს სხვადასხვა ასპექტით ამუშავებენ თარგმნის თეორეტიკოსები.

ი. ვ. კაშკინი (1952) წერს დედნის თარგმნის ნაციონალურ თავისებურებებზე, ეროვნულ სულსა და ეროვნულ სპეციფიკაზე, დედნის სტილისტური თავისებურებების დაცვის და ტექსტის ნაციონალური შეფერილობის სათანადოდ თარგმნის აუცილებლობაზე.

რეალიებს, როგორც ნაციონალური სპეციფიკის კონკრეტულ ელემენტებს, ასახელებენ გასული საუკუნის 50–იანი წლების დასაწყისში. ლ.ნ. სობოლვევი ტერმინ რეალიას მისი თანამედროვე გაგებით იყენებს და, ამასთან, გვთავაზობს საკმაოდ მკაფიოდ ფორმულირებულ დეფინიციას: რეალია მიუთითებს ყოფითი და სპეციფიკური ხასიათის მქონე ნაციონალურ სიტყვებსა და კონსტრუქციებზე, რომელთაც არ გააჩნიათ ეკვივალენტი განსხვავებულ კულტურასა და ენაში (სობოლვევი

1952: 281). რეალიებს განიხილავს, აგრეთვე, გ.ვ. ჩერნოვი (1958), რომელიც მიმართავს ტერმინს – არაეკვივალენტური ლექსიკა. ა.ე. სუპრუნი (1958) რეალიებს განიხილავს, როგორც ეგზოტიკურ ლექსიკას.

რეალიების საკითხი დამუშავებულია გასული საუკუნის მეორე ნახევრის თარგმნის თეორეტიკოსთა მიერ: ვ.ნ. კომისაროვი (1965, 1980, 1990), ლ.ს. ბარხუდაროვი (1975), ა.დ. შვეიცერი (1963, 1973, 1988), ს. ვლახოვი, ს. ფლორინი (1980). თანამედროვე მკვლევართაგან აღნიშნულ სფეროში კვლევებს აწარმოებენ ვ.პ. კონცკაია (1980) და ა.ვ. სუპერანსკაია (2000).

ო.ს. ახმანოვა ტერმინ რეალიას (ლათ. *realia* – რეალური, საგნობრივი) შემდეგნაირად განმარტავს: 1. ლინგვისტიკის კვლევის ობიექტი – სხვადასხვა ფაქტორები, როგორცაა, მაგალითად, კონკრეტული ქვეყნის სახელმწიფოებრივი წყობა, კონკრეტული ერის ისტორია და კულტურა, კონკრეტულ ენაზე მოსაუბრეთა ენობრივი კონტაქტები მოცემულ ენაში მათი ასახვის თვალსაზრისით; 2. მატერიალური კულტურის საგნები (ახმანოვა 2007: 381).

რეალიების რიცხვს მიაკუთვნებენ ონომასტიკურ რეალიებს: ტოპონომები, განსაკუთრებით კულტურულ–ისტორიული ასოციაციების შემცველი გეოგრაფიული სახელები; ანთროპონიმები: ისტორიული პიროვნებების, ლიტერატურული და ფოლკლორული პერსონაჟების სახელები; მხატვრულ ნაწარმოებთა სახელწოდებები, ისტორიული ფაქტები და მოვლენები, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა სახელწოდებები და ა.შ.

რეალიებთან მიმართებაში ე.მ. ვერესჩაგინი და ვ.გ. კოსტომაროვი ოპერირებენ ტერმინებით: ფონური და კონოტაციური ლექსიკა, არაეკვივალენტური ლექსიკა, ლექსიკური ერთეულები კულტურული კომპონენტით. მკვლევარები გულისხმობენ ლექსიკურ ერთეულებს, რომელთა სემანტიკა ასახავს კონკრეტული კულტურის სპეციფიკას (ვერესჩაგინი, კოსტომაროვი 1983: 12-15).

გ.დ. ტომახინი რეალიებს მიაკუთვნებს აპელაციურ ლექსიკას: ბუნებრივი გეოგრაფიული გარემოს, ფლორასა და ფაუნის სპეციფიკის ამსახველ ტერმინებს;

სახელმწიფოებრივ წყობასთან, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასთან, იურისპრუდენციასთან, სამხედრო საქმესთან, ხელოვნებასთან, განათლების სისტემასთან, წარმოებასთან და საწარმოო ურთიერთობებთან, ყოფა-ცხოვრებასთან, ტრადიციებსა და ზნე-ჩვეულებებთან დაკავშირებული ლექსიკას; ციტატებსა და ფრთიან გამონათქვამებს (აფორისტიკული რეალიები) (ტომახინი 1988: 8).

გ.დ. ტომახინი ერთმანეთისაგან განასხვავებს დენოტატურ და კონოტაციურ რეალიებს. დენოტატურ რეალიებს არ გააჩნიათ ეკვივალენტი შესაპირისპირებელ ენაში, ხოლო კონოტაციურ რეალიებს აქვთ ფუნქციური ანალოგი, თუმცა განსხვავდებიან მისგან კონკრეტული კულტურული გარემოსათვის ნიშანდობლივ კულტურულ-ისტორიულ ასოციაციებზე დაფუძნებული დამატებითი მნიშვნელობებით (ibid. 82-90).

ვ.ს. ვინოგრადოვი რეალიებად მიიჩნევს ერის ისტორიულ, სახელმწიფოებრივ, გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ თავისებურებებს და მათ ამსახველ ლექსიკას არაეკვივალენტურს უწოდებს. მკვლევარი ცალკე გამოყოფს ასოციაციურ რეალიებს, რომელთა საფუძველია სემანტიკის განსაზღვრული კომპონენტები, ემოციურ-ექსპრესიული ასოციაციები, ლექსიკური ერთეულის შინაგანი ფორმა და ა.შ. ასეთ შემთხვევაში ცნებით-ეკვივალენტურ ლექსიკურ ერთეულებს შორის ფიქსირდება სემანტიკური კონტრასტები (ვინოგრადოვი 2001: 37).

არაეკვივალენტური ენობრივი ერთეულები ენის კუმულაციური ფუნქციის პროდუქტია. მათ, ჩვეულებრივ, განიხილავენ, როგორც ფონური ცოდნის ელემენტებს, რომლებიც ფიქსირებულია ამა თუ იმ ენაზე მოსაუბრე ინდივიდთა ცნობიერებაში. კულტურული ხასიათის კონტრასტებით განპირობებული ენობრივი კონტრასტები ყველაზე უფრო თვალსაჩინო ხდება ლექსიკური ერთეულებისა და ფრაზეოლოგიზმების მაგალითების დემონსტრირებისას, რადგან ენის ნომინაციური საშუალებები უშუალოდ უკავშირდება ექსტრალინგვისტურ სინამდვილეს.

რეალიების კლასიფიკაცია საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს, რადგან ისინი მოიცავენ ერის კულტურის თითქმის ყველა ასპექტს. კლასიფიცირებისას ვეყრდნობით

ორ ძირითად მიდგომას: კლასიფიცირებას საგნობრივი და დროითი ნიშნების საფუძველზე.

საგნობრივი კლასიფიკაციით რეალები კატეგორიებად იყოფა იმის მიხედვით, ადამიანის მოღვაწეობის რომელ სფეროსაც განეკუთვნება ისინი და არა აქვს მნიშვნელობა გამოიყენება თუ არა თანამედროვე ენაში. გამოვყოფთ შემდეგ კატეგორიებს:

1. გეოგრაფიული რეალები:

prairie, loch; ჭიუხი, ორწობი.

2. ეთნოკულტურული რეალები:

კულინარიული პროდუქტი: molasses, pudding, quiche, ploughman's lunch; საცივი, სულგუნი, გოზინაყი, თათარა/ფელამუში, ჩურჩხელა.

სამოსი: moccasin, sandal, kilt; ჩოხა, ახალუხი, ყაბალახი.

საცხოვრებელი: terraced house, penthouse; ოდა, სვანური კოშკი.

დღესასწაულები: Thanksgiving; ღომისობა.

მითოლოგიური პერსონაჟები: Cinderella; ნაცარქექია.

თამაშები: "king of the castle", "puss in the corner"; ყაბახი, ლახტაობა, თარჩია.

3. სოციოკულტურული რეალები:

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები: county, West/East End; ხევი, საერისთავო, მაზრა.

თანამდებობები: Lord Chancellor; ერისთავი.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები, მიმდინარეობები, მოღვაწეები: tory, whig, labour party, hippie, lobbyism; თერგდალეულები, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია;

წოდება, ხარისხი, ტიტული: earl, peer; თავადი, აზნაური.

რეალიათა დროითი ნიშნების საფუძველზე კლასიფიკაციისათვის დამახასიათებელია დიაქრონიული მიდგომა. რეალიები კლასიფიცირდება იმის მიხედვით, გამოიყენებიან თუ არა თანამედროვე ენაში. მოცემულ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა ადამიანის მოღვაწეობის რომელ სფეროს უკავშირდებიან ისინი. აქედან გამომდინარე, გამოვყოფთ რეალიების ორ ჯგუფს: ისტორიულ და თანამედროვე რეალიებს. თუმცა ზოგჯერ რთულია გავავლოთ მათ შორის მკვეთრი ზღვარი. რიგ შემთხვევებში რეალია, როგორც ობიექტი, აღარ არსებობს, მაგრამ მისი აღმნიშვნელი ენობრივი რეალია აგრძელებს არსებობას, რადგან მან უკვე ახალი მნიშვნელობა შეიძინა (workhouse დღეს ამერიკაში ციხეს ნიშნავს, ხოლო წარსულში ბრიტანეთში აღნიშნავდა თავშესაფარს, სადაც სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლები საკუთარი შრომით ირჩენდნენ თავს).

ენობრივ რეალიებს შორის გამოვყოფთ ისტორიზმებს – სიტყვებს, რომლებიც აღნიშნავენ მკვდარ რეალიებს (franklin – თავისუფალი მიწათმფლობელი შუა საუკუნეებში) და ნეოლოგიზმებს – ახლად აღმოცენებულ რეალიებს (D-day – 1971 წლის 15 თებერვალი, ათობითი სამონეტო სისტემის შემოღების დღე გაერთიანებულ სამეფოსა და ირლანდიაში).

ენობრივი რეალიების ლექსიკურ–გრამატიკულ რიგებში აისახება რეალიების სხვადასხვა კატეგორიული თვისება. მათი უმრავლესობა სუბსტანტივია. ზმნური ფორმები ყველაზე მცირერიცხოვან ჯგუფს შეადგენს. მაგალითად, to squat - აღნიშნავს სხვისთვის კუთვნილი მიწის თვითნებურ დაკავებას. ზოგიერთი ზმნა ნაწარმოებია კონვერსიის შედეგად: to whip - პარლამენტის წევრის გამოძახება სხდომაზე. ადიექტიური ფორმები, ძირითადად, საკუთარი სახელებისგან არის ნაწარმოები: Edwardian - მეფე ედუარდ VII - ის პერიოდის.

შედარებით იშვიათად ენობრივი რეალიები ქმნის ომონიმურ წყვილებს, მაგალითად, D-day (1944 წლის 6 ივნისი – ანგლო–ამერიკული შეიარაღებული ძალების ნორმანდიაში შესვლის დასაწყისი) და D-day (1971 წლის 15 თებერვალი – ათობითი სამონეტო სისტემის შემოღების დღე).

ერთმანეთისაგან იმიჯნება რეალიების შემდეგი სიტყვათწარმოებითი ტიპები:
ფუძისეული – bingo (ლოტოს ტიპის აზარტული თამაში).
ნაწარმოები – oxfordettes (ქალის დაბალყელიანი თასმებიანი ჩექმები).
რთული – Ironside (მეფე ედმუნდ II -ისა და ოლივერ კრომველის მეტსახელი).
რთულად ნაწარმოები – double-decker.
რთული შემოკლებული ფორმა – D-Day (სრული ფორმა – Decimal Day).
შემოკლებულ-ნაწარმოები – bookie (სიტყვისაგან – bookmaker).
აბრევიატურები – WRNS – Women’s Royal Naval Service.

ჩემი უშუალო კვლევის ობიექტი – კვაზირეალიები (ლათ. quasi - „თითქმის“, „თითქოს“) საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე არ მიიჩნეოდა განცალკევებული ჯგუფის რეფერენტებად. მათ იმ რეალიების რიცხვს მიაკუთვნებდნენ, რომელთა თარგმნა შესაძლებელი იყო ფუნქციური ანალოგის საშუალებით, ანუ ისეთი ეკვივალენტის გამოყენებით, რომელიც შეესაბამება მას არსებითი ნიშნებით. რეფერენტთა კლასიფიკაციის სამწევროვანი მოდელი დასახელებული საკითხისადმი მიდგომის ცვლილებაზე მეტყველებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ კულტურას არ ახასიათებს სტატიკურობა. თანამედროვე მსოფლიოში უაღრესად გააქტიურდა კულტურათაშორისი კომუნიკაცია, რის შედეგადაც ხდება ერთი კულტურისათვის დამახასიათებელი მოვლენის გათავისება მეორე კულტურის მიერ. უცხოური კულტურული სივრციდან ნასესხები რეფერენტები ახალ რეალობაში ერთგვარ მოდიფიცირებას განიცდიან. ისინი, რასაკვირველია, არსებითი ნიშნებით კვლავ ემთხვევიან ორიგინალს, მაგრამ განსხვავდებიან მეორეხარისხოვანი მახასიათებლებით და უკვე სახეზეა ნაწილობრივი ეკვივალენტობის პრობლემა. თუმცა კვაზირეალია იშვიათად წარმოადგენს ნასესხებ რეფერენტს. კვაზირეალიათა დიდი ნაწილი ისტორიულად ჩამოყალიბდა შესაბამის კულტურებში.

კვაზირეალიების არსებით მახასიათებლებში ვგულისხმობთ ინვარიანტულ სემებს ენობრივ ერთეულთა შინაარსის პლანში, მეორად ნიშნებში კი – ვარიანტულ მახასიათებლებს როგორც შინაარსის, ისე გამოხატულების პლანში, რომელთა არსებობას კონკრეტული ნაციონალურ–კულტურული სპეციფიკა განაპირობებს.

განვიხილოთ კვაზირეალიების კონკრეტული მაგალითი: ინგლისური “Sabbatical Year” და ქართული „შემოქმედებითი შვებულება“. ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ მათი ინვარიანტული და ვარიანტული მახასიათებლები. როგორც სემანტიკური უნივერსალია, ორივე ვარიანტი გულისხმობს უფლებამოსილებას, რომელიც ეძლევა აკადემიურ პერსონალს რამდენიმე წელიწადში ერთხელ კვალიფიკაციის ასამაღლებლად აიღოს ანაზღაურებადი სამეცნიერო–შემოქმედებითი შვებულება არაუმეტეს ერთი სასწავლო წლის ვადით. ეს არის კვაზირეალიების არსებითი მახასიათებელი. მაგრამ ინგლისური ვარიანტის შინაარსის პლანში იკვეთება განსხვავებული ასოციაციური სემა: ინგლისური ნაციონალურ–კულტურული ცნობიერება კვაზირეალიას უკავშირებს კვირის მეშვიდე დღის უქმე დღედ აღიარების იუდაისტურ პრინციპს და ძველ ებრაულ სამიწათმოქმედო ტრადიციას შვიდ წელიწადში ერთხელ სავარგულების გამოყენებისაგან თავის შეკავების შესახებ, მათი ნაყოფიერების გაზრდის მიზნით. აღნიშნული ვარიანტული სხვაობა უდევს საფუძვლად კონტრასტს გამოხატულების პლანში, სადაც წარმოდგენილია განსხვავებულ მოტივაციურ საფუძველზე აღმოცენებული ფუძეები. ქართული ნაციონალურ–კულტურული ცნობიერება კი კვაზირეალიის ვერბალიზებისას კრეატიულობის კონცეპტს ეყრდნობა. შინაარსის პლანში მეორე ვარიანტული მახასიათებელია ინგლისური ვარიანტის უფრო ფართო სემანტიკური დიაპაზონი: ამ ფორმით აღინიშნება არა მარტო აკადემიური პერსონალის, არამედ სხვა საზოგადოებრივ სფეროებში დასაქმებულთა შვებულებაც.

გამოხატულების პლანში მსგავსებას წარმოადგენს ადიექტიური და სუბსტანტიური ფორმების სინთეზის შედეგად წარმოქმნილი კოლოკაციების იდენტურობა ორივე

შემთხვევაში. ინგლისური ვარიანტი გვხვდება შემოკლების სახითაც – sabbatical, რაც გასუბსტანტივებული ადიექტიური ფორმაა.

2.2 . კვაზირეალიების მიმართება სხვა ლექსიკურ ჯგუფებთან

კვლევის ერთ–ერთ ამოცანას წარმოადგენს დავადგინოთ, რომელი ნიშან–თვისებები გამოარჩევს ენობრივ რეალიებსა და კვაზირეალიებს მომიჯნავე ლექსიკური ჯგუფებისაგან.

თავდაპირველად განვიხილოთ მათი მიმართება ტერმინთან. ტერმინი წარმოადგენს სიტყვას, ან სიტყვათშეთანხმებას, რომლითაც აღნიშნულია მეცნიერების, ხელოვნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებისათვის დამახასიათებელი ცნება, საგანი, მოვლენა, თვისება, ურთიერთდამოკიდებულება, ან პროცესი. ეს არის ერთმნიშვნელოვანი ლექსიკური ერთეული, რომელსაც თითქმის არ გააჩნია სინონიმები, რადგან ცოდნის სიზუსტე ავტომატურად მოითხოვს მისი გამოხატვის სიზუსტეს. ზოგჯერ რთულია განსაზღვრო მოცემული ლექსიკური ერთეული ტერმინს წარმოადგენს, თუ რეალიას. არსებობენ ისეთებიც, რომლებსაც ტერმინებსაც მივაკუთვნებთ და რეალიებსაც. ასეთ შემთხვევებში ა.დ. შვეიცერი იყენებს სახელწოდებას – „ტერმინი–რეალია“ (1973).

რეალიასა და ტერმინს შორის არსებული ზღვარის მერყეობაზე საუბრობს ა.ე. სუპრუნიც (1958). მკვლევარი ენობრივ რეალიებს ეგზოტიკურ ლექსიკას მიაკუთვნებს. იგი მიუთითებს, რომ გეოგრაფიული და ისტორიული ხასიათის ტექსტებში კანონზომიერია ეგზოტიკური ლექსიკის გამოყენება, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ამ უკანასკნელის როლი ახლოს დგას ტერმინოლოგიური ლექსიკის როლთან.

პირველი განსხვავება რეალიასა და ტერმინს შორის იმაში მდგომარეობს, რომ რეალია არაეკვივალენტურ ლექსიკას განეკუთვნება, ხოლო ტერმინს თითქმის ნებისმიერ კონტექსტში მოეპოვება ეკვივალენტი. ამასთან, ტერმინი ამა თუ იმ დარგის სპეციფიკური ენის ელემენტია, რომელსაც არ გააჩნია ნაციონალური, ან ისტორიული შეფერილობა და, უპირატესად, ასრულებს ნომინაციის ფუნქციას. განსხვავებული ჟანრის ტექსტში მოხვედრისას ტერმინი ითავსებს, ასევე, სხვადასხვა სტილისტური ფუნქციის შესრულების როლს. რეალია და კვაზირეალია კი, ძირითადად, მხატვრულ ლიტერატურას უკავშირდება, სადაც წარმოადგენს ადგილისა და დროის კოლორიტის გადმოცემის საშუალებას.

ტერმინი, ჩვეულებრივ, ვრცელდება იმ რეფერენტის გავრცელების პარალელურად, რომლის სახელდებასაც ახდენს. იგი შედის ყველა იმ ერის ენაში, რომელიც იცნობს მის რეფერენტს. ტერმინი თავისუფალია ნაციონალური კუთვნილებისაგან და მთელი კაცობრიობის მიღწევად ითვლება. რეალია და კვაზირეალია კი იმ ერის კუთვნილებაა, რომლის წიაღშიც ჩაისახა. ტერმინისაგან განსხვავებით, რეალია შედის სხვა ენაში იმისდა მიუხედავად, იცნობს თუ არა შესაბამისი ერი მის რეფერენტს. ყველაზე ხშირად ეს ხდება ლიტერატურისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით.

არსებობს ისეთი რეალიებიც, რომლებიც ცნობილია საერთაშორისო მასშტაბით და ისე ფართოდ გამოიყენება, როგორც ტერმინები. თუმცა მოცემულ შემთხვევაშიც რეალიას ტერმინისაგან განასხვავებს გამოყენების სფერო და ნაციონალურ-კულტურული ელფერი.

ტერმინები რეალიისა და კვაზირეალიისაგან განსხვავდება, ასევე, წარმოშობის ხასიათის თვალსაზრისით. ბევრი ტერმინი ხელოვნურად იქმნება რეფერენტის ნომინაციის მიზნით. ხშირად მათ საწარმოებლად ბერძნულ და ლათინურ მორფემებს მიმართავენ. ტერმინები წარმოიქმნება, აგრეთვე, უკვე არსებული სიტყვების ხელახალი გააზრების გზით. რაც შეეხება რეალიასა და კვაზირეალიას, ისინი აღმოცენდება ბუნებრივი სიტყვათწარმოების საშუალებით, რაც სავსებით გასაგებია: ორთავე

ნაციონალურ-კულტურული ფენომენია და მჭიდრო კავშირშია მათი შემქმნელი ერის ყოფა-ცხოვრებასა და მსოფლმხედველობასთან.

ზოგიერთი რეალიისათვის დამახასიათებელია საკუთარი სახელის ნიშან-თვისებები, ზოგიც ორთავე აღნიშნული კატეგორიის მიჯნაზე დგას. ბევრი საკუთარი სახელი შეიძლება მივიჩნიოთ რეალიად. აქ უნდა დავასახელოთ ე.წ. „რეპრეზენტაციული სახელები“: ცალკეულ პიროვნებათა სახელები, რომლებიც მიუთითებენ განსაზღვრული ნაციონალური, წოდებრივი, პროფესიული და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფების ტიპურ წარმომადგენლებზე. მაგალითად, John Bull – ტიპური ინგლისელი მამაკაცი (ჯ. არბუთნოტის “The History of John Bull”); Jeeves – იდეალური მსახური (პ.გ. ვოუდჰაუსის წიგნების სერია “Jeeves and Wooster”); Mrs. Mopp – ტიპური შინამოსამსახურე (კომიკური პერსონაჟი რადიოკომედიიდან “It’s That Man Again” – ITMA).

საკუთარი სახელები შეიძლება გამოყენებული იქნეს საზოგადო მნიშვნელობით და არ მიუთითებდეს ადამიანზე: Aunt Sally - ერთგვარი თამაშის სახელწოდება.

ენობრივი რეალიები და კვაზირეალიები ახლოს დგას პროფესიონალიზმებთან და ზოგიერთ ჟარგონიზმთან, რადგან მათ რეფერენტებს შეიძლება ქონდეთ უნიკალური ხასიათი. თუმცა აღნიშნულ უნიკალურობას განსხვავებული საფუძვლები აქვს.

პროფესიონალიზმების რეფერენტები საკმაოდ ვიწრო პროფესიული წრეებისათვის არის ცნობილი. მაგალითად, dolly - იოლად დაჭერილი ბურთი კრიკეტში. ზოგიერთ სიტყვას სასაუბრო ლექსიკიდან შეიძლება ჰქონდეს უნიკალური რეფერენტი: carpetbagger (პარლამენტის წევრობის კანდიდატი, რომელიც არ ცხოვრობს მოცემულ საარჩევნო ოლქში). მაგრამ, ძირითადად, ჟარგონიზმები, სლენგიზმების მსგავსად, წარმოადგენს სხვადასხვა ლექსიკურ-გრამატიკულ რიგებში შემავალი სიტყვების სინონიმებს. პროფესიონალიზმები, ჟარგონიზმები და სლენგიზმები არასალიტერატურო ლექსიკას განეკუთვნება და რეალიებისა და კვაზირეალიებისაგან განსხვავდება სტილისტური თვალსაზრისით.

რაც შეეხება განსხვავებას რეალია–კვაზირეალიებსა და დიალექტიზმებს შორის, იგი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ დიალექტიზმი ეკუთვნის ენის სულ სხვა ნაირსახეობას – დიალექტს.

ამრიგად, რეალიები და კვაზირეალიები ქმნის სალიტერატურო ენის ლექსიკურ ერთეულთა განსაკუთრებულ ჯგუფს, რომელთა სპეციფიკურ შინაარსს განაპირობებს მათი რეფერენტების უნიკალურობა. ისინი შეიცავენ სტილისტურ კონოტაციას, რომელიც განასხვავებს მათ ტერმინებისგან, პროფესიონალიზმებისგან, ჟარგონებისა და სლენგიზმებისგან. არსებობს გარდამავალი ფორმებიც. მაგალითად, სიტყვა teller თემთა პალატაში ხმების დამთვლელის მნიშვნელობით წარმოიშვა, როგორც რეალია–პროფესიონალიზმი. თანამედროვე ინგლისურში აღნიშნული სიტყვა თანდათან კარგავს პროფესიონალიზმის ნიშან–თვისებებს. ის უკვე ცნობილია საზოგადოების საკმაოდ ფართო წრისათვის.

2.3 . კვაზირეალია და კონოტაციური ლექსიკა

კვაზირეალიის ფენომენთან თავისი არსით ახლოს დგას კონოტაციური ლექსიკა.

საზოგადოდ, კონოტაცია განისაზღვრება, როგორც დამატებითი ასოციაციების ერთობლიობა, რომელსაც ლექსიკური ერთეული აღძრავს კონკრეტულ ენაზე მოსაუბრეთა ცნობიერებაში.

გ. ლებანიძე ტრადიციული სტილისტიკის პრობლემატიკის განხილვისას მიუთითებს, რომ ყოველი გამონათქვამი, ან მისი კომპონენტი, გარდა დენოტაციისა, მუდამ შეიცავს კონოტაციას, როგორც ენობრივი ნიშნის მიერ აღნიშნული რეალობისადმი სუბიექტის დამოკიდებულების გამოხატვას. ეს დამოკიდებულება შეიძლება იყოს დადებითი, უარყოფითი, ან ნეიტრალური. კონოტაციის გარეშე

გამონათქვამი არ არსებობს, რადგან ნეიტრალური კონოტაციაც (პოზიტიური და ნეგატიური მარკირებული კონოტაციის ნეიტრალიზაციის შედეგი) კონოტაციის ერთ-ერთი (არამარკირებული) სახეობაა (ლეზანიძე 2004: 270–271).

თანამედროვე ლინგვისტიკაში კონოტაციის პრობლემის შესწავლის სამი მიმართულება იკვეთება: სემიოტიკური (ლ. ელმსლევი, რ. ბარტი), ფსიქოლინგვისტური (ა.ა. ლეონტიევი, ა.ა. ზალევსკაია) და საკუთრივ ლინგვისტური, რომლის ფუძემდებელია შ. ბალი.

სემიოტიკური მიდგომის მიხედვით კონოტაცია განიხილება, როგორც შინაარსი, რომლის განსაზღვრა შესაძლებელია ტექსტიდან დენოტატური სემანტიკის გამორიცხვით.

ფსიქოლინგვისტური ასპექტი მჭიდროდ უკავშირდება ასოციაციის ცნებას, მეტყველების ემოციურ ორგანიზაციას, განსაკუთრებით მის ნაციონალურ-კულტურულ ასპექტს მეტყველების აღქმის თავისებურებებთან მიმართებაში.

საკუთრივ ლინგვისტურ მიმართულებას სამი განშტოება აქვს: სტილისტური, ლექსიკოლოგიური და კულტუროლოგიური. სტილისტური განშტოება კონოტაციას განიხილავს, როგორც სემანტიკურ ფენომენს, რომელიც უზუალოურად, ან ოკაზიონალურად შედის ენობრივ ერთეულთა შინაარსის პლანში და გამოხატავს სუბიექტის ემოციურ-შეფასებით და სტილისტურ მიმართებას გარემომცველი სინამდვილისადმი, რის შედეგადაც გამონათქვამი იძენს ექსპრესიულობის ეფექტს. ლექსიკოლოგიური მიმართულება იკვლევს ენობრივ ერთეულთა ასეთი დამატებითი მნიშვნელობის წარმოქმნის საშუალებებს. კულტუროლოგიური მიმართულება კი კონოტაციას მოიაზრებს შინაარსის პლანის კომპონენტად, რომელიც ნაციონალურ-კულტურული ხასიათის ინფორმაციის მატარებელია და ქმნის შესაბამის სამეტყველო ეფექტს.

კულტუროლოგიური თვალსაზრისით კონოტაციის შინაარსს განსაზღვრავს მიმართება ამა თუ იმ კულტურულ კოდთან. სწორედ კულტურული კონოტაცია ანიჭებს ნაციონალურ-კულტურულ მნიშვნელობას არა მარტო მცირე ზომის ენობრივ

ერთეულებს, არამედ მთლიან ტექსტს. კონოტაციის აღმოცენების მექანიზმი უკავშირდება მნიშვნელობის ცალკეულ ასპექტთა გაძლიერებას. ხშირად ეს ხდება სიტყვის შინაგანი ფორმის საფუძველზე, რაც სტაბილური ასოციაციების წარმოქმნის მძლავრი სტიმულია. ლექსიკური ერთეულის შინაგანი ფორმა ის ზუსტი შინაარსია, რომელიც ემყარება სიტყვის წარმომქმნელი მორფემის მნიშვნელობას. ლექსიკური ერთეულის სემანტიკური განვითარების პროცესში შინაგანი ფორმა შესაძლოა ბუნდოვანი გახდეს, დავიწყებას მიეცეს, ან მნიშვნელოვანწილად დასცილდეს ლექსიკურ მნიშვნელობას. მიუხედავად ამისა, შინაგანი ფორმა მუდმივად არსებობს წარმოქმნილი სიტყვების სემანტიკაში, როგორც ენის ისტორიული მეხსიერება, რეფერენტის ადრინდელი აღქმის კვალი, რომელიც განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებს მის თანამედროვე გაგებას. შინაგანი ფორმის მიერ სტიმულირებული ასოციაციები, აზრობრივი ელფერი, კონოტაცია გაცილებით მკაფიო სპეციფიკის მატარებელია, ვიდრე დენოტაცია. აღნიშნული გარემოება შინაგან ფორმას უმნიშვნელოვანეს როლს აკისრებს კულტურის ტრანსლაციის პროცესში (მასლოვა 2001: 45–46).

თარგმნის თეორიაში კონოტაცია ლექსიკური ერთეულის პრაგმატიკულ მნიშვნელობად მიიჩნევა (ლ.ს. ბარხუდაროვი, ვ.ნ. კომისაროვი), რადგან ადრესანტი განსაზღვრულ გამონათქვამს ირჩევს შესაბამისი კომუნიკაციური პირობების გათვალისწინებით სასურველი კომუნიკაციური ეფექტის შესაქმნელად.

ს. ვლახოვი და ს. ფლორინი (1980) მიიჩნევენ, რომ რეალიას საგნობრივ მნიშვნელობასთან ერთად აქვს კოლორიტი – ნაციონალურ–ისტორიული ელფერი. მაშასადამე, აღნიშნული ლინგვისტები უპირატესობას ანიჭებენ ტერმინ „კოლორიტს“ და განმარტავენ მას, როგორც ლექსიკური ერთეულის ელფერს, რომელსაც იგი იძენს მის მიერ აღნიშნული რეფერენტის კონკრეტული ერის, თუ ისტორიული ეპოქისადმი კუთვნილების შედეგად. კოლორიტი გულისხმობს მოცემული ქვეყნის, რეგიონის, თუ ისტორიული პერიოდის სპეციფიკას, რომელიც მათ განასხვავებს სხვა ქვეყნების, რეგიონებისა და ეპოქებისაგან.

კონოტაცია ამა თუ იმ ნომინაციის აღქმის პროცესში ინდივიდის ცნობიერებაში აღმოცენებული ასოციაციებისა და ემოციების კომპლექსია. მის მაპროვოცირებელ მრავალრიცხოვან ფაქტორთა შორის აღსანიშნავია: ტრადიციების, ზნე-ჩვეულებებისა და ისტორიული მოვლენების გავლენა, რამაც ასახვა ჰპოვა ლექსიკური ერთეულის სემანტიკაში; მოცემული ლექსიკური ერთეულის ომონიმის არსებობა, რომელიც მკაფიო დენოტატური მნიშვნელობით გამოირჩევა; მეტაფორული აზროვნება; იდიომატური გამონათქვამები; მხატვრული ლიტერატურა; ფოლკლორი; თანამედროვე სუბკულტურა (ტელე-რადიო ინდუსტრია, კინემატოგრაფია და ა.შ.).

სხვადასხვა ენებში კონოტაციათა ურთიერთმიმართების სამი ვარიანტი იკვეთება:

1. კონოტაციების სრული შესატყვისობა, რომლის დროსაც ემოციურ-შეფასებითი კომპონენტი იდენტურია შესაპირისპირებელ კულტურულ არეალებში. მაგალითად, nightingale - ბულბული - ინგლისურ და ქართულ რეალობაში მსგავსი ემოციურ-შეფასებითი ელფერის მატარებელია. ასოცირდება რომანტიზმთან, სიყვარულის კონცეპტთან, მუსიკალურ შემოქმედებასთან.
2. კონოტაციური ლაკუნა, რომლის დროსაც ერთ კულტურულ არეალში კონკრეტულ ლექსიკურ ერთეულს აქვს კონოტაცია, შესაპირისპირებელ კულტურაში კი არა. მაგალითად, holly - ბადგი, ჭყორი - ქართულ ცნობიერებაში ეგზოტიკური ბოტანიკური ტერმინია მაშინ, როცა ინგლისურ რეალობაში შობის დღესასწაულის სიმბოლო, მისი განუყოფელი ატრიბუტია.
3. კონოტაციების კონტრასტულობა, რომლის დროსაც კონკრეტული ლექსიკური ერთეული განსხვავებულ ასოციაციებს აღძრავს შესაპირისპირებელ კულტურებში. მაგალითად, კონცეპტები - peacock - ფარშევანგი და hawthorn - კუნელი - ბრიტანულ ცნობიერებაში ნეგატიურ ცრურწმენით ასოციაციებთან (წყევლა, ჯადო, ავი თვალი, უბედობა, წარუმატებლობა, მარცხი) არის დაკავშირებული, რაც ნაწილობრივ ასახულია გ.ქ. ჩესტერტონის მოთხრობაში "The Tale of the Peacock Trees". ქართული ცნობიერებისათვის ფარშევანგთან და კუნელთან მიმართებაში მსგავსი ემოციურ-შეფასებითი ელფერი უცხოა. ორივე ცნება ნეიტრალურ-დადებითი კონოტაციის მატარებელია.

თავი III

ინგლისური და ქართული კვაზირეალების შეპირისპირებითი ანალიზი

3.1. კვაზირეალების მიმართება ნაციონალურ-კულტურულ არეალებთან

როგორც აღვნიშნეთ, კვაზირეალია ფართო პერსპექტივას შლის კონტრასტული კვლევის მიმართულებით. შეპირისპირების საფუძველს ქმნის ცნებათა კატეგორიები – სემანტიკური უნივერსალები, რომლებთანაც ასოცირდება კვაზირეალების პირველადი, ინვარიანტული ნიშნები.

ინგლისური და ქართული კვაზირეალების შეპირისპირების საფუძველების განსაზღვრის მიზნით დავუბრუნდეთ ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკის ამსახველ არეალებს – ისტორიულ, გეოგრაფიულ, ეთნოკულტურულ, სოციოკულტურულ და სემიოტიკურ ფონებს და, პირველყოვლისა, დავადგინოთ რა მიმართებაშია კვაზირეალიის ფენომენი თითოეულ მათგანთან.

ისტორიულ არეალთან კვაზირეალიის მიმართების განხილვისას ყურადღების ცენტრში ექცევა კვაზირეალების ქრონოლოგიური კლასიფიკაციის საკითხი, რომელიც ერთმანეთისაგან მიჯნავს ისტორიულ და თანამედროვე კვაზირეალებს.

გეოგრაფიულ არეალში, გეოგრაფიული გარემოს მკვეთრად გამოხატული უნივერსალურობის, ან უნიკალურობის გამო, უპირატესად, უნივერსალები და რეალები გვაქვს წარმოდგენილი.

ეთნოკულტურული და სოციოკულტურული არეალები კვაზირეალების ფართოდ გავრცელების სფეროებია.

სემიოტიკურ არეალში წარმოდგენილი ენობრივი ერთეულები ქმნის კონოტაციურ ლექსიკას, რომელიც, როგორც მივუთითეთ, თავისი არსით ახლოს დგას კვაზირეალიის ფენომენთან. ერთი მხრივ, სემანტიკურ უნივერსალებთან გვაქვს საქმე. მეორე მხრივ, თითოეული ლექსიკური ერთეულის შინაარსის პლანი ნაციონალურ-კულტურული კონოტაციის მატარებელია.


მაგალითისათვის, როგორც სემანტიკური უნივერსალია, ყვავილების დედოფლად წოდებული ვარდის კონცეპტი უამრავ განსხვავებულ კულტურაში ასოცირდება მშვენიერებასთან, დიდებულებასთან, სიყვარულის სიმბოლურ გამოხატულებასთან, ხელოვანთა შთაგონების წყაროსთან. იგივე ასოციაციების მატარებელია ვარდის კონცეპტი ინგლისურ და ქართულ კულტურულ რეალობაში, თუმცა ინგლისურ ვარიანტში ნათლად იკვეთება ვარდთან მჭიდროდ დაკავშირებული ნაციონალური სიმბოლიკის მატარებელი ასოციაცია – ვარდი, როგორც დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოებრიობის სიმბოლო. ეს ასოციაცია ეროვნულ ცნობიერებაში ინგლისის ისტორიაში „ვარდების ომის“ სახელწოდებით ცნობილი უაღრესად მწვავე და სისხლისმღვრელი დინასტიური დაპირისპირების ფონზე აღმოცენდა. მოქიშპეთა საგვარეულო ღერებზე წითელი და თეთრი ვარდები იყო გამოსახული. „ვარდების ომს“ სამეფო ხელისუფლების ხანგრძლივი სტაბილურობა მოჰყვა შედეგად. შესაბამისად, ვარდი გამარჯვების, სიმტკიცისა და ძლიერების სიმბოლო გახდა. აღნიშნულ ასოციაციას მიმართავს მ. კემფელ–ბარნსი თავის ისტორიულ რომანში “The Tudor Rose: The Story of the Queen Who United a Kingdom and Birthed a Dynasty”.

სემანტიკურ უნივერსალიას წარმოადგენს მსოფლიოს მრავალ კულტურაში, მათ შორის ბრიტანულსა და ქართულში, გავრცელებული ვაზის კონცეპტი, თუმცა ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში იგი კულტის რანგშია აყვანილი, როგორც ჯერ კიდევ წარმართული ხანის მეღვინეობის ტრადიციის გამოხატულება და შემდგომში განსაკუთრებული ქრისტიანული სიმბოლო, წარმოდგენილი, პირველყოვლისა, წმინდა ნინოს ვაზის ჯვრის სახით. აქვე უნდა დავასახელოთ მე-12 საუკუნის საყოველთაოდ ცნობილი საგალობელი („შენ ხარ ვენახი“), რომელშიც ვაზი ღვთისმშობლისადმი ხოტბის შესხმისას მეტაფორად არის გამოყენებული. ნიშანდობლივია ამონარიდი ნ. დუმბაძის ნაწარმოებიდან: „იქნებ ვაზია სამშობლო? აბა, დააკვირდით, თუ დაბლარია, დაჩოქილმა უნდა დაჰკრიფო, თუ მაღლარია – ცაში ხელაპყრობილმა. ორთავე საოცრად ჰგავს ლოცვას, ლოცვა კი არაფერს ისე არ უხდება, როგორც სამშობლოს“ (ნ. დუმბაძე, „ნაფიქრალი: აზრები, ამონარიდები“).

მაშასადამე, კონოტაციური ლექსიკა თავისი არსით ახლოს დგას კვაზირეალიის ფენომენთან, თუმცა მასთან ვერ გავაიგივებთ, რადგან მოცემულ შემთხვევაში კონტრასტები იკვეთება მხოლოდ შინაარსის პლანში.

ამრიგად, დასახელებული ხუთი მაკროკონცეპტიდან სამი (ისტორიული, ეთნოკულტურული და სოციოკულტურული) შეიძლება იქნეს შერჩეული კვაზირეალიების კონტრასტული ანალიზის საფუძვლად (იხ. სქემა 4).

სქემა 4. კვაზირეალიების მიმართება ნაციონალურ–კულტურულ არეალებთან



3.2. კვაზირეალიების ვერბალიზაციის საშუალებების ანალიზი ინგლისური და ქართული პროზის მასალაზე

ინგლისური და ქართული კვაზირეალიების უშუალო შეპირისპირების საფუძვლად გამოვიყენებთ ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკის ამსახველ უნივერსალურ კატეგორიებს: ეთნოკულტურულ და სოციოკულტურულ ფონებს და მათ სხვადასხვა სექტორს. რაც შეეხება ისტორიულ ფონს, მას შეპირისპირების განცალკევებულ ბაზად არ გავმიჯნავთ, რადგან ისტორიული სპეციფიკა თავისთავად იკვეთება ეთნოკულტურულ და სოციოკულტურულ ფონებში და სინქრონიული ასპექტების გვერდით დიაქრონიული ასპექტების დემონსტრირებასაც ახდენს.

წარმოდგენილ კვაზირეალიათა იდენტური პირველადი და კონტრასტული მეორადი ნიშნების გამოკვეთის მიზნით მივმართავთ მათი შინაარსისა და გამოხატულების პლანების შეპირისპირებით ანალიზს და დავადგენთ ინგლისურ და ქართულ კვაზირეალიებს შორის არსებულ პრინციპულ მსგავსება-განსხვავებებს.

3.2.1. ეთნოკულტურული კვაზირეალიების ვერბალიზაცია

ეთნოკულტურულ არეალში დიდია კვაზირეალიების რაოდენობა, რადგან აქ ყველაზე მკაფიოდ აისახება ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკა. სემანტიკური მახასიათებლების მიხედვით ერთმანეთისაგან გავმიჯნავთ რამდენიმე სფეროს: კულინარიული პროდუქტი, სამოსი, საცხოვრებელი გარემო, შრომითი საქმიანობა, საზეიმო და სამგლოვიარო რიტუალები, ტრადიციები და ზნე-ჩვეულებები, დღესასწაულები, მითოლოგიური პერსონაჟები, თამაშები.

1) კულინარიულ პროდუქტთაგან განვიხილოთ მაგალითები: sauce – საწებელი, porter – ლუდი, cornbread - მჭადი და cheesecake - ხაჭაპური.

ფორმა sauce მომდინარეობს ლათინური ფუძიდან – salsa („დამარილებული“)¹. დასავლური ცნობიერება მას მარილის კულინარიულ ეფექტს უკავშირებს. sauce ცალკეული სახის კერძს კი არ წარმოადგენს, არამედ სხვა კერძების საკმაზს, არომატიზატორს, დამნამავ-დამარბილებელ, ან სასურველი ვიზუალური ეფექტის მიმცემ საშუალებას:

“We’ll go to bed early,” Connie said.

His father served fried perch and hush puppies onto their plates and they had French bread and catsup and Tabasco *s a u c e* and iced tea”.

(A. Dubus, The Intruder)

დასავლურ კულინარიაში საწებელი არომატის, ტემპერატურის და შემადგენლობის დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

ქართული ნაციონალურ-კულტურული ცნობიერება მოცემული ცნების ვერბალიზებისას საწებლის მასის სიბლანტეს, წებოვანებას ემყარება:

„ჩვენი *ს ა წ ე ბ ე ლ ი* ჩვენს სისხლზე მაგარია“.

(ა. მორჩილაძე, obole).

საწებელი, უპირველესად, ასოცირდება ქლიავისებრთა ქვეოჯახის ხეხილოვან მცენარე – ტყემლის ნაყოფთან და მისგან მომზადებულ ამავე სახელწოდების კულინარიულ პროდუქტთან, რომელიც ყველაზე ეფექტურად ერწყმის ტრადიციულ ქართულ სამზარეულოს და გემოვნებას:

¹ Online Etymology Dictionary. მოძიებული 15 თებერვალს, 2013.
http://www.etymonline.com/index.php?allowed_in_frame=0&search=sauce&searchmode=none

„კვიშილაძემ განაწილება დაიწყო, მაგრამ ჭონიას ჯამი ცარიელი დატოვა. მერმე საწოლის ქვეშ შეყო ხელი, პარკი გამოიღო, ღორის ბარკალს ჩამოათალა თითო ფიორა და ჯამებში ჩადო.

– *ტყემალი* მივაყოლოთ, ეგერ დევს, – თქვა მან. – აწი გამოზოგვით ვიყოთ, თვარა, რა ვიცი, როგორ იქნება საქმე“.

(ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

კვაზირეალიების გამოხატულების პლანებს შორის სტრუქტურული ასიმეტრია ფიქსირდება: „sauce“ ძირეული სუბსტანტივია, „საწებელი“ კი – ნაწარმოები.

მომდევნო მაგალითი – porter, სრული ფორმით porter ale – მუქი შეფერილობის ლუდია, რომლის ხარშვა დაიწყო ლონდონში მე-18 საუკუნეში. სახელწოდება მიიღო მებარგულთა (porter) წრეებში დიდი პოპულარობის გამო²:

“For dinner she had a jug of *porter* and a pot of potatoes with – sometimes – a bit of salt fish, and she poured out the potatoes on the table and ate them slowly, with great relish, using her fingers by way of a fork.”

(F. O’Connor, First Confession).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციულად განსხვავებას ale და beer სიტყვებს შორის მათ შემადგენლობაში სვიის არსებობა განსაზღვრავდა. ale არ შეიცავდა სვიას. დღეს იგი წარმოადგენს კარგად გამოხატული სიმწარის, ქერის ალაოსაგან დამზადებულ, ოთახის ტემპერატურაზე მიღებულ არაპასტერიზებულ კასრის სასმელს. ხშირად სახელწოდება კოლოკაციის კომპონენტია: pale ale, real ale. ასე განასხვავებენ მას ჰერმეტიზებული ლუდისაგან (pressurized beers).

² Online Etymology Dictionary. მოძიებული 18 მარტს, 2013.

http://www.etymonline.com/index.php?allowed_in_frame=0&search=porter&searchmode=none

“We will start the evening with a pot of *a l e*, some vitals, and I would like to offer something for yourself to drink, if you will join me at my table.”

(R.G. Crouch, *The Coat*).

“They seat themselves at the pushed-together tables and start ordering in loud voices. Dripping pitchers of *b e e r* and huge bowls of “u-peel-‘em” shrimp arrive.”

(L. Smith, *Toastmaster*).

ale და beer ფორმების ქართული ანალოგი – ლუდი – განსაკუთრებული კონოტაციის მატარებელია: იგი აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ტრადიციული ყოფის ისეთივე ნიშანდობლივი ელემენტია, როგორც ღვინო საქართველოს ბარის მკვიდრთათვის. ლუდი გავრცელებული იყო, როგორც საკულტო სასმელი:

„წმინდა გიორგის სალოცავში იხდიდნენ დღეობებს. არ იშურებდნენ შესაწირავს. ხარშავდნენ სვიან *ლ უ დ ს* და ახალდაბადებულებს თავის გვარზე ნათლავდნენ“.

(გ. ჩოხელი, *თევზის წერილები*).

გამოხატულების პლანები სტრუქტურული თვალსაზრისით ასიმეტრიულია: “porter” შემოკლებული ფორმაა (შედის სუბსტანტიური კოლოკაციის – porter ale - შემადგენლობაში), „ლუდი“ კი ძირეულ სუბსტანტივს წარმოადგენს.

მომდევნო მაგალითად დავასახელოთ cornbread:

“Hey, you,” he said as I stepped inside.

“Hey,” I smiled back at him. The air was thick with a savory sweet scent. “Are you cooking?”

“I thought you might be hungry,” he said with a smile.

He walked me into the kitchen and pulled out one of the wooden chairs at his dining room table. I sat graciously and he came back with a plate in his hands. He set it in front of me. It was the most amazing *cornbread* I’d ever seen.

“*Cornbread* for breakfast?” I asked, obviously pleased.

“It wasn’t uncommon when I was young,” he said. “I waited on the eggs because I didn’t know how you liked them”.

(Clandestinepen, Distant Starlight).

დასახელებული კვაზირეალის ქართული ვარიანტი – მჭადი – ტრადიციული ქართული სამზარეულოს განუყოფელი კომპონენტი, ერთ–ერთი ძირითადი ცომეულია:

„ზამთარი იდგა. მეჯოგეები ქვემოთ იყვნენ, ჭალებში. კაცი პატრონი არ გვყავდა, არც წყლის მომტანი იყო ვინმე, თვარა, პურის ნატეხს ვინ ჩივის. ქე ვთქვი უკვე, ათ დღეს ვერც ცხენებზე შევჯექით, არც პირში *მჭადის* ნატეხი გვქონია და რანაირად ვიქნებოდით, უნდა ამას ლაპარაკი?“

(ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

cornbread და მჭადი სიმინდის ფქვილისაგან მზადდება. სიმინდის სამშობლო ცენტრალური და სამხრეთ ამერიკაა, სადაც სიმინდის ფქვილისაგან ევროპელი კოლონიზატორების ჩასვლამდე ათასობით წლით ადრე აცხოვდნენ პურეულს ადგილობრივი ინდიელები. ევროპელმა მოახალშენებმა მათგან აითვისეს ეს ეგზოტიკური მარცვლეული კულტურა და მისგან დამზადებული ცომეული. ამერიკიდან სიმინდის კულტურა ჯერ ევროპაში გავრცელდა, შემდეგ კი – მთელს მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოშიც, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში. მიუხედავად იმისა, რომ მთავარი ინგრედიენტი სიმინდის ფქვილია, ქართულ მჭადსა და ინგლისურ cornbread – ს შორის დიდი სხვაობაა. მჭადმა შეინარჩუნა პურეულის

ტრადიციული ფუნქცია, ხოლო cornbread თანდათან დესერტის თვისებებს იძენს. მას აცხოვენ ღუმელში, ან ამზადებენ ორთქლზე. დამატებით ინგრედიენტებს შორის აღსანიშნავია შაქარი, რძე, კვერცხი და კარაქი.³

განსხვავებულია დასახელებული კვაზირეალიების გამოხატულების პლანები: “cornbread” სუბსტანტიური კომპოზიტია, „მჭადი“ კი – ძირეული სუბსტანტივი.

cornbread – სა და მჭადს შორის არსებულ სემანტიკურ კონტრასტებს უახლოვდება cheesecake – ის და ხაჭაპურის წყვილი:

“From every table, pleased sighs and moans rise with every forkful to the lips of the happy patrons at the *Cheesecake* Queen Bakery in Chestnut, Colorado”.

(M. P. Koerner, The Cheesecake Queen).

„ჭონია, სარჩო რომ დააბინავა, ვახშამს შეუდგა. გაფიცებულ ხაჭაპურს შეექცა, მერმე არაყი გადაკრა და ქინძმარი მიაშველა მოხარშულ ლოქოს“.

(ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

cheesecake–ი ანტიკური პერიოდის კულინარიული ტრადიციებიდან იღებს სათავეს. აღნიშნული ტრადიციების მიხედვით დამზადებული ყველიანი პური თვისობრივად გაცილებით უფრო ახლოს იდგა ქართულ ხაჭაპურთან, ვიდრე თანამედროვე ინგლისური cheesecake, რადგან ეს უკანასკნელი, ზემოთ განხილული cornbread – ის მსგავსად, დესერტის კატეგორიას განეკუთვნება: მის შემადგენლობაში, ფქვილისა და ყველის გარდა, შედის კვერცხი და შაქარი. დამატებითი ინგრედიენტების სახით კი ხშირად ვხვდებით სხვადასხვა ჯიშის ხილს, ნაღებს, თხილსა და შოკოლადს.⁴

³ Cooks Illustrated Magazine. Baking Illustrated. Brookline, MA: America's Test Kitchen. 2004.

⁴ A History of Cheesecakes. მოძიებული 28 ოქტომბერს, 2012. www.fergusonplarre.com.au

ხაჭაპური ქართულ ყველიან პურს ეწოდება. მისი ცომი ხორბლის ფქვილით, საფუარით, წყლით, ცოტაოდენი რძითა და მარილით იზილება. ხაჭაპური რეგიონების მიხედვით სხვადასხვა ფორმით მზადდება. შიგთავსი, ჩვეულებრივ, შეიცავს ყველს (ახალს ან დაძველებულს), ან ხაჭოს, კვერცხს, კარაქსა და სხვა ინგრედიენტებს.

გამოხატულების პლანში ფიქსირდება სტრუქტურული სიმეტრია: ორივე ვარიანტში სახეზეა სემანტიკური თვალსაზრისით რელევანტური კომპონენტებისაგან შედგენილი სუბსტანტიური კომპოზიტები: “cheese+cake” – „ხაჭაპური“.

2) სამოსის სფეროში აღსანიშნავია sweatpants (სპორტული შარვალი) – რბილი, ფაფუკი ბამბის ტრიკოტაჟული ქსოვილისაგან დამზადებული შარვალი:

“You tell me,” says Reba, wrapped up in her blue sweater with the metal buttons. She’s wearing the gray *sweatpants* again. Her head is tipped back steeply on the long neck column as she looks up at me, her narrow rouged mouth like a red wire.”

(E. Annie Proulx, *Electric Arrows*).

ინგლისური ცნობიერება მისი ვერბალიზებისას სპორტული აქტივობის თანმხლები აქტიური პერსპირაციის აქცენტირებას ახდენს, ქართული ცნობიერება კი უშუალოდ სპორტის კონცეპტს ეყრდნობა:

„წყალგაუმტარ, სქელ ჩექმებში გამოწყობილი ტყიან ფერდობზე ავდივარ. მაგრამ აქ არაფერია სველი და, სხვათაშორის, სულაც არ ცივა. ჯიბიდან ამომაქვს შემოდგომის ლექსი და კიდევ ერთხელ ვამოწმებ (ის ხომ მოკლეა – სულ სამი სტროფი). არა! აქ არაფერი წერია წვიმის, ნესტისა და ჭანჭრობის შესახებ. არც სიცივეა ნახსენები. ე. ი. შემეძლო მშვიდად ჩამეცვა მსუბუქი *სპორტული* ფეხსაცმელი და *შარვალი*. ეს ხომ ნაზი, რადგან პოეტური შემოდგომაა! ვითომ-შემოდგომა“.

(გ. მარგველაშვილი, ვითომ შემოდგომა).

ინგლისური ვარიანტი სტრუქტურული თვალსაზრისით სუბსტანტიური კომპოზიტია, ქართული ვარიანტი კი – სუბსტანტიურ-ადიექტიური კოლოკაცია.

მომდევნო მაგალითად დავასახელოთ ინგლისური felt coat და ქართული ნაბადი:

“Each man was issued with a tightly woven *felt coat*.”

(R.G.Crouch, The Coat).

„ბიბლამ თვალი მოკრა დევგარეულს, რომელსაც ცეცხლებისაგან კარგა მომორებით ნაბადში გახვეულს ეძინა“.

(გ. ჩოხელი, თევზის წერილები).

felt coat და ნაბადი თექის ნიმუშებია. თექა მოთელილი მატყლის საფენი ქეჩაა. ფორმა felt „გათელვას“, „ცემას“, „ბეგვას“ ნიშნავს.⁵ საბასეული განმარტებითაც, „ნაბადი“ იგივეა, რაც „შეთელილი“.⁶ თექა ფართოდ გამოიყენება როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ეთნოკულტურულ რეალობაში.

ინგლისური თექის მოსასხამი ქართული ნაბადისაგან განსხვავდება დიზაინით. ხშირად მისი განუყოფელი ნაწილია ევროპული მოსასხამების დიზაინის პოპულარული კომპონენტი – კაპიუშონი.

ნაბადი მოთელილი მატყლისაგან დამზადებული წინ გახსნილი მთლიანი წამოსასხამია, XIX საუკუნის ქართველების ეროვნული კოსტიუმის ელემენტი მთლიანი ზურგით და კალთებით, ღრმად ამოდებული ყელითა და განიერი მხრებით.⁷ საქართველოში თექას ისტორიულად ამზადებდნენ თუშეთში, კახეთში, ხევსა

⁵ Online Etymology Dictionary. მოძიებული 20 თებერვალს, 2013.

http://www.etymonline.com/index.php?allowed_in_frame=0&search=felt&searchmode=none

⁶ სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, ტ. I. თბ. 1991. გვ. 556.

⁷ ჩაჩაშვილი გ. ქართლელი გლეხი მამაკაცის კოსტუმი XIX საუკუნისა. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. თბ. 1957.

და ჯავახეთში. მწყემსები და მეცხვარეები მთაბარობისას თექას იყენებდნენ არამარტო სამოსის დასამზადებლად, არამედ კარვების გადასახურადაც.⁸

კვაზირეალების გამოხატულების პლანში სახეზეა სტრუქტურული ასიმეტრია: “felt coat” სუბსტანტიური კოლოკაციაა, ხოლო „ნაზადი“ – გასუბსტანტივებული პარტიციპიული ფორმა.

3) საცხოვრებელი გარემოს არეალიდან განვიხილოთ მაგალითები: mansion – ციხე-დარბაზი, semi – შეწყვილებული სახლი, cottage – ფაცხა, cottage garden – ბაღჩა, sunporch – შუმბანდი, mantelpiece – ბუხრის თარო და landlord – ბინის პატრონი.

ფორმა mansion ტრადიციულად დიდგვაროვნის საცხოვრებელს აღნიშნავდა:⁹

“- Actually the place belonged to the Godhighs but your grandfather Chestny paid the mortgage and saved it for them. They were in reduced circumstances,” she said, “but reduced or not, they never forgot who they were.

- Doubtless that decayed *m a n s i o n* reminded them – Julian muttered. He never spoke of it without contempt or thought of it without longing. He had seen it once when he was a child before it had been sold. The double stairways had rotted and had been torn down... But it remained in his mind as his mother had known it. It appeared in his dreams regularly. He would stand on the wide porch, listening to the rustle of oak leaves, then wander through the high-ceilinged hall into the parlour that opened onto it and gaze at the worn rugs and faded draperies. It occurred to him that it was he, not she, who could have appreciated it. He preferred its threadbare elegance to anything he could name...”

(F. O'Connor, Everything that Rises Must Converge).

⁸ გოგიჩაიშვილი ფ. ხელოსნობა საქართველოში. თბ. 1976.

⁹ Online Etymology Dictionary. მოძიებული 20 თებერვალს, 2013.

http://www.etymonline.com/index.php?allowed_in_frame=0&search=mansion&searchmode=none

“Rich shallops sped along, delivering important patrons to their riverside *m a n s i o n s*, and barges of all sizes and shapes continuously progressed along the liquid highway. This excited throng of boats and ships moved to and fro with the endless motions of the tide.”

(R.G.Crouch, The Coat).

მსგავსი ნაგებობა ინგლისურ და ქართულ სინამდვილეში განსხვავებულია არა მხოლოდ არქიტექტურის თვალსაზრისით, არამედ იმიტაც, თუ რა არის მასში აქცენტირებული – საფორტიფიკაციო სისტემა, თუ გარეგნული ბრწყინვალეობა. შედარებით უფრო სტაბილური სოციალურ–პოლიტიკური ატმოსფეროდან გამომდინარე ბრიტანულ არქიტექტორებს ჰქონდათ შესაძლებლობა მეტი ყურადღება დაეთმოთ კომფორტის, მასშტაბურობისა და გამორჩეულად დიდებული დიზაინისათვის. ქართულ რეალობაში კი სჭარბობს ციხე–სიმაგრის ტიპის ნაგებობები, რაც ბუნებრივად შეესატყვისება იმ უკიდურესად დამაბულ საგარეო პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც თან სდევდა ქართულ სახელმწიფოს თითქმის მთელი თავისი ისტორიის მანძილზე:

„ერთ დროს ლიახვის ნაპირზე, სოფელ ნაშინდარში, მას ჰქონდა პაპისეული *ციხე-დარბაზი*, ქვიტკირის მოზრდილი ბოსელი, მუხის ბეღელი, თავმონგრეული კოშკი, მარანი, ხუთიოდე დღიური ბალ-ვენახი, კაკლის დიდი ჭალა და სამიოდე ათასი დღიური სახნავი.“

(მ. ჯავახიშვილი, ჯაყოს ხიზნები).

“mansion” ნაწარმოები სუბსტანტივია, „ციხე–დარბაზი“ – სუბსტანტიური კომპოზიტი.

მომდევნო მაგალითი – semi (სრული ფორმით – “semi-detached house”) – შეწყვილებული სახლი – საზიარო კედლის მქონე სახლების წყვილს წარმოადგენს:

“She had arrived just the night before and was to be with the Rameaus for a month, doing what her mother had called “an exchange”. Later in the summer Ann Marie would join her own family in London. Arriving late at the country cottage, which was near Vence, Delia had dreaded what Ann Marie would think about a stay in London – the *semi* in Streatham, the outings to the Baths on the Common, the plain meals.”

(P. Theroux, *After the War*).

„შეწყვილებული სახლი უახლოვდება ერთბინიანი სახლის მდგომარეობას გარკვეული შეზღუდვით. ერთი საერთო კედლის გამო სახლები სამ მხარეს გადის“.

(ნ. თევზაძე, მ. მელქაძე, საცხოვრებელი სახლების ტიპები გარემოსთან მიმართებაში).

თანამედროვე დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში შეწყვილებული სახლის თითოეული ნახევარი მეორის სარკისებური ანარეკლია. მსგავსი სახლების არსებობა აქ სუბურბანიზაციის სიმბოლოა.¹⁰ საქართველოში კი, ბრიტანეთისაგან განსხვავებით, შეწყვილებულ სახლებს, უპირატესად, ქალაქის ცენტრალურ ნაწილებში ვხვდებით.

ცნების ვერბალიზებისას ინგლისური ცნობიერებისათვის ამოსავალია სემა – „ნახევრად იზოლირება“ (“semi-detached”) მაშინ, როცა ქართული ცნობიერება სახლების რაოდენობაზე („შეწყვილებული“) ახდენს კონცენტრირებას.

კვაზირეალიების გამოხატულების პლანში სტრუქტურული სიმეტრია ფიქსირდება: ორივე ვარიანტი სუბსტანტიურ-პარტიციპიული კოლოკაციაა. თუმცა ინგლისური ვარიანტი, როგორც დასახელებული მაგალითიდან ჩანს, შემოკლებული ფორმის სახითაც გვხვდება (semi).

მომდევნო მაგალითად განვიხილოთ ინგლისური cottage და ქართული ფაცხა.

¹⁰ Lofthouse P. The Development of English Semi-detached Dwellings during the Nineteenth Century. მოძიებული 20 მაისს, 2013. <http://www.pia-journal.co.uk/article/view/pia.404/517>

cottage თავდაპირველი სემანტიკის მიხედვით დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელთა საცხოვრებელს აღნიშნავდა:

"Once upon a time," said the Linnet, "there was an honest little fellow named Hans."

"Was he very distinguished?" asked the Water-rat.

"No," answered the Linnet, "I don't think he was distinguished at all, except for his kind heart, and his funny round good-humoured face. He lived in a tiny *cottage* all by himself."

(O. Wilde, The Devoted Friend).

cotter, ანუ კოტეჯის მცხოვრები – კოტეჯერი ნახსენებია 1086 წელს უილიამ დამპყრობლის მიერ თავისი სამეფოს აღწერის შედეგად შედგენილ „საშინელი სამსჯავროს წიგნში“ (ასე უწოდა ხალხმა მას, რადგან მძიმედ დაბეგვრის საშუალებას იძლეოდა) როგორც მცირემიწიანი, ან სავსებით უმიწო გლეხი. ინგლისში ძველთაგანვე არსებული წესის თანახმად, ის, ვინც უკაცრიელ, ცარიელ ადგილას ერთი ღამის განმავლობაში ააგებდა ქოხს (კოტეჯს), იქ ცხოვრების უფლებას იღებდა. კოტეჯს აგებდნენ წკნელით დაწნულს და ტალახით შელესილს, კარ–ფანჯრის გარეშე, ჩალით, ან მორებით გადახურულს. კოტეჯერი ხელთ იგდებდა ქოხის გარშემო მცირეოდენ მიწას და ერთგვარ საარსებო წყაროს შოულობდა.¹¹

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოტეჯის თანამედროვე სემანტიკა მნიშვნელოვანწილად განსხვავდება მისი არქაული სემანტიკისაგან. დღეს კოტეჯი წარმოადგენს ქალაქგარეთ მდებარე სააგარაკო სახლს, რომელიც ტრადიციული არქიტექტურული ტენდენციების მიხედვით არის აგებული:

„The *cottage*, Mr. Rameau had told her proudly, had no electricity. They carried their water from a well. Their water closet (he had used this English word) was in the garden. He

¹¹ კილურაძე გ. XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია, წიგნი I. თბ. 1979. გვ. 195.

was, incredibly, boasting. In Paris, everything they had was modern. But this was their vacation. “We live like gypsies,” he had said, “for one month of the year.”

(P. Theroux, *After the War*).

რაც შეეხება ქართული ფაცხას, იგი საცხოვრებელი ბინის პრიმიტიულ სახეს წარმოადგენდა:

„დათა თუთაშხია მესაქონლე, მეჯოგე კაცია. ზამთრობით თავად ანჩაბადისგან ზღვისპირა სამოვრებს იჯარით იღებს და საქონელს იქ აზამთრებს. სამოვარზე დათა თუთაშხიას ფ ა ც ხ ა უდგას და იმ ფაცხაში ატარებს ზამთარს თავის დასთან – ელე თუთაშხიასთან ერთად“.

(ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

ფაცხის აგება არ მოითხოვდა ტექნიკისა და შრომის რთულ პროცესებს. მას გლეხი თვითონვე იშენებდა, ისლით ხურავდა და ტალახით ლესავდა. შენობას სარკმელი და ბუხარი არ ჰქონდა.

ფაცხა დღეს არ არის ხმარებაში და იშვიათად თუ შევხვდებით რომელიმე შორეულ სოფელში. თანამედროვე რეალობაში ფაცხას დეკორატიული დატვირთვა აქვს. იგი ხშირად არის ჩართული წარსულის კოლორიტის შესაქმნელად გამიზნულ დიზაინში.

კონტრასტები იკვეთება გამოხატულების პლანში: “cottage” ნაწარმოები სუბსტანტივია, „ფაცხა“ კი – ძირეული.

აქვე უნდა დავასახელოთ cottage garden - კოტეჯის ბაღი, რომელიც ბრიტანულ სინამდვილეში განსაკუთრებული ტიპის ბაღია არაფორმალური დიზაინით, ტრადიციული მასალებით, ორნამენტული და საკვებად გამოყენებადი მცენარეების სინთეზით. ფუფუნებისა და ფორმალური სტრუქტურის ნაცვლად აქ ყურადღების ცენტრში ბუნებრივი მომხიბვლელობა ექცევა:

“It was a spring day, chill, with snatches of sunshine. Yellow celandines showed out from the hedge-bottoms, and in the *cottage gardens* of Willey Green, currant-bushes were breaking into leaf, and little flowers were coming white on the grey alyssum that hung over the stone walls.”

(D.H. Lawrence, *Women in Love*).

თანამედროვე სტილის კოტეჯის ბაღის ჩამოყალიბება 1870–იანი წლების ინგლისში დაიწყო. ეს იყო ერთგვარი რეაქცია ფორმალური დიზაინით, უხვი ბუნებრივი და სასათბურე მცენარეულობით გამორჩეული ბაღების მიმართ, რომლებიც მდიდარ და პრივილეგირებულ ფენებს ეკუთვნოდა.¹² კვაზირეალის გამოხატულების პლანში წარმოდგენილი ფუძე “cottage”, როგორც მივუთითეთ, ტრადიციულად, დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენელთა საცხოვრებელს აღნიშნავდა.

პირვანდელი კოტეჯის ბაღი უფრო პრაქტიკულ ხასიათს ატარებდა, აქცენტირებული იყო ბოსტნეული, მწვანეხედიანი, ხეხილი, სკა, შინაური ფრინველიც კი. დროთა განმავლობაში დომინირება დაიწყო ყვავილნარმა:

“He lived in a tiny *cottage* all by himself, and every day he worked in his *garden*. In all the country-side there was no garden so lovely as his. Sweet-william grew there, and Gilly-flowers, and Shepherds'-purses, and Fair-maids of France. There were damask Roses, and yellow Roses, lilac Crocuses, and gold, purple Violets and white. Columbine and Ladysmock, Marjoram and Wild Basil, the Cowslip and the Flower-de-luce, the Daffodil and the Clove-Pink bloomed or blossomed in their proper order as the months went by, one flower taking another flower's place, so that there were always beautiful things to look at, and pleasant odours to smell.

(O. Wilde, *The Devoted Friend*).

¹² Ryrie Ch. *The Cottage Garden: How to Plan and Plant a Garden That Grows Itself*. Collins & Brown. 2004.

საინტერესოა ის გარემოება, რომ მოგვიანებით პრივილეგირებულმა ფენებმა თავიანთი ბაღნარების ცალკეული მონაკვეთები კოტეჯის ტიპის ბაღებად გააშენეს.

კოტეჯის ბაღის ფუნქციური ანალოგია ქართული ბაღა – მცირე ზომის ბაღი. მის შინაარსის პლანში არ ფიგურირებს სოციალური კუთვნილების აღმნიშვნელი სემა:

„ექვსი წლისა რომ გახდა, ერთი ჟანგიანი დანა იპოვა. იმ დანით ხეებს ჩორკნიდა და ნაცრისფერ მერქანს უსერავდა. ბ ა ღ ჩ ა შ ი საზამთროს რომ გადააწყდებოდა, მიმოიხედავდა და, თუ არავინ იყო, დანას ტარამდე ჩაარჭობდა ხოლმე.“

(გ. დოჩანაშვილი, სამოსელი პირველი).

ინგლისური ვარიანტი სუბსტანტიურ კოლოკაციას ქმნის, ხოლო ქართული ვარიანტი ნაწარმოები სუბსტანტივია.

მომდევნო მაგალითი – sunporch – შუშაბანდი – მინის კედლებით, ან დიდი ფანჯრებით შემოსაზღვრული ნათელი ოთახია. ინგლისური ვარიანტის მნიშვნელობის მოტივაცია უხვმა მზის შუქმა განსაზღვრა, ხოლო ქართული ვარიანტის – მინის კედელმა.

“- We'll be back about two," his mother said. "Keep the doors locked."

"Definitely," Connie said. "And we'll bar the windows."

"Well, you never know. Y'all be good. G'night."

"Hold down the fort, son," his father said.

"I will."

Then they were gone, the screen door slamming behind them, and Connie left the *sunporch*."

(A. Dubus, The Intruder).

„ეკლესიას ირგვლივ ერთსართულიანი და ორსართულიანი პატარ–პატარა ხის აივნებიანი სახლები შემორტყმოდა. რიყის ქვით მოკირწყლული ეზო სუფთად იყო დაგვილი. ლუკამ და მაიკომ ეზო გადასჭრეს და ეკლესიის უკან ცისფრად შეღებილ *შუშა ბანდს* მიადგნენ.“

(ა. სულაკაური, ლუკა).

სტრუქტურული თვალსაზრისით ორივე კვაზირეალია კომპოზიტია: “sun+porch”, „შუშა+ბანდი“ (ფორმა „ბანდი“ მოცემულ შემთხვევაში „შეკრულს“, „დაწულს“ ნიშნავს).¹³

მომდევნო მაგალითი – mantelpiece – ბუხრის თარო, ბუხრის თავი, ბუხრის მოპირკეთება – შუა საუკუნეებიდან მოყოლებული უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს ბრიტანულ ინტერიერის დიზაინში:

“The one on the *mantelpiece* is Bastet, the Egyptian goddess of love and joy”.

(W. Maxwell, *The Thistles in Sweden*).

იგი წარმოადგენს ინტერიერის ყველაზე ორნამენტულ და არტისტულ შტრიხს კლასიკურ, რენესანსულ, იტალიურ, ფრანგულ, ამერიკულ, ვიქტორიანულ, ან გოთიკურ სტილში.

ქართულ სინამდვილეში აღნიშნული კვაზირეალიის სემანტიკა გაცილებით უფრო პრაქტიკული ხასიათის კონოტაციის მატარებელია:

„*ბუხრის თაროზე* დიდი, სპილენძის ჩარჩოიანი და მთელ სიგრძეზე ირიბად გაბზარული სარკე აეყუდებინათ.“

(ო. ჭილაძე, გზაზე ერთი კაცი მიდიოდა).

¹³ სულხან–საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, ტ. I. თბ. 1991. გვ. 94.

„*ბ უ ხ რ ი ს თ ა ვ ი* სავსეა არეულად დაყრილი, მტვრიანი ქაღალდებით, გაზეთებით, წიგნებით, სურათებით, კარტებით. ესეც ყველაფერი სახასიათოდ გამოიყურება.“

(ს. ტაბუცაძე, იონა).

გამოხატულების პლანში ფიქსირდება ნაწილობრივი შესატყვისობა ინგლისური და ქართული ვარიანტების სტრუქტურებს შორის: ინგლისური ვარიანტი სუბსტანტიური კომპოზიტია, ქართული კი – სუბსტანტიური კოლოკაცია.

მომდევნო მაგალითი – *landlord* – გაქირავებული სახლის მესაკუთრეს აღნიშნავს:

“We leave these doors open when we are at home, and the stair railing and the head of the stairs are blocked off with huge pieces of cardboard. The *landlord* says that this is a violation of the fire laws, but we cannot think of any other way to keep Floribunda from escaping down the stairs, and neither can he”.

(W. Maxwell, *The Thistles in Sweden*).

ეტიმოლოგიური თვალსაზრისით სიტყვა ფეოდალური ეპოქის მიწათმფლობელს უკავშირდება. ცნების გამომხატველ თანამედროვე ქართულ ვარიანტში მნიშვნელობის იგივე მოტივაცია არ აღინიშნება:

„*ბ ი ნ ი ს* ახალი *პ ა ტ რ ო ნ ი* მხოლოდ ორი საათით ჩამოვიდა, გასაღები ჩაიბარა, ამ სახლს კარგ ინვესტორს ვუშოვიო, – სიტყვა დატოვა და იმ დღის შემდეგ თვალით აღარავის უნახავს.“

(მ. ლდოკონენი, მისი სახლი).

შინაარსის პლანში სახეზეა სტრუქტურათა ნაწილობრივი შესატყვისობა: ინგლისური ვარიანტი სუბსტანტიური კომპოზიტია, ქართული ვარიანტი კი სუბსტანტიურ კოლოკაციას წარმოადგენს.

4) შრომით საქმიანობის სფეროს უკავშირდება კვაზირეალიები – ინგლისური *log rolling*, *barn raising* და ქართული ნადი – შრომის ორგანიზაციის ერთ-ერთი უძველესი ფორმა, რომელიც აგებულია ურთიერთდახმარების შრომა-მიგებით პრინციპზე.

ფორმა *log rolling* თავდაპირველი სემანტიკის მიხედვით გულისხმობს ურთიერთდახმარებას ხე-ტყის გადაზიდვისას:

“Lo is all you heard at the end?” she asked and he nodded patiently.

“Lose, look, loiter, *log rolling*, she could have meant anything,” Kagome said, missing the eye roll that Sesshomaru aimed at her.

“We do not have *log rolling*, in this time period, miko,” he said and she laughed, rubbing her head.”

(Randomfan, Stuff Happens Here).

თანამედროვე ინგლისურ პოლიტიკურ დისკურსში აღნიშნული ფორმა მეტაფორიზაციის შედეგად აღნიშნავს ორმხრივად მომგებიან გარიგებით კენჭისყრას საკანონმდებლო ორგანოში. იგი ამ მნიშვნელობით პირველად გამოიყენა კონგრესმენმა დეივი კროკეტმა დებატების დროს, 1835 წელს:

“My people don't like me to *log-roll* in their business, and vote away pre-emption rights to fellows in other states that never kindle a fire on their own land.”

(D. Crockett, An Account of Col. Crockett's Tour to the North and Down East).

ხე-ტყის ერთობლივი ძალებით გადაზიდვის ტრადიციიდან მომდინარეობს პოპულარული სპორტული სანახაობის სახელწოდებაც – *log rolling*. შეჯიბრის მონაწილეების მიზანია, შეინარჩუნონ წონასწორობა მდინარეში მოტივტივე მორეზზე:

“It did not help matters that Terry McBride arrived that morning dressed peculiarly in calk boots, a pair of patched dungarees, a logger’s plaid shirt and suspenders, and a fishing hat studded with hand-tied flies.

Are you going out for the *log rolling* contest? – I asked when he failed to greet me.“

(T. Gallagher, *Desperate Measures*).

შრომა-მიგებით პრინციპს ეყრდნობა, ასევე, ინგლისურენოვან სამყაროში გავრცელებული ტრადიციული ფორმა *barn raising*, რაც აღნიშნავს ერთობლივ სამუშაოებს აგრარულ შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი ელემენტის – ბეღელის – აგების მიზნით:

“It was now Saturday, the day of the *barn raising*. The Lawsons were a neighbouring family who had recently set down roots in that valley. Having just built their home, they were now having a *barn raising*. There was nothing quite like a fandango like this – it brought everyone from the town and valley – all ready to help out and have fun at the same time.”

(R. L. Driscoll, *Ransomed*).

ქართულ ნაღს ტრადიციულად იწვევდნენ როგორც მიწის დამუშავების, ისე სახლის მშენებლობისა და სხვა ერთდროული შრომატევადი სამუშაოების დროს:

„ერთ დილით მეზობლის ქალი მაკა მოვიდა მამიდასთან და თხოვა:

- ნ ა დ ი მყავს, ჩემო ქეთევან, და დამახმარე შენი კაცი!
- წაყევი, მამიდა, – მითხრა მამიდამ და მე წაყევი მაკას, როგორც კაცი, როგორც კაცმა, ისე ვიმუშავე სადამომდე მაკასთან, კაცივით ვსვი ღვინო, დავთვერი და

კაცივით დავახველე ჭიშკართან, როდესაც შინ დავბრუნდი, და ვიგრძენი, როგორ კაცივით მომიარა მამიდამ იმ ღამით და ზუსტად ისე დამითბილა ფეხები ძილის წინ, როგორც სამუშაოდან დაბრუნებულ და დაღლილ ბაბუას უთბილებდა ხოლმე ბებია“.

(ნ. დუმბაძე, მე ვხედავ მზეს).

აღნიშნული ფორმის საფუძველზე აფიქსაციის გზით ჩამოყალიბდა ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში დამკვიდრებული შრომის სიმღერის სახელწოდება – ნადური.

დასახელებული კვაზირეალიების გამოხატულების პლანში სახეზეა სტრუქტურული ასიმეტრია: “log-rolling” და “barn-raising” ძირეული სუბსტანტივისა და გერუნდივის სინთეზის შედეგად წარმოქმნილი კოლოკაციებია, ხოლო „ნადი“ – ძირეული სუბსტანტივი.

მომდევნო მაგალითს მიწის მხვნელი გლეხის აღმნიშვნელი ფორმები წარმოადგენს – ინგლისური ploughman და ქართული გუთნისდედა:

“Hoof beats echoed through the gentle rain and brought the *p l o u g h m a n* to his senses. He sighed and let the soil trickle through his fingers, back to the ground where it belonged. “It’s just not what it used to be,” he muttered, allowing the wind to swallow his words.”

(D. Cobain, The Ploughman).

„როდესაც დედაკაცი *გ უ თ ნ ი ს დ ე დ ო ბ ს*, სოფლის სირცხვილია, მაშა!!! ეს კაცურ კაცს ყველას ეხება.

ხოსიტა ნელი მოსაზრებისა იყო. დააზნია ამ პასუხმა. თვალეზი აცეცა...

ლობის იქით თუთია ქვრივი დაინახა. ძველი კავი თავდახრილად მიწაში წასჩროდა. განზე გატანილ უღელში ცალი მოზვერი ება, მეორეს კი აპეური გამოხსნოდა და ოჩნობდა.“

(ლ. გოთუა, გამირთა ვარამი).

მოცემულ შემთხვევაში გამოხატულების პლანში ფიგურირებს ქართული რეალობისათვის დამახასიათებელი ტენდენცია – ნაციონალურ-კულტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი კონცეპტების სახელდებისას ქალური საწყისის აღმნიშვნელი ძირის – „დედის“ გამოყენება: დედასამშობლო, დედაენა, დედამიწა, ადგილის დედა, დედაქალაქი, დედაბოძი:

„დედასამშობლო ექსტრემისტების გამო განსაცდელშია. დადგა ჯერი თქვენი მაღალი მხედრული ვალის ასრულებისა.“

(გ. დოჩანაშვილი, ორნი აქა-იქ).

„აბა, ვიწყებ ანბანს... და ვიდრე შემოსევა გადაგორდება, ვეფხის წიგნია ჩვენი საფარი! შიში არ გაივლო გულში, თორემ დედაენას ვეღარ ისწავლი.“

(ლ. გოთუა, ქვის დედაენა).

„განა აქამდე არ იცოდი, რომ მზე ერთ ალაგზე სდგას, დედამიწა კი თავის ღერძზე სტრიალებს და მზეს გარშემო უვლის?“

(მ. ჯავახიშვილი, ჯაყოს ხიზნები).

„ანიშნა გიორგიმ გაბრიელს: გაეგრძელებინა როგორმე სმა.

მიცვალებულთა შენდობანი მოთავდა.

ომებში დახოცილი მეგობრები მოიგონეს.

ადგილის დედაც ადღეგრძელეს ბოლოს.“

(ვ. გამსახურდია, დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა).

„ვზივარ თვითმფრინავში, რომელიც ცხრასათიანი ფრენის შემდეგ ნეპალის დედაქალაქში უნდა დაეშვას და მერე კი იქიდან ტიბეტის გზას უნდა დავადგეთ.“

(დ. ტურაშვილი, ტიბეტი არ არის შორს).

„დედაბოძივით სქელი და გაჩაჩხული ფეხები ძლივს იმაგრებდნენ უშნოდ და ისე განიცრად დადგმულ თემოებსა და მხარ-ბეჭს, რომ ვიწრო ტროტუარი მარტო ჯაყოს ძლივს იტევდა.“

(მ. ჯავახიშვილი, ჯაყოს ხიზნები).

მიწის მხვნელი გლეხის აღმნიშვნელ ფორმაშიც მამრობითი სქესის გამომხატველი ძირის ნაცვლად მდედრობითი სქესის სემანტიკის მატარებელი ძირი გვაქვს წარმოდგენილი. გუთნისდედის ინგლისურენოვანი ანალოგის – ploughman – გამოხატულების პლანში კი მამრობითი სქესის აღმნიშვნელი ძირი გვხვდება.

სტრუქტურული თვალსაზრისით კვაზირეალიების ორივე ფორმა იდენტურია: როგორც “ploughman”, ისე „გუთნისდედა“ სუბსტანტიური კომპოზიტებია.

5) საზეიმო რიტუალის ფარგლებში განვიხილოთ კვაზირეალიები: feast - სუფრა, toastmaster - თამადა, toast - სადღეგრძელო და wedding party - მაყრიონი.

ფორმა feast მომდინარეობს ლათინური ფუძიდან “festa” (დღესასწაული, ზეიმი):

“I told him that my desire was to see the god.

“The god is hunting,” said the priest, looking strangely at me with his small slanting eyes.

“Tell me in what forest, and I will ride with him,” I answered.

He combed out the soft fringes of his tunic with his long pointed nails. “The god is asleep,” he murmured.

“Tell me on what couch, and I will watch by him,” I answered.

“The god is at the *f e a s t*,” he cried.

“If the wine be sweet I will drink it with him, and if it be bitter I will drink it with him also,” was my answer.”

(Oscar Wilde, *The Fisherman and His Soul*).

ლხინის, ზეიმის აღმნიშვნელი ერთ–ერთი ქართული ფორმაა „სუფრა“. იგი ქართულ ცნობიერებაში ასოცირდება არა მარტო გაშლილ მაგიდასთან, არამედ რიტუალთან, რომლის მიზანი ადამიანთა შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობების დამყარება–განმტკიცებაა – კომუნიკაცია ერთმანეთთან აწმყოში და წინაპრებთან წარსულში. სუფრა ქართულ ყოფითი და, შეიძლება ითქვას, სულიერი კულტურული ტრადიციის მნიშვნელოვანი მონაპოვარია. დღესდღეობით იგი ქართველობის ერთ–ერთი ძლიერი საიდენტიფიკაციო ნიშანია:

„– კახურ *ს უ ფ რ ა ს* სამი ხარისხი გააჩნია: უხვი პურადობა, ხელგაშლილი ნადიმი და ლალი ღრეობა! – სუფრის თავიდან კანონმდებლობდა ნუგზარი.

სამივე ხარისხში შეუდარებელი იყო არაგველი გოლიათი. ყველას თავისას მიუძღვნოდა. დროსა და მიმდევრობას არ შეშლიდა, ან ისე შემოაბრუნებდა საქმეს, რომ ყველანი ნაამები რჩებოდნენ.“

(ლ. გოთუა, გმირთა ვარამი).

სუფრის წევრებს საშუალება ეძლევათ გამოხატონ სიმპათია ნაცნობ, ნაკლებად ნაცნობ და ახლადგაცნობილ ადამიანებთან, და გულითადი გრძნობები მეგობრების მიმართ. სუფრასთან, ჩვეულებრივ, უარყოფით მხარეს არ ახსენებენ. თუ ასეთი გააჩნია ვინმეს, ტაქტიანად უსურვებენ ხასიათის ან თვისების შეცვლას, რა თქმა უნდა, დადებითისაკენ. მტკიცედ არის დაცული უფროს–უმცროსის ეთიკური ნორმები, განსაკუთრებით მკვეთრად იხატება მოკრძალება მანდილოსნებისადმი, ეროვნული

ადათ-წესებისა და, ზოგადად, ადამიანებისადმი სიყვარული. ფაქტობრივად, ეს არის სხარტი სიტყვა-პასუხის, ზრდილობის, ურთიერთპატივისცემის, რაინდული თავდაჭერილობის, მამულისადმი ერთგულების დემონსტრაცია. ქართული სუფრის სტრუქტურის ელემენტებია: ღვინო, პური (ზოგადად, საკვების მნიშვნელობით), სადღეგრძელო და სიმღერა. ამ ოთხი ელემენტის ურთიერთმონაცვლეობა და ჰარმონიული შეხამება ქმნის ქართულ სუფრას. ქართული სუფრა დიფერენცირებულია: არსებობს ლხინის სუფრა, ჭირის სუფრა, საგანგებო მრავალრიცხოვანი ოფიციალური სუფრა, მეგობრული შინაურული სუფრა, სპონტანური სუფრა. თითოეულ მათგანს თავისი წესი აქვს, მაგრამ ყველასათვის არის ერთი კანონი, ერთი დაუწერელი კონსტიტუცია, რომელიც შეიძლება განიცდიდეს ცვალებადობას, მაგრამ მისი საზრისი უცვლელი რჩება.¹⁴

გამოხატულების პლანში სტრუქტურული სიმეტრიაა: ორივე ფორმა – “feast” და „სუფრა“ – ძირეული სუბსტანტივებია.

ქართულ სუფრას ხელმძღვანელობს თამადა, რომელიც იღებს პასუხისმგებლობას უზრუნველყოს სუფრის ტრადიციების დაცვა:

„დიდფალავანი თ ა მ ა და სუფრას ორბივით დასტრიალებდა“.

(ibid.).

სახელწოდება მომდინარეობს სვანური სიტყვისაგან – „თაამადა“, „თამათა“. ასე მოიხსენიებდნენ თიბვის მესვეურს, რომელიც სამუშაოების დროს სიმღერას იწყებდა.¹⁵

თამადა გამორჩეული თვისებების მქონე, სიბრძნით, ორატორული ნიჭით და იუმორის გრძნობით დაჯილდოვებული ადამიანია. ამასთან, მას უნდა ახასიათებდეს

¹⁴ ქართული სუფრის ტრადიციები. მოძიებული 20 აგვისტოს, 2013.

<http://literatura.mcvane.ge/main/fesvebi/tradiciebi/1629 -qartuli-sufri-tradiciebi.html>

¹⁵ ჯანაშია ს. შრომები, ტ. 4. თბ. 1968.

თვითდისციპლინა და ორგანიზებულობა. ტრადიციების დაცვასთან ერთად თამადა ცდილობს იყოს მაქსიმალურად კრეატიული და წარმოთქმული სადღეგრძელოები გაამდიდროს ლექსებით, თქმულებებით, ანდაზებითა და ხალხური გამონათქვამებით. სადღეგრძელოების წარმოთქმას მეტ-ნაკლებად მკაცრი თანმიმდევრობა აქვს, რაც განპირობებულია სუფრის ხასიათით, დანიშნულებით. მაგრამ არსებობს ზოგადი სქემა, რომელიც დაცული უნდა იქნეს. თამადამ უნდა წარმოთქვას აუცილებელი სადღეგრძელოები, რომელთაგან რომელიმეს გამოტოვება ნაკლად ეთვლება. ამის შემდეგ იგი თავისუფალია და ეძლევა იმპროვიზებული სადღეგრძელოების წარმოთქმის შესაძლებლობა:

„სუფრის წესს შემოგთავაზებთ, ჩემი თ ა მ ა დ ო ბ ა ც ეს იყოს და ესა. ისეთი ხალხი შევიკრიბეთ, – აქ ტრადიციული ქეიფი არ გამოდგება, ყველას თავისი სათქმელი ექნება. პირველ სადღეგრძელოს, ჩვენი თავშეყრისას, მე ვიტყვი. ერთმანეთსაც გაგაცნობთ და პირადი სადღეგრძელოებიც ნათქვამი იქნება. მერე მივდგეთ და რიგრიგობით ვილაპარაკოთ. ვისაც რა მოესურვოს, ისეთი თქვას და სხვები შევუერთდეთ. ახლა მეორემა თქვას და – ეგრე. ამის მაგალითსაც ჩემს თავზე ვიღებ. სასმელ–საჭმელი არის, ღმერთების შეთხზული სიმღერებიც არის, უმშვენიერესი მანდილოსანი, ჩვენი ნანო, აქაურობას გაგვილაზათიანებს.“

(ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

თამადის ინგლისურენოვანი ანალოგია ფორმა toastmaster:

“Jeffrey is interested in these men. He has never seen any men like them. They radiate a kind of vitality that he finds enchanting... Men in the prime of life, Jeffrey thinks. This phrase just comes to him... It is their manner that Jeffrey especially likes. These are brash, confident, public men, happy men...”

Dar looks over at the men, who raise their glasses as one. “To the ladies!” they shout. Dar blushes, smiles, and raises her own glass in their direction. “Thank you,” she calls...

More jokes follow, many more jokes, and more drinks follow too. Dar and Lindsay and Jeffrey stay until the very end of the evening, Dar firmly refusing all offers of a ride back to their hotel with the large men, who finally give up and pile into their rented vans.

“Hey!” Jeffrey yells as the last van pulls out of the parking lot. “Hey! Who are you guys, anyway?”

“*T o a s t m a s t e r s!*” the fat man, driving, yells back.”

(L. Smith, Toastmaster).

თუმცა თანამედროვე ბრიტანულ სამყაროში toastmaster – ის სემანტიკა სცდება ლხინის მეთაურის ფარგლებს. toastmaster სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი ღონისძიებების ხელმძღვანელი და უშუალო წარმმართველია – უპირატესად ისეთი შეკრებების, რომლის მონაწილეები საჯაროდ გამოდიან სიტყვით.¹⁶

განსხვავებულია კვაზირეალების გამოხატულების პლანი: “toastmaster” სუბსტანტიური კომპოზიტია, „თამადა“ კი – ძირეული სუბსტანტივი.

მომდევნო მაგალითი – toast/სადღეგრძელო – წარმოადგენს რიტუალს, რომლის დანიშნულებაცაა პატივისცემისა და კეთილი სურვილების გამოხატვა. სადღეგრძელო ზებუნებრივი ძალებისადმი ღვთაებრივი სითხის – ალკოჰოლის შეწირვის უძველესი ტრადიციის საუკუნეობრივი კვალია:

“We're going to drink *t o a s t s*. Let us drink toasts. Toasts—glasses, glasses—now then, toasts! Speech! Speech!”

¹⁶ Featured Speakers. მოძიებული 20 მაისს, 2013.
<http://www.toastmasters.org/Members/2014InternationalConvention/FeaturedSpeakers.aspx>

(D.H. Lawrence, Women in Love).

"Let us *t o a s t* them all three together. Let us drink to their health, wealth, long life, happiness and prosperity and may they long continue to hold the proud and self-won position which they hold in their profession and the position of honour and affection which they hold in our hearts."

(J. Joyce, The Dead).

სადღეგრძელო, როგორც სემანტიკური უნივერსალია, მსოფლიოს მრავალ კულტურაში ფიგურირებს. თუმცა განსხვავებულია მისი შესმის ტრადიციები.

ეტიმოლოგიური თვალსაზრისით ინგლისური ვარიანტი – toast – უკავშირდება მე-17 საუკუნეში გავრცელებულ ტრადიციას გახუხული პურის არომატით სასმელის შეზავების შესახებ. თავდაპირველად დასახელებული ფორმა აღნიშნავდა მანდილოსანს, რომლის სადღეგრძელოც უნდა შეესვათ. მეტაფორული გაგებით, მანდილოსანი ისეთივე ემხს მატება სასმელს, როგორსაც გახუხული პურის არომატი.¹⁷ თანამედროვე ინგლისურში ფორმა toast პოლისემიურია. მან შეინარჩუნა ყველა დასახელებული სემა: როგორც არსებითი სახელი, გამოხატავს გახუხულ პურს, სადღეგრძელოს, ან პიროვნებას, რომლის სადღეგრძელოც უნდა შეისვას.

ცნების ვერბალიზების ქართულ ვარიანტში (სადღეგრძელო) მოტივაციას ხანგრძლივი სიცოცხლის, დღეგრძელობის სურვილი წარმოადგენს:

„კიდემდის გაავსო თამადამ ყანწი.

შენი ცოლ–შვილის *ს ა დ ღ ე გ რ ძ ე ლ ო ს ა* ვსვამთო.

წელი მოსტება მუხრანულმა ჯავახელს. თავი ჩაჰკიდა და დაიწყო თვლელმა.“

(ვ. გამსახურდია, დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა).

¹⁷ Online Etymology Dictionary. მოძიებული 18 მარტს, 2013.
http://www.etymonline.com/index.php?allowed_in_frame=0&search=toast&searchmode=none

კეთილ სურვილებთან დაკავშირებულ ასოციაციებში ქართულ რეალობაში გამარჯვების იდეა დომინირებს („გაგვიმარჯოს!“), რაც უნიკალურ, საკუთრივ ქართულ მოვლენას წარმოადგენს (იგივე სემას ეფუძნება ქართულში მისალმების გამომხატველი ფორმები „გამარჯობა“, „გაგვიმარჯოთ“):

„ეს ღმერთმა *გ ა უ მ ა რ ჯ ო ს* იმ ხარირემს, რომელიც საფურცლეს ტყეში დასდევდეს ამ წუთში თავის ფურს და სხვა ხარი თუ შეეზიარა, რქებით გამოფატრავს მეტოქეს“.

(ibid.).

„სამიოდე საათის მგზავრობის შემდეგ გულმილელ მარგოს ერთ სადგურზე გაბადრული ჯაყო დაუხვდა:

– მშვიდობა შენი მობრძანება, კნენა მარგო! *გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა* შენი! როგორ გიკითხებოდეს ჯაყომა? როგორა ბრძანდებოდე?“

(მ. ჯავახიშვილი, ჯაყოს ხიზნები).

„–ბონ ჟურ, შერ მესიე კაშორ, - მივესალმე თავაზით და მოწიწებით.
- *გ ა გ ი მ ა რ ჯ ო თ*, მეგობარო, - გაუხარდა მოხუცსაც. - დაბრძანდით...“

(მ. ჯავახიშვილი, მიწის ყვილი).

კვაზირეალიების გამოხატულების პლანში სტრუქტურული ასიმეტრია ფიქსირდება: ინგლისური ვარიანტი “toast” ფუძისეული სუბსტანტივია, ქართული ვარიანტი „სადღეგრძელო“ კი – სუბსტანტიურ–ადიექტიური კომპოზიტისაგან ნაწარმოები სუბსტანტივი.

დაბოლოს, განვიხილოთ საზეიმო რიტუალთან დაკავშირებული „მაყრიონის“ კონცეპტის გამომხატველი ინგლისური და ქართული ფორმები:

“The sisters sat silent, waiting for the *wedding party* to come out. Gudrun was impatient of talk. She wanted to think about Gerald Crich. She wanted to see if the strong feeling she had got from him was real. She wanted to have herself ready.

Inside the church, the wedding was going on.”

(D.H. Lawrence, *Women in Love*).

როგორც კულტურული უნივერსალია, „მაყრიონის“ კონცეპტი საქორწინო ცერემონიალის დროს ნეფე–დედოფლის უახლოესი თანმხლები პირების ერთობლიობას მოიცავს.

ტრადიციულ ქართულ რეალობაში მაყრიონის შემადგენლობაში შედიან ნეფისა და პატარძლის თანმხლები პირები:

„მეორე დღეს ჭართლიდან მომავალმა ჩოხლების *მ ა ყ რ ი ო ნ მ ა* ის იყო დატოვა არაგვის ღორღიანი ჭალა და მთას უნდა შესდგომოდნენ სოფლისაკენ, რომ ამ დროს უკან ჩამორჩენილმა მაყარმა ცხენი შეაბრუნა და არაგვს გამოეკიდა“.

(გ. ჩოხელი, *თევზის წერილები*).

სულხან–საბა „მაყრის“ განმარტებისას იყენებს ფორმას „ძმადი“¹⁸ (ძმობილი, ძმადნაფიცი).

წარსულში ფართოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა „მდადე“/„მდადი“ (საბასეული განმარტებით, „დიაცი სძლის მაყარი“)¹⁹ – პატარძლის თანმხლები მანდილოსანი, რომელიც მნიშვნელოვანი პრივილეგიებით სარგებლობდა საქორწინო ცერემონიალის დროს. მდადეს ირჩევდნენ ნათესავთა და ახლო მეგობართა წრიდან. მას მთელი რიტუალის განმავლობაში პატარძალთან ყოფნა და მისი უშუალო მფარველობა ევალებოდა. ზოგჯერ მის ფუნქციაში შედიოდა საქორწინო სარეცლის გაშლა–

¹⁸ სულხან–საბა ორბელიანი. *ლექსიკონი ქართული*, ტ. I. თბ. 1991. გვ. 449.

¹⁹ იქვე. გვ. 456.

ალაგება.²⁰ მდადეს განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ როგორც ქალის, ისე ვაჟის ოჯახში:

„მაღე ნეფეც მობრძანდა თავისი მაყრიონით. ზურნის გამყივანი ხმები, დოლის ბაგაბუგი, დამბაჩების გრიალი, სულ ერთმანეთში აირია.

ნეფეს *მ დ ა დ ე* შეეგება, გადაეხვია და ფრანგულ დარბაზისკენ წაუძღვა, სადაც მას პირბადეჩამოფარებული, თეთრებში მორთული საცოლე ელოდებოდა.

ყველაფერი თითქოს ისევ წესრიგის მიხედვით მიმდინარეობდა. დარბაზები სტუმრებით იყო სავსე, მხიარულებასაც თავისი ელფერი ჰქონდა.“

(ა. ბელიაშვილი, თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა).

ტრადიციულ ქართულ ეთნოკულტურულ რეალობაში ნეფის მაყრების ხელმძღვანელის აღმნიშვნელ ფორმად გვხვდება „ეჯიბი“ – ნეფის მთავარი წარმომადგენელი და მისი ნება–სურვილის აღმსრულებელი:²¹

„სასახლიდან სიონის ბჭეებამდე ნოხები იყო დაფენილი, ხოლო ნოხების ზემოდან, ნეფე–დედოფლისათვის, ვარდისფერი აბრეშუმის ფართო ბაფთა ეფინა. მთელი ქუჩა, სახლის ბანები და აივნები ისე იყო დახუნძული საზეიმოდ მორთული ხალხით, რომ შენობათა კედლებიც კი არა ჩანდა. დავითს მარჯვენა ხელში ეპყრა თამარის წამოსასხამის მარჯვენა სახელო და ორივენი საოცარი წყნარი ნაბიჯით მიდიოდნენ ტაძრისაკენ. მათ ოდნავ მოშორებით მიაცილებდნენ თამარის მდადე ანა და დავითის *ეჯიბი* ბესიკი.“

(ibid.).

²⁰ ქსე, ტ. 6, თბ. 1983. გვ. 528.

²¹ ითონიშვილი ვ. ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან. თბ. 1960.

აქვე უნდა მივუთითოთ, რომ იგივე ფორმით – „ეჯიბი“ (არაბ. „მეფის მეკარე“, „კარისკაცი“) აღინიშნებოდა ერთ–ერთი დიდმოხელე ფეოდალური საქართველოს მეფის კარზე – მონარქისათვის მთხოვნელთა სურვილების მომხსენებელი.²²

ნეფე–დედოფლის მთავარ წარმომადგენელთა გამომხატველი შედარებით თანამედროვე ფორმებია „ხელისმომკიდე“ და „მეჯვარე“ (ჯვრისწერის ცერემონიალის უშუალო მონაწილეები, რომლებიც წყვილის შვილების პოტენციური ნათლიები არიან):

„ნაბდიანი კაცი, გუგუა ფიჩიტაური, იყო სასიძო და მის გვერდით მყოფი ყმაწვილი, მდიდრულად ჩაცმული - ონისე, შვილი განთქმულის „ხვეის ბერისა“ გოჩასი, რომელიც გუგუას *ხელისმომკიდედ, მეჯვარედ* მოჰყოლოდა.“

(ა. ყაზბეგი, ხვეის ბერი გოჩა).

მაყრიონის დანარჩენ წევრებს უახლოესი ნათესავები და მეგობრები შეადგენენ.

ტრადიციულ ინგლისურ რეალობაში მაყრიონის სხვადასხვა წევრთა აღსანიშნავად ფიგურირებს შემდეგი ფორმები:

Groomsmen - ნეფის თანმხლები მამაკაცები, რომლებიც უშუალოდ განაგებენ საქორწინო ცერემონიალის ორგანიზაციულ საქმეებს:

“The bridegroom and the *groomsmen* had not yet come. There was a growing consternation outside. Ursula felt almost responsible. She could not bear it that the bride should arrive, and no groom. The wedding must not be a fiasco, it must not.”

(D.H. Lawrence, *Women in Love*).

ამ მამაკაცთა წრიდან ირჩევს ნეფე უახლოეს პირს – მეჯვარეს – best man:

²² ქსე, ტ. 4, თბ. 1979. გვ. 260.

“In a little convulsion of too-tired yearning, she entered the church and looked slowly along her cheeks for him, her slender body convulsed with agitation. As *b e s t m a n*, he would be standing beside the altar. She looked slowly, deferring in her certainty.”

(*ibid.*).

პატარძლის თანმხლები მანდილოსნების გამომხატველი ფორმაა bridesmaids. მათი წრიდან ირჩევენ პატარძლის მთავარ მეჯვარეს – chief bridesmaid:

“The *b r i d e s m a i d s* were here, and yet the bridegroom had not come. Ursula wondered if something was amiss, and if the wedding would yet all go wrong. She felt troubled, as if it rested upon her. The *c h i e f b r i d e s m a i d s* had arrived. Ursula watched them come up the steps. One of them she knew, a tall, slow, reluctant woman with a weight of fair hair and a pale, long face. This was Hermione Roddice, a friend of the Criches.”

(*ibid.*).

დასავლურ სამყაროში საქორწინო ცერემონიალის უმნიშვნელოვანესი და განუყოფელი მონაწილეა Father of the Bride – პატარძლის მამა, ან უახლოესი ნათესავი მამაკაცი, რომელსაც პატარძალი საკურთხეველთან მიჰყავს და ნეფეს გადასცემს მის ხელს:

“There was a sudden foaming rush, and the bride like a sudden surf-rush, floating all white beside her *f a t h e r* in the morning shadow of trees, her veil flowing with laughter...

She put her hand on the arm of her care-worn, sallow *f a t h e r*, and frothing her light draperies, proceeded over the eternal red carpet. Her *f a t h e r*, mute and yellowish, his black beard making him look more careworn, mounted the steps stiffly, as if his spirit were absent; but the laughing mist of the bride went along with him undiminished.”

(*ibid.*).

ტრადიციულ დასავლურ მაყრიონში, ჩვეულებრივ, შედიან: Junior Bridesmaids - არასრულწლოვანი მეჯვარეები, მათ შორის მცირეწლოვანი Flower Girl, რომელიც ყვავილის ფურცლებით რთავს ნეფე-დედოფლის გზას:

“Arianna stared at the wedding invitation and smiled. Her cousin Jessica was getting married, and she’d asked Arianna to be the *flower girl*. Arianna couldn’t wait to wear a beautiful dress and toss flower petals along the aisle.

“But *flower girls* are supposed to be little,” Megan complained. “Jessica should’ve picked me. I’m younger.”

(K. Hashway, Flower Girl).

აქვია Ring Bearer - ყმაწვილი, რომელიც საქორწინო ბეჭდებს მთარმევს ნეფე-დედოფალს. ამასთან, საქორწინო ცერემონიალს, შესაძლო გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ხშირად წინ უძღვის იმიტირებული ცერემონიალი:

“There was a little boy about five years old who was the *ring bearer*; when it was time for the rehearsal, he did not want to walk down the aisle. A family member kept trying to get him to walk down the aisle, but he did not want to do it. He ran and hid in the corner behind where I was standing. The boy refused to carry the pillow with ruffles on it down the aisle. At first people were laughing and thought this was cute.”

(S. Winnette, The Coordinator’s Shoes).

დასახელებული კვაზირეალიების სტრუქტურებს შორის ფიქსირდება ასიმეტრია:

wedding party (გასუბსტანტივებული გერუნდივისა და სუბსტანტივის სინთეზის შედეგად წარმოქმნილი კოლოკაცია) – მაყრიონი (წარმოქმნილი სუბსტანტივი).

bridesmaid (სუბსტანტიური კომპოზიტი) – მდადე (ძირეული სუბსტანტივი); მეჯვარე (ნაწარმოები სუბსტანტივი), ხელისმომკიდე (სუბსტანტიურ-პარტიციპიული კომპოზიტი);

best man (სუბსტანტიურ-ადიექტიური კოლოკაცია) / groomsman (სუბსტანტიური კომპოზიტი) – მეჯვარე (ნაწარმოები სუბსტანტივი), ხელისმომკიდე (სუბსტანტიურ-პარტიციპიული კომპოზიტი);

6) სამგლოვიარო რიტუალთან დაკავშირებული კვაზირეალიებიდან განვიხილოთ mourner - მოზარე და wake - ქელები.

ჭირისუფლის აღმნიშვნელი ფორმა “mourner” ეტიმოლოგიური თვალსაზრისით უკავშირდება ძველ ინგლისურ ფორმას “murnan” (გლოვა, მწუხარება):²³

“Everybody went to little Hans’ funeral, as he was so popular, and the Miller was the chief *mourner*.”

“As I was his best friend,” said the Miller, “it is only fair that I should have the best place”; so he walked at the head of the procession in a long black cloak, and every now and then he wiped his eyes with a big pocket-handkerchief.”

(O. Wilde, The Devoted Friend).

ქართული ფუნქციური ანალოგი – მოზარე – ქართულ რეალობაში უპირველესად ასოცირდება ზართან – სამგლოვიარო გუნდურ სიმღერა-ტირილთან:

„ქორსატეველას ციხიდან კარვებამდის ორ მწკრივად იდგნენ შაოსანი მოზარენი. დაბალი, დაბალი ხმით ღიღინებდნენ, მათი ერთობლივი ზუზუნი შემზარავი იყო, გულის მომკვლელი ზუნი ისმოდა ირგვლივ და შაოსანი მოხუცების ღიღინი...“

²³ Online Etymology Dictionary. მოძიებული 15 აგვისტოს, 2013.
http://www.etymonline.com/index.php?allowed_in_frame=0&search=mourn&searchmode=none

(ვ. გამსახურდია, დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა).

ზარს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში. იგი ყველაზე სრულყოფილი სახით სვანეთის ეთნოგრაფიის ყოფამ შემოინახა. ზარით გლოვა ძველი ქართული წერილობითი წყაროებითაც დასტურდება.²⁴ საქართველოს ზოგ კუთხეში მას „ზრუნს“ (საბასეული განმარტებით – „გოდების ბანი“) ²⁵ უწოდებენ.

გამოხატულების პლანში იკვეთება სტრუქტურული სიმეტრია: ორივე ფორმა – “mourner” და „მოზარე“ ნაწარმოები სუბსტანტივებია.

რაც შეეხება ქელესს, როგორც კულტურული უნივერსალია, იგი დაკრძალვის რიტუალის დამაგვირგვინებელი ნაწილია – გარდაცვლილისადმი პატივის მიგების, ჭირისუფლებისათვის ნუგეშისცემის, დამსწრე საზოგადოების მიმართ მადლიერების გამოხატვისა და ქველმოქმედების ერთ–ერთი ყველაზე ქმედითი საშუალება, რომელიც მრავალფეროვანი სპეციფიკით გამოირჩევა სხვადასხვა ეთნოკულტურულ რეალობაში.

ინგლისური ვარიანტი wake (ფხიზლობა) თავდაპირველად აღნიშნავდა ღამისთევას მიცვალებულისათვის ლოცვისა და პატივის მიგების მიზნით.²⁶ თანამედროვე სემანტიკით ფორმა wake დაკრძალვის თანმხლები სოციალური ინტერაქციის გამომხატველია:

“Shize? I should shee! Macool, Macool, orra whyi deed ye diie? of a trying thirstay mournin? Sobs they sighdid at Fillagain's chrissormiss *w a k e*, all the hoolivans of the nation, prostrated in their consternation and their duodisimally profusive plethora of ululation”.

(J. Joyce, Finnegans Wake).

²⁴ გორგაძე დ. ქსე, ტ. 4. თბ. 1979. გვ. 485.

²⁵ სულხან–საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, ტ. I. თბ. 1991. გვ. 287.

²⁶ Online Etymology Dictionary. მოძიებული 20 თებერვალს, 2013.

http://www.etymonline.com/index.php?allowed_in_frame=0&search=wake&searchmode=none

ბრიტანული სამგლოვიარო სუფრა – funeral repast (ლათ. funus - სამგლოვიარო რიტუალი; repastus - პურისჭამა, სერობა)²⁷ – ტრადიციულად მოკრძალებულია და, უპირატესად, გარდაცვლილის სახლში, ეკლესიასთან არსებულ საგანგებო სარიტუალო პალატებში, ან სხვა რომელიმე მყუდრო ადგილზე იმართება:

“Little Hans is certainly a great loss to everyone,” said the Blacksmith, when the funeral was over, and they were all seated comfortably in the inn, drinking spiced wine and eating sweet cakes.”

(O. Wilde, The Devoted Friend).

ქართული რეალობის ქელები ტრადიციული ქართული სუფრის კონცეპტის კომპონენტია:

„იცი, რა, ლუკა? თევზი მაინც საჭიროა *ქ ე ლ ე ხ ზ ე*. ერთ–ორ საათში საკმაოდ დავიჭერთ. მოხარშვით კი მე მოვხარშავ...”

ეზოში უკვე ცეცხლი დაენტოთ. უზარმაზარ ქვაბებში ქორვაჭრებისაგან მამასისხლად ნაყიდი ლობიო და ბრინჯი იხარშებოდა. იქვე ონკანთან ირეცხებოდა და ხარისხდებოდა ათასნაირი მწვანელი.

ნათესავების ერთმა ნაწილმა, აღმოსავლურმა შტომ, წინადადება შემოიტანა, ცხვარი დავკლათო, მეორემ – დასავლურმა, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, – რას ჰქვია, ცხვარი დავკლათო! ორმოცამდე ხორცის ჭამა ვის გაუგიაო.“

(ა. სულაკაური, ლუკა).

ქართული ქელებისთვის დამახასიათებელია ქართული სუფრის ყველა ელემენტი. თუმცა ქელების სუფრა უფრო მეტად რიტუალიზებულია და მკაცრად რეგლამენტირებული. საქართველოს რეგიონების მიხედვით განსხვავდება ქელების

²⁷ Online Etymology Dictionary. მოძიებული 20 თებერვალს, 2013.
http://www.etymonline.com/index.php?allowed_in_frame=0&search=funeral+repast&searchmode=none

ტიპი. თუ აღმოსავლეთ საქართველოში და დიდ ქალაქებში ქელები მოსდევს დაკრძალვას, დასავლეთ საქართველოს სოფლებში ქელების სუფრა წინ უძღვის დაკრძალვას და გარდაცვლილის სულის მოხსენიებასთან ერთად ქვეყნის შორეული კუთხეებიდან ჩამოსული სტუმრების პატივისცემას ისახავს მიზნად. ზოგჯერ ქართული ქელები საზოგადოების ნაწილის უარყოფით კრიტიკას იმსახურებს, რადგან მიიჩნევენ, რომ იგი გაცილებით უფრო მოკრძალებული უნდა იყოს.

ინგლისური და ქართული ვარიანტები (“wake”, „ქელები“) სტრუქტურული თვალსაზრისით იდენტურია: ორივე ფორმა ფუძისეულ სუბსტანტივს წარმოადგენს.

7) ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების სფეროდან განვიხილოთ გამზრდელის, დედობილის ინსტიტუტთან დაკავშირებული კვაზირეალიები – foster mother და დედამტე.

ინგლისური ვარიანტის გამოხატულების პლანში წარმოდგენილია სუბსტანტიურ-ადიექტიური კოლოკაცია: “foster (ძვ. ინგ. ზმნისაგან “fostrian” - „გამოკვება“) ²⁸ mother:”

“Olivia no longer missed the sunsets coming in from the windows. The days are mostly golden now, since her *f o s t e r m o t h e r* Anna died of natural causes in old age; the days were a shade of sepia.”

(Z. M. Dy Recidoro, Whirlwind of Stories).

ქართული ვარიანტის გამოხატულების პლანში წარმოდგენილია სუბსტანტიური კომპოზიტი – „დედა – მტე“ (საბასეული განმარტებით „რძისა და საჭმლის მოზიარე“):

„ბატონიშვილების ძიძად გაცემა, დ ე დ ა მ ტ ე ე ო ბ ა ც და მამამტეობაც სავალდებულო წესად იყო შემოღებული.“

²⁸ Online Etymology Dictionary. მოძიებული 15 მარტს, 2013.
http://www.etymonline.com/index.php?allowed_in_frame=0&search=foster+&searchmode=none

(ლ. გოთუა, გმირთა ვარამი).

ქართული ვარიანტის შინაარსის პლანში ფიგურირებს დიაქრონიული სემა, რომელიც დღემდე შესაბამის ასოციაციებს აღძრავს: ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში დიდგვაროვნების შვილები დაბალი სოციალური წრის წარმომადგენელთა ოჯახებში ატარებდნენ ადრეული ბავშვობის წლებს. აღნიშნულ ტრადიციას მცირეწლოვანი ფეოდალის მიერ რეალური ცხოვრებისეული გამოცდილების მიღებისა და ვასალთან ჰარმონიული ურთიერთობის ჩამოყალიბება-განმტკიცების სურვილი ედო საფუძვლად:

„ეს გაზრდილ-გ ა მ ზ რ დ ე ლ ო ბ ა აკავშირებდა ერთმანეთთან სხვადასხვა წოდებას. გარდა ნათელ-მრონობისა, თითქმის სისხლხორცობა არ მიაჩნდათ ისე მტკიცე კავშირად, როგორც გ ა მ ზ რ დ ე ლ-გაზრდილობა. არათუ ძიძიშვილები და მათი ახლო მონათესავენი, მათი შორეული მოყვრებიც კი მზად იყვნენ ყოველ შემთხვევაში თავი დაედვათ გაზრდილის გულისათვის. და გაზრდილიც მარად ექჟომაგებოდა ამ კაცს, და მისი ბრალია, რომ ამ უკანასკნელ საუკუნემდე ჩვენს ქვეყანაში უფრო კაცური და კეთილი განწყობილება იყო მაღალ და დაბალ წოდებას შუა, ვიდრე სხვა ქვეყნებში. რა თქმა უნდა, რომ ამ გონივრული ჩვეულების მიზეზი იყო ჩემი სოფელში გაბარებაც.“

და კურთხეულიმც იყოს ეს ჩვეულება!.. არ შემიძლია არ გამოვტყდე, რომ, თუკი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ერთად ვიზრდებოდი.“

(ა. წერეთელი, ჩემი თავგადასავალი).

ზემოთ დასახელებული სემა ინგლისური ფუნქციური ანალოგის – foster mother – შინაარსის პლანში არ ფიგურირებს.

მომდევნო მაგალითად დავასახელოთ bonfire – დიდი ცეცხლის დანთების ტრადიცია:

“We weren’t the only ones around the *b o n f i r e*, far from it. Many hands had been pitching on wood and paper and broken furniture, ripped-up books and matted newspapers, dolls stuffed with sawdust, figures made of straw. We were shadows with bright glinting eyes, orange and vibrant in the light from the flames, all of us ageless and infinitely experienced in our innocence. We danced around our pyre as if it was the center of the universe; we were part of the ring of light that held off the encircling dark.”

(M. Laidlaw, Bonfires).

ცეცხლის კონცეპტი, როგორც კულტურული უნივერსალია, სითბოს, სინათლის, ოჯახური კერის, ძლიერების სიმბოლო და პოზიტიური ენერჯის წყაროა. ამიტომ მსოფლიოს მრავალ კულტურაში ცეცხლი საკრალური რიტუალის განუყოფელი ნაწილია.

დიდი ცეცხლის დანთების რიტუალი ინგლისურ და ქართულ ეთნოკულტურულ რეალობაში წარმართული ხანიდან იღებს სათავეს და აგრარული ფაქტორებით არის განპირობებული.

ინგლისურ რეალობაში ტრადიცია იმ უძველეს კელტურ ეპოქას უკავშირდება, როცა მოსავლის აღების აღსანიშნავი მასშტაბური დღესასწაულის დასრულების შემდეგ დემონსტრაციულად წვავდნენ ზამთრის სეზონისათვის დაკლული პირუტყვის ძვლებს (bonfire – bone+fire).²⁹

დასახელებული კვაზირეალის ქართული ფუნქციური ანალოგია ჭიაკოკონა. ფორმა „ჭიაკოკონა“ იგივეა, რაც „კვირტაჭია“ – ვაზის კვირტის, კოკორის მჭამელი ჭია. „კოკონა“ იგივე „კოკორია“. ჭიაკოკონობა უნდა უკავშირდებოდეს ვაზის პარაზიტი ჭიის

²⁹ Online Etymology Dictionary. მოძიებული 20 თებერვალს, 2013.
http://www.etymonline.com/index.php?allowed_in_frame=0&search=bonfire&searchmode=none

– ჭიაკოკონას განადგურების წარმართული ხანის რიტუალს, რაც წალმის დაწვით ხორციელდებოდა.³⁰

დღეს ეს რიტუალი, როგორც ხალხური ტრადიცია, რამდენადმე სახეცვლილი ფორმით აგრძელებს არსებობას ინგლისურ და ქართულ ქრისტიანულ კულტურაში. დიდი ცეცხლი, ჩვეულებრივ, რელიგიური დღესასწაულის წინა დღეს ინთება: ბრიტანეთში ყველა წმინდანის დღესასწაულის (All Hallows Day) წინა საღამოს, 31 ოქტომბრის სახალხო ზეიმზე (ზეიმის სახელწოდება მომდინარეობს კოლოკაციისაგან – Hallow’s Eve, რომელმაც დროთა განმავლობაში მიიღო კომპოზიტის სახე – Halloween).³¹ საქართველოში კი ჭიაკოკონობა იმართება აგვისტოს თვეში, ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულის წინ. ეთნოკულტურულ ცნობიერებაში ტრადიცია კოდირებულია, როგორც უარყოფითი ენერჯისაგან განმწმენდი და დამცავი სიმბოლური აქტი:

„ჭ ი ა კ ო კ ო ნ ო ბ ა გაჩაღებული იყო: მთელი ის პატარა სოფელი სულ ცეცხლის ალში იჯდა. თითქმის ყოველი სახლის წინ ენთო ჭ ი ა კ ო კ ო ნ ა, რომელსაც გარშემო ეხვივნენ დიდით პატარამდე წევრნი იმ ოჯახისა. დიდები მომეტებულად სეირს უყურებდნენ. ზოგიერთ მათგანს კი, უფრო ქალებს, სული წასძლევდა ხოლმე, გაექანებოდა და ხტებოდა ანთებულ ცეცხლზედ. ამას მოჰყვებოდა საზოგადო კიჟინა და სიცილი. ახალგაზრდები და პატარები დიდს სიხარულში იყვნენ: ერთი განუწყვეტელი ჟღავიჟღუვით ურბენდნენ ჭ ი ა კ ო კ ო ნ ა ს გარშემო, ხტუნაობდნენ მასზედ და ჰყვიროდნენ: „ალული კუდიანებსა, ჯვარი აქაურობასა.“

(ნ. ლომოური, ქაჯანა).

თანამედროვე ბრიტანეთსა და თანამეგობრობის ქვეყნებში დიდი ცეცხლის დანთების რიტუალი ყოველწლიურად ტარდება, ასევე, ე.წ. გაი ფოქსის ღამეს, როცა

³⁰ ჭოხონელიძე ნ. ზოგი კომპოზიტის (ჭიაფერი, ჭიამაია და ჭიაკოკონა) წარმომავლობისათვის. 57–ე სამეცნიერო სესიის მასალები. თბ. 1998. გვ. 68–69.

³¹ Online Etymology Dictionary. მოძიებული 15 თებერვალს, 2013.

http://www.etymonline.com/index.php?allowed_in_frame=0&search=halloween&searchmode=none

ზეიმით აღინიშნება 1605 წელს პარლამენტის შენობის განადგურების მცდელობის ფიასკო.³²

კვაზირეალიების გამოხატულების პლანში სტრუქტურული სიმეტრიაა: ორივე ფორმა – “bonfire” და „ჭიაკოკონა“ – სუბსტანტიურ კომპოზიტს წარმოადგენს.

ზნე-ჩვეულებების არეალს განეკუთვნება bundling – სწორფრობა/წაწლობა და cuckolding – თავზე რქების დადგმა.

bundling – სწორფრობა/წაწლობა – ქალ-ვაჟს შორის არსებული მტკიცედ დადგენილ ნორმებს დაქვემდებარებული ინტიმური ურთიერთობაა ქორწინებისა და სქესობრივი კავშირის აკრძალვით. ინგლისურ და ქართულ ისტორიულ-ეთნოკულტურულ რეალობაში იგი თავისებური ფორმებით და მოტივაციით გვხვდება.

ინგლისში მიიღო სახელწოდება bundling („ერთად გახვევა“, „შეფუთვა“). ინგლისიდან ტრადიციამ გადაინაცვლა კოლონიურ ამერიკაში, სადაც მას საფუძვლად ედო ხანგრძლივი, დამქანცველი გზა, მკაცრი კლიმატი და ღამის გასათევი ადგილების დეფიციტი. ხშირად მოგზაურებს უფლება ჰქონდათ მასპინძლის ოჯახის მდებარეობით წევრთან ერთად გაეზიარებინათ სარეცელი ყველა არსებული ნორმის დაცვის პირობით.³³

“ - Well, to begin with, he'll ask where I spent the night, and I'll have to tell the truth. I'll have to say I *bundled* with you in a hut in the woods.

- *Bundled?*

- A custom the people brought with them from Connecticut when they came to settle in Nova Scotia. Poor folk still do it. Sweethearts, I mean. It saves fire and candles when you're courting on a winter evening. It's harmless – they keep their clothes on, you see,

³² Guy Fawkes and Bonfire Night. მოძიებული 15 მარტს, 2013. <http://www.bonfirenight.net/bonfire.php>

³³ Stiles H. R. Bundling: Its Origin, Progress and Decline. Montana: Kessinger Publishing. 2005.

like you and me – but Mr. Barclay and the other Methody people are terrible set against it. Mr. Barclay got old Mr. Mings – he’s the Methody preacher that died last year – to make a sermon against it. Mr. Mings said *bundling* was an invention of the devil”.

(T.Raddall, The Wedding Gift).

ქართულ რეალობაში მსგავსი ურთიერთობა ეფუძნებოდა სრული თანასწორუფლებიანობის პრინციპს და იმიჯნებოდა ქორწინებისაგან, რომელიც, ჩვეულებრივ, ასიმეტრიულ ხასიათს ატარებდა. ამაზე მიუთითებს თავად ფორმა „სწორფერი“ – თანასწორი.

გ. რობაქიძე სწორფრობის საიდუმლოს უაღრესად რომანტიკული ფორმულით ხსნის:

„ – ეს ხომ წამებაა! – შევძახე მე.

– წამებაა? – მომიბრუნა სიტყვა, – ტკბილ ხომ არს!..“

„ღვთიურ არს სიყორულ; ხორციელ იგემებ – მოჰკლავ მას; იწვოდ მხოლოდ!“

(გ. რობაქიძე, ენგადი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „სწორფრობად“ ტრადიცია ხევსურეთში იწოდებოდა, ხოლო ფორმა „წაწალი“ ფშავში იყო გავრცელებული.

აღნიშნული ტრადიცია საყოველთაოდ აღიქმებოდა, როგორც იმ მამაკაცის ღირსების მკაცრი გამოცდა, რომელსაც მასპინძლის ოჯახმა ნდობა გამოუცხადა:

„ეხლა კი მივხვდი. გამახსენდა წელანდელი ჩურჩული, ხათუთას მორცხვი სიმღერა, ჯურხას გაფრთხილება და ოდესღაც ნაამბობი უცნაური ხევსურული ჩვეულება – სასტიკი, საამური და მავნე *ს წ ო რ ფ რ ო ბ ა - წ ა წ ლ ო ბ ა* - უზენაესი ძმური სიყვარულის მკაცრი ადათი. დღესაც არ ვიცი, ველური თუ ზეკაცური, ღვთიური თუ

სატანური: ხევსური თავისავე გვარის სტუმარს, ან ძმადნაფიც უცხოელს ლოგინში ქალს ჩაუწვენს, მაგრამ დილით ის ქალი იმ ლოგინიდან ისევ უბიწოდ უნდა წამოდგეს.“

(მ. ჯავახიშვილი, თეთრი საყელო).

ურთიერთობის ნორმების დაცვის გარანტიის სიმბოლური გამოხატულებაა ორლესული მახვილი, რომელსაც ბარიერული ფუნქცია ენიჭებოდა:

„იყუჩე მეთქი, ვაჟიკავ...“

ის ს ა ტ ე ვ ა რ ი ჩვენს შუა დასდო და მიყუჩდა.

კვანძვით მოკუნჭულა. გაყინულივით მაგმაგებს, კბილებს ციებიანივით აწკაპუნებს.

- ხათუთი... შენა ხარ? მართლა შენა ხარ? ეს ხ ა ნ ჯ ა ლ ი რაღად გინდა, ქალო?

- ხელი არ მახლო... სწორფრობისთვის მავედივ... ჯურხას ფიც-ვერცხლ ნაჭამთან მავედივ.

მივიწიე, მაგრამ მჭრელ მახვილს წავაწყდი და გავინაზე.“

(ibid.).

დასახელებული კვაზირეალიები სტრუქტურული თვალსაზრისით განსხვავებულია. ინგლისური ვარიანტი (bundle, bundling) ზმნური ფორმებით არის ვერბალიზებული, ხოლო ქართული ვარიანტები (სწორფრობა, წაწლობა) – სუბსტანტიურ-ადიექტიური ფორმებით.

შემდეგი მაგალითი – cuckold – ისტორიულად აღნიშნავდა ქმარს მოღალატე ცოლით, ან მამაკაცს, რომელიც მამობას უწევს ადიულტერის შედეგად გაჩენილ ბავშვს. სიტყვა მომდინარეობს გუგულის (cuckoo) სახელისაგან.³⁴ როგორც ცნობილია, აღნიშნული ფრინველი ხშირად იცვლის მამრს და საკუთარი ნაშიერების გამოსაჩეკად სხვა ფრინველების ბუდეებს იყენებს. მეტაფორიზაციის გზით მივიღეთ ფორმა cuckold:

³⁴ Online Etymology Dictionary. მოძიებული 15 თებერვალს, 2013.
http://www.etymonline.com/index.php?allowed_in_frame=0&search=cuckold&searchmode=none

“The man himself lay in the bed.

For a long while we just stood there, looking down at the profound and fleshless grin. The body had apparently once lain in the attitude of an embrace, but now the long sleep that outlasts love, that conquers even the grimace of love, had *cuckolded* him”.

(W. Faulkner, A Rose for Emily).

წარმოდგენილ მაგალითში კვაზირეალია გადმოცემულია კონვერსიის შედეგად წარმოქმნილი ზმნის სახით, ღალატის, დამცირების მნიშვნელობით.

ქართულ რეალობაში იგივე ცნების გადმოსაცემად, უპირატესად, ფიგურირებს ფრაზა – „თავზე რქის დადგმა“:

„ადგილობრივები ამბობდნენ, თავის დროზე ნერონზე ლამაზი ბიჭი არ დადიოდა რაიონში, რომელ გოგოსაც ხელს დაადებდა, ის გაყვებოდა ცოლად. მაგრამ ვიღაც დიდი კაცის ცოლს გადაეკიდა და სანამ ვერაგულად არ მოწამლეს რაღაც ტოქსიკური ფხვნილით, რომელიც ბალიშის პირზე მიმოუფანტავს დაქირავებულ მკვლელს, დიდი კაცისთვის *რქების დადგმა* არ მოიშალაო.“

(დ. ქარდავა, ქვრივი ქალის მუცელი).

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მეტოქესთან დამარცხების შედეგად ფურდაკარგული ხარირემის მეტაფორიზაციასთან.

რქების მეტაფორიზაციას ორი სარკასტული ინტერპრეტაცია უკავშირდება. პირველი ვერსიის თანახმად, ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკ კომნენოსის (1183–1185) ფავორიტთა მეუღლეებს საიმპერატორო ნაკრძალში ნადირობის უფლება ენიჭებოდათ. სიმბოლურად, ასეთ „პრივილეგიებულ“ დიდგვაროვანთა კარზე ირმის რქებს აკრავდნენ და ხუმრობდნენ – თავზე რქები ადგათო; მეორე ვერსიის მიხედვით, მეტაფორიზაციის საფუძველი ძველ გერმანულ ტომთა საომარი აღჭურვილობის სპეციფიკა და წინასაბრძოლო რიტუალია: ომში წასვლის წინ მამაკაცს, ჩვეულებისამებრ,

მეუღლე ადგამდა თავზე მუზარადს, რომელზეც, თავდაცვითი ფუნქციის გაძლიერების მიზნით, რქები იყო მიმაგრებული. ეს აქტი სარკასტული ინტერპრეტაციით ასოცირდებოდა გარკვეული პერიოდის მანძილზე ქმრის გარეშე დარჩენილი ქალის სრულ თავისუფლებასთან და შესაძლო ადიულტერთან.³⁵

ინგლისური ვარიანტის გამოხატულების პლანი, როგორც აღვნიშნეთ, მოცემულია კონვერსიის შედეგად მიღებული ზმნის ფორმით, ხოლო ქართული ვარიანტის – სუბსტანტიური და ზმნური ფორმების სინთეზის შედეგად წარმოქმნილი კოლოკაციის სახით.

8) დღესასწაულთა არეალიდან განვიხილით მაგალითი Christmas – მაცხოვრის დაბადების აღსანიშნავი დღესასწაული:

“They’re goin’ to stay up here until *Christmas*, then go off somewhere hot, then come back up here after mud season”.

(E. Annie Proulx, *Electric Arrows*).

შობა ბრიტანეთში აღინიშნება იულიუსის კალენდრის (25 დეკემბერს), ხოლო საქართველოში – გრეგორიანული კალენდრის მიხედვით (7 იანვარს). უნიკალურია ტრადიციული ბრიტანული და ქართული საშობაო ტრადიციები და ატრიბუტიკა, სამზარეულო, დეკორაციები, საგალობლები.

ყურადსაღებია მნიშვნელოვანი მომენტი: დასავლურ სამყაროში შობა არა მარტო რელიგიურ, არამედ სახალხო დღესასწაულადაც ითვლება. საშობაო საზეიმო ღონისძიებებში განსხვავებული აღმსარებლობის წარმომადგენლებიც იღებენ მონაწილეობას. ე.წ. საშობაო სეზონი იწყება ნოემბრის ბოლოდან და გრძელდება

³⁵ რა პრივილეგია აქვთ რქებდადგმულ მამაკაცებს? მოძიებული 20 სექტემბერს, 2013.
<http://massmedia.ge/index.php?id=328>

იანვრის დასაწყისამდე დასავლეთის ქვეყნებში და თითქმის ყველა ქვეყანაში, რომელიც დასავლური კულტურის მძლავრ გავლენას განიცდის.

ქართულ რეალობაში (განსაკუთრებით ბოლო ათწლეულების განმავლობაში, როცა 70 წლიანი ათეიზმის დასასრულის შემდეგ განმტკიცდა მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიციები) უფრო და უფრო ძლიერდება ტენდენცია შობა აღნიშნოს ეკლესიური ტრადიციის ზედმიწევნით დაცვით. ხოლო ის სულისკვეთება, რაც დამახასიათებელია სახალხო დღესასწაულისათვის, რომელიც ექსპლიციტურად, ან იმპლიციტურად გამოხატავს ერის ცნობიერებაში არსებულ, მთელი მისი ისტორიული განვითარების მანძილზე დაგროვილ წარმოდგენებს, ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებს, უპირატესად, ახალი წლის აღნიშვნას უკავშირდება.

ინგლისური კვაზირეალია სტრუქტურული თვალსაზრისით კომპოზიტია: მოიცავს ორ ძირს – Christ’s Mass (სიტყვა “mass” – „მესა“, „წირვა“ მომდინარეობს ლათინური ზმნისაგან – “mittere” – „გაგზავნა“, „წარგზავნა“).³⁶ ქართული ვარიანტი კი გასუბსტანტივებული საწყისია – „შობა“:

„აგონდება ქალს პირველი ამბორი - განა ეს გარდაქმნა არ იყო?!

აგონდება ქალს, როგორ დაიდრა სხეულში ახალი ადამიანი.

აგონდება ქალს, როგორ ტანჯვათა შორის ქვეყნად იშვა მისი ბიჭი. ახლა კი, ამ *შობის* დამეს, როგორ წაართმევს ღმერთი?!“

(ნ. ლორთქიფანიძე, საშობაო მინიატურები).

9) მითოლოგიურ პერსონაჟთაგან აღსანიშნავია beauty – მზეთუნახავი. როგორც კულტურული უნივერსალია, იგი აღნიშნავს ფიზიკური და სულიერი მშვენიერებით გამორჩეულ ქალს მითოლოგიასა და ფოლკლორში. მზეთუნახავი, ჩვეულებრივ, ელის გმირს, რომელმაც მრავალი დაბრკოლება უნდა გადალახოს და მრავალ განსაცდელს გაუძლოს, რათა დაიმსახუროს ბედნიერება მის გვერდით.

³⁶ Online Etymology Dictionary. მოძიებული 18 მარტს, 2013.
http://www.etymonline.com/index.php?term=mass&allowed_in_frame=0

ქართული ვარიანტში წარმოდგენილი სემა – „მზის უნახაობა“, პირველყოვლისა, ასოცირდება უმანკოებასთან, ხელშეუხებელ სილამაზესთან, ისეთ მშვენიერებასთან, რომელიც სამყაროს მანათობელ მზესაც კი არ უნახავს არასოდეს. ამასთან, ხშირად უკავშირდება მაღალ სოციალურ წრეებს, არისტოკრატიზმს, რადგან, ძირითადად, მხოლოდ დიდგვაროვან მანდილოსნებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაეცვათ თავიანთი სათუთი გარეგნობა მზის სხივების მავნე ზემოქმედებისაგან:

„პირველ ვეზირს ძალიან უყვარდა თავისი ქალიშვილი და ყოველდღე ეუბნებოდა: თუ გინდა *მზეთუნახავი* გახდე, მზეს ნუ დაენახვებიო.“

(ა. სულაკაური, სალამურას თავგადასავალი).

ინგლისური ვარიანტი – beauty – სილამაზის აღმნიშვნელ ძირს შეიცავს, რომელიც, თავის მხრივ, ლათინური წარმოშობისაა (ლათ. bellus - მიმზიდველი, მშვენიერი):³⁷

“Eh, my little *b e a u t y*, eh, my *b e a u t y*!” said Marshall, in a queer high falsetto voice, that caused the other man to have convulsions of laughter in his stomach.”

(D.H. Lawrence, Women in Love).

გამოხატულების პლანში სახეზეა სტრუქტურული ასიმეტრია: “beauty” ნაწარმოები სუბსტანტივია, „მზეთუნახავი“ კი – სუბსტანტიურ-პარტიციპიული კომპოზიტი.

მომდევნო მაგალითი – dwarf (ძვ. ინგ. dweorh) – მთის, ტყის, ან მიწისქვეშა ბინადარი მომცრო ტანის არსებაა ევროპულ მითოლოგიაში:³⁸

³⁷ Online Etymology Dictionary. მოძიებული 20 მაისს, 2013.
http://www.etymonline.com/index.php?allowed_in_frame=0&search=beauty&searchmode=none

³⁸ ibid. მოძიებული 15 თებერვალს, 2013.
http://www.etymonline.com/index.php?allowed_in_frame=0&search=dwarf&searchmode=none

“He should certainly be kept indoors for the rest of his natural life,” they said. “Look at his hunched back, and his crooked legs,” and they began to titter.

But the little *Dwarf* knew nothing of all this. He liked the birds and the lizards immensely, and thought that the flowers were the most marvellous things in the whole world, except of course the Infanta, but then she had given him the beautiful white rose, and she loved him... and that made a great difference. How he wished that he had gone back with her! She would have put him on her right hand, and smiled at him, and he would have never left her side, but would have made her his playmate, and taught her all kinds of delightful tricks. For though he had never been in a palace before, he knew a great many wonderful things.”

(O. Wilde, The Birthday of the Infanta).

პერსონაჟი ასოცირდება სიბრძნესთან და უზომო შრომისმოყვარეობასთან. იგი, ჩვეულებრივ, მისდევს მჭედლობას, წიაღისეულის მოპოვებას, ხელოსნობას.

ქართულ მითოლოგიაში მისი ეკვივალენტებია ცეროდენა და ქონდრისკაცი. ეს უკანასკნელნი, ძირითადად, გონების სისხარტითა და მოხერხებულობით გამოირჩევიან და შესაბამის ლიტერატურულ პერსონაჟებს ქმნიან:

„ – ეს ზარი რისთვის კიდია აქ და *ქონდრისკაცი* რატომ ზის ჭაში? – კითხა თუთაშხიამ სეთურს.

– ზებო ქვია მაგ *ქონდრისკაცს*. გრძნეულიაო, სახელი აქვს დავარდნილი, და ას საჟენზე რომ მოაწევს ხვრელი, გაიგებს ზებო. გაიგებს თუ არადა, ჩამოკრავს ზარს. რანაირად ელიან ამ ზარის დარეკვას, თუ იცით?“

(ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

„მგელმა პირი დაალო და გადაყლაპა ჩვენი *ცეროდენა* თავის ჯოხიანად. მგელს ძვლების ხვრაში ერთი კბილი ჰქონდა ახლადმოტეხილი და საშინლად სტკიოდა. ჩაჯდა იმ ნაკბილარში *ცეროდენა* და დაუწყო ჯოხით ჩხვლეტა. მგელს საშინლად

ეტკინა და ღრიალი მორთო. – გამოდიო! – შეეხვეწა *ც ე რ ო დ ე ნ ა ს* მგელი. – ვერ გამოვალ, შენ გინდა კბილებში როგორმე მიგდო, – უპასუხა *ც ე რ ო დ ე ნ ა მ*, – მე აქაც კარგა თბილადა ვარო.“

(ქართული ზღაპრები, ცეროდენა)

ცეროდენას ტანის სიმცირე ცერა თითის ზომასთან ასოცირდება. ფორმა „ქონდრისკაცი“ კი ტუჩოსანთა ოჯახის ერთ და მრავალწლოვან მცენარის – ქონდარის იგივე მახასიათებლის მეტაფორიზაციის შედეგია.

გამოხატულების პლანი სტრუქტურული თვალსაზრისით ასიმეტრიულია: „dwarf“ ძირეული სუბსტანტივია, „ქონდრისკაცი“ – სუბსტანტიური კომპოზიტი, „ცეროდენა“ კი – გასუბსტანტივებული წარმოქმნილი ატრიბუტივი.

მომდევნო მაგალითი – witch (ძვ. ინგ. “wicce” – „გრძნეული ქალი“),³⁹ როგორც კულტურული უნივერსალია, წარმოადგენს ჯადოქარ ქალს, რომელიც ბნელ ძალებთან კავშირის შედეგად ფლობს ზებუნებრივ ცოდნასა და ენერგიას:

“At midnight the *witches* came flying through the air like bats. “Phew!” they cried, as they lit upon the ground, “there is some one here we know not!” and they sniffed about, and chattered to each other, and made signs.”

(O. Wilde, The Fisherman and His Soul).

ქართულ მითოლოგიურ რეალობაში მას გონჯი მოხუცი ქალის სახე აქვს, რომელიც თავისი კუდიტ, უზარმაზარი კუზით, ეშვებითა და მიწამდე სიგრძის თმით შემზარავ სანახაობას ქმნის. შეუძლია გადაიქცეს ნებისმიერ არსებად და მოაჯადოვოს ადამიანი. ცხოვრობს ტყეში, ან ბნელ გამოქვაბულში. გადაადგილდება ცხოველზე ამხედრებული, ან ამ მიზნით იყენებს საყოფაცხოვრებო საგნებს – ქოთანს, ცოცხს და ა.შ.:

³⁹ Online Etymology Dictionary. მოძიებული 20 მაისს, 2013.
http://www.etymonline.com/index.php?allowed_in_frame=0&search=witch&searchmode=none

„აქედან გამეცალე, სანამ ორად არ გამიჩეხიხარ! სოფლის ბოლოს, ტყეში რომ *კ უ დ ი ა ნ ი*, სამასი წლის მათუსალაა, წადი და რჩევა-დარიგებას ის მოგცემსო! — და გარეთ გამოაგდო...

მათუსალასთან, თურმე, რა ხანია არავინ დადის... თვითონ კი, როცა მოესურვება, შეჯდება ცოცხზე, შეულოცავს, აფრინდება და ცის თავანზე დააფრიალებს გრძელ, ფრთებივით ათრეულ შავი ატლასის კაზას.

ხან კუდიან ვარსკვლავებს დასდევს, ხან ახალ მთვარეზე შემოჯდება და აქანავებს, ხან ღრუბლებში გორაობს. ზეცა რომ მოსწყინდება, დაეშვება და სოფელში, სახლების საკვამურებში ჩაყოფს თავს, ან ტყეში ცოცხიდან მგელზე გადაჯდება და მოაჯადოებს.“

(ო. იოსელიანი, გერი და დედინაცვალი).

კუდი, როგორც ანომალია, სიმბოლურად განასახიერებს ფიზიკურ სიმახინჯეს, რომელიც თან ახლავს მითოლოგიური პერსონაჟის სულიერ მანკიერებებს და მკვეთრ კონტრასტს ქმნის სიკეთისა და მშვენიერების კონცეპტთან მიმართებაში.

ძირითადად, იგივე ასოციაციებს აღძრავს ინგლისური მითოლოგიური რეალობის *witch*, თუმცა, ქართული რეალობისაგან განსხვავებით, გვხვდება ახალგაზრდა, მომხიბვლელი ქალის სახითაც, რომელიც ზოგჯერ პროტაგონისტზეა შეყვარებული და ეხმარება მას:

“And at noon he remembered how one of his companions, who was a gatherer of samphire, had told him of a certain *young witch* who dwelt in a cave at the head of the bay and was very cunning in her witcheries. And he set to and ran, so eager was he to get rid of his soul...

“What wilt thou give me if I tell thee?” asked the witch, looking down at him with *her beautiful eyes*...

The *witch* watched him as he went, and when he had passed from her sight she entered her cave, and having taken a mirror from a box of carved cedarwood, she set it up on a frame,

and burned vervain on lighted charcoal before it, and peered through the coils of the smoke. And after a time she clenched her hands in anger. “*He should have been mine,*” she muttered, “*I am as fair as she is.*”

(O. Wilde, *The Fisherman and His Soul*).

ინგლისური ვარიანტი “witch” სტრუქტურული თვალსაზრისით ძირეული სუბსტანტივია, ხოლო ქართული ვარიანტი „კუდიანი“ – გასუბსტანტივებული წარმოქმნილი ატრიბუტივი.

10) თამაშების სფეროდან განვიხილოთ ინგლისური rugby და ქართული ლელო. რაგბი ერთ–ერთ წამყვან ადგილს იკავებს თანამედროვე სპორტულ სამყაროში:

“They won the game.

“That was fantastic, son”, said Steven’s dad in the car on the way back to Leeds after the game. He was on a high.

“You were the best player on that pitch by a mile,” his dad went on. “It’s only a matter of time before some club comes and snaps you up. A Super League club.”

Steven smiled and looked at his dad. He loved this. His dad was so sure that one day Steven would be a famous *R u g b y* League player.”

(T. Palmer, *Scrum!*).

ეს არის გუნდური თამაშის სახეობა, რომელშიც გუნდის თითოეული მოთამაშე ცდილობს ოვალური ბურთის გატანას მისი ერთმანეთისათვის ხელით და ფეხით გადაცემით. სახელწოდება გეოგრაფიული სახელისაგან მომდინარეობს: აღნიშნული თამაშის წესები ინგლისის ქალაქ რაგბის ერთ–ერთ საჯარო სკოლაში ჩამოყალიბდა მე–19 საუკუნის მეორე ნახევარში:

“Legend has it that the game of *r u g b y* was “invented” in 1823 during a game of football (American soccer) when William Webb Ellis, a student at *R u g b y* School in Warwickshire picked up the ball and began running downfield with it.”

(Leslie S. Klinger, *The New Annotated Sherlock Holmes* by Sir Arthur Conan Doyle).

ფორმა “rugby” ერთ–ერთი ეტიმოლოგიური ვერსიის თანახმად ძველი ინგლისური ძირების - “hroc”(„ჭილყვავი“) და “burh” („დაბა“) - შერწყმის შედეგია.⁴⁰

რაგბის ქართული წინამორბედია ლელო – დასავლეთ საქართველოში გავრცელებული სპორტის უძველესი ეროვნული სახეობა, გუნდური თამაში ბურთით:

„ორმოცდასამი წლის ივნისია ახლა. გახურებული ბანაობის, ფეხბურთის, ლ ე ლ ო ს, ლახტის, ჩილიკა ჯოხის, გრძელი ვირის, ჭიდაობისა და ჯარობის დრო“.

(ნ. დუმბაძე, მე ვხედავ მზეს).

ლელო თავისი არსით სპორტულ ასპარეზობასთან ერთად საბრძოლო მომზადების ერთ–ერთ ძირითად საშუალებასაც წარმოადგენდა. სახელწოდებას უკავშირებენ გამარჯვებული გუნდის წევრების მიერ სიხარულის გამოხატვას საბრძოლო შეძახილით – „ლელო!“, რაც, სავარაუდოდ, მზის კულტთან ასოცირებული წარმართული ღვთაების სახელია. თამაში, უპირატესად, სახალხო დღესასწაულებზე იმართებოდა.⁴¹

დასახელებული კვაზირეალიების სტრუქტურები ასიმეტრიულია: ინგლისური ვარიანტი სუბსტანტიური კომპოზიტია, ქართული კი – ძირეული სუბსტანტივი.

თამაშების სფეროდან აღსანიშნავია, აგრეთვე, hopscotch – კლასობანა – პოპულარული საბავშვო თამაში:

⁴⁰ Online Etymology Dictionary. მოძიებული 20 მაისს, 2013.

http://www.etymonline.com/index.php?allowed_in_frame=0&search=rugby&searchmode=none

⁴¹ ქსე, ტ. 6, თბ. 1983. გვ. 166.

“Sometimes Diamond was asleep with his shirt over his face so the flies wouldn’t bother him, and Dad would be on his knees, tapping away at the rock with the chisel and the stone hammer for something to do. Bootie and I could hear the tok, tok-tok when we walked up the track. He was chiseling in the rock, chiseling out a big bas-relief of himself wearing his lineman’s gear. We’d play a kind of *hopscotch* on his grand design”.

(E. Annie Proulx, *Electric Arrows*).

თამაშის პრინციპი უნივერსალურია. თუმცა განსხვავებულია სათამაშო არეალის დიზაინი: განარჩევენ მის მარტივ და შედარებით რთულ ნაირსახეობებს.

კვაზირეალის ინგლისური ვარიანტი, სიტყვასიტყვით, მიწაზე ამოკვეთილ ხაზებზე, ან ფიგურებზე გადახტომას ნიშნავს (hop+scotch). ქართული ვარიანტი კი, ხსენებულ ფიგურებზე აღნიშნული ციფრებიდან გამომდინარე, სხვადასხვა კლასის ცნებასთან ასოცირდება („კლასობანა“):

„საღამოს ქალაქსაც მარტო მივუყვები. აი, ხიდის ქვეშ წყვილი! კოცნიან ერთმანეთს!
აი, ახალი სარეკლამო აბრა, განათებული. აი, „კ ლ ა ს ო ბ ა ნ ა ს“ კვალი ფილაქანზე.“

(მ. მიქელაძე, ქუდბაცაცები).

პირველ შემთხვევაში სახეზე გვაქვს კომპოზიტი, ხოლო მეორე შემთხვევაში – წარმოქმნილი არსებითი სახელი.

აქვე უნდა დავასახელოთ ქართულ რეალობაში მყარად დამკვიდრებული ფორმა – „ასკინკილა“, რომელიც, შინაარსობრივი თვალსაზრისით, გარკვეულწილად ემთხვევა „კლასობანას“, თუმცა მისი სემანტიკური დიაპაზონი გაცილებით უფრო ფართოა:

„სიკვდილამდე არ დავიწყებია ქარისას დამცინავი ხმა, ა ს კ ი ნ კ ი ლ ი თ რომ უვლიდა გარშემო ყაყაჩოსავით სახეაბრიალებულ ფრიქსეს და კაჭკაჭივით დასძახოდა: გლახაჭუა, გლახაჭუა.“

(ო. ჭილაძე, გზაზე ერთი კაცი მიდიოდა).

გამოხატულების პლანი ასიმეტრიულია: ინგლისური ვარიანტის სახით წარმოდგენილი გვაქვს ზმნური და სუბსტანტიური ფორმების კომბინაციის შედეგად წარმოქმნილი კომპოზიტი - “hopscotch”, ხოლო ქართული ვარიანტის სახით – ნაწარმოები სუბსტანტივი – „კლასობანა“.

3.2.2. სოციოკულტურული კვაზირეალიების ვერბალიზაცია

კვაზირეალიების შეპირისპირებისას სოციოკულტურულ არეალში გამოვყოფთ რამდენიმე სფეროს: ადმინისტრაციულ–ტერიტორიული ერთეულები, პოლიტიკური თანამდებობები, საზოგადოებრივ–პოლიტიკური დაწესებულებები, უშიშროებისა და თავდაცვის სფერო, განათლების სისტემა.

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითები თითოეული მათგანის ფარგლებში.

1) ადმინისტრაციულ–ტერიტორიული ერთეულების სფეროდან დავახასიათოთ ინგლისური “city” და ქართული „ქალაქი“:

city წარმოადგენს მეტროპოლიას, რომელიც ფლობს ადგილობრივ კანონმდებლობაზე დამყარებულ განსაკუთრებულ ადმინისტრაციულ, ლეგალურ, ან ისტორიულ სტატუსს:

“Snaking through the metropolis, like a giant, pewter coloured serpent, lay the River Thames, the liquid resource to which the *city* owed its growth, its wealth and its very existence. This omnipotent watercourse, embracing the conurbation in its gentle folds, acted as the *city's* artery, its natural highway. The ample waters of the Thames also provided London with a natural arena, an amphitheatre, a stage on which the boastful pride of the rich and powerful could be acted out.”

(R.G. Crouch, *The Coat*).

city–ს აქვს მაღალგანვითარებული ადმინისტრაციული, სამრეწველო, ინფრასტრუქტურული და ბიზნეს სექტორი; რთული და დახვეწილი სანიტარული, უტილიტარული, მიწათსარგებლობის, საბინაო და სატრანსპორტო სისტემები. გამოირჩევა მოსახლეობის რაოდენობის მაღალი და მუდმივად მზარდი მაჩვენებლით. ბრიტანეთში სითი წარმოადგენს ქალაქს, რომელსაც მინიჭებული აქვს სამეფო ქარტია.⁴²

ტრადიციული ქართული ქალაქის შინაარსის პლანი მოიცავს უნივერსალური ურბანული სისტემისათვის ნიშანდობლივ ყველა სემას:

„ტფილისი ღრიალებს, ჰკვნესის, ჰგმინავს და სიცოცხლის ნიშატი გუგუნებს. მესმის მისი ტვინის ფუსფუსი, თრთოლვა და სისხლის ჩქევა. ვგრძნობ იმის მაჯის ფეთქვას და გავარვარებულ სუნთქვას. ხარბად ვსუნთქავ იმის მტვერს, კვამლსა და შხამიან ორთქლს. ქალაქის სისხლი ჩემს ძარღვებშიც გადმოდის და ჩემი გულიც იდუმალი ხალისით და სიცოცხლის უნარით იტენება.“

(მ. ჯავახიშვილი, თეთრი საყელო).

„მორალური კრიზისი, რომელიც დასავლეთ ევროპიდან რუკზაკის გარეჯიბით ჩამომყვა, მხოლოდ აეროპორტში ბარგის კონტროლისას აღმოვაჩინე და, მაშასადამე, You

⁴² Goodall B. *The Penguin Dictionary of Human Geography*. London: Penguin. 1987.

know more... ინოვაციური ძალისხმევა და ფსიქოდელიური გამოძახილები ვერ გადავლახე, ცოტაოდენ ეკონომიურად გამიჭირდა და მან, დიახ მან, აწ უკვე ჩემმა მდგმურმა მორალურმა კრიზისმა ჩემში 2 უჯრედიანი ბინაც იქირავა, ევრორემონტიც გააკეთა და, როგორც იტყვიან, *ქა ლ ა ქ უ რ ა დ* მოეწყო.“

(რ. ცხოვრებაძე, You know more...).

მაგრამ ტიპური ქართული ქალაქისათვის უცხოა „სითის“ თავისებურებები. ამიტომ მის ეკვივალენტად გვევლინება ფორმა “town”:

“Grindley junior then and there made a clean breast of the whole sad, terrible tale of shameless deceit, practised by the greatest villain the world had ever produced, upon the noblest and most beautiful maiden that ever turned grim London *t o w n* into a fairy city of enchanted ways.”

(J.K. Jerome, Tommy and Co.).

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დედაქალაქი თბილისი, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულების მანძილზე, თანდათან უახლოვდება სითის სტანდარტებს:

„მოკლედ, ბუშის ვიზიტამდე ორი დღე-ღამე რჩებოდა. თბილისი „*ს ი თ ი დ*“ გადასაქცევად პირველ ნაბიჯებს დგამდა. თქვენ არ გემახსოვრებათ ის დღეები, ქალბატონო“.

(მ. ლდოკონენი, ლორა, ვერცხლის ქორწილი და ბუში).

კვაზირეალიების გამოხატულების პლანი ასიმეტრიულია: ინგლისური ვარიანტი “city” ნაწარმოები სუბსტანტივია, ქართული ვარიანტი „ქალაქი“ კი – ძირეული სუბსტანტივი.

2) პოლიტიკური თანამდებობების არეალიდან განვიხილოთ home secretary – შინაგან საქმეთა მინისტრი, რომლის საქმიანობის სფეროა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა:

“They all waited. And then round the bushes came the tall form of Alexander Roddice, striding romantically like a Meredith hero who remembers Disraeli. He was cordial with everybody, he was at once a host, with an easy, offhand hospitality that he had learned for Hermione's friends. He had just come down from London, from the House. At once the atmosphere of the House of Commons made itself felt over the lawn: the *Home Secretary* had said such and such a thing, and he, Roddice, on the other hand, thought such and such a thing, and had said so-and-so to the PM”.

(D.H. Lawrence, *Women in Love*).

„შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი და პოლიციის მაღალი ხელმძღვანელობა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო დიდმა დანაკარგმა. ორი ვერტმფრენის ჩამოგდება ხუმრობა საქმე არ იყო. ამას გარდა, იყვნენ სერიოზულად დაშავებულნიც“.

(ზ. ლეჟავა, უხურდავებელი მონეტა).

ბრიტანული ვარიანტის სრული სახელწოდებაა – Her Majesty's Principal Secretary of State for the Home Department. ბრიტანულ და ქართულ ვარიანტებს შორის შინაარსობრივ განსხვავებას ქმნის ის ფაქტორი, რომ პირველი ექვემდებარება საპარლამენტო მმართველობის (ე.წ. უესტმინსტერის სისტემის), ხოლო მეორე – საპრეზიდენტო რესპუბლიკისათვის ნიშანდობლივ სტანდარტებს.

ინგლისური ვარიანტის ვერბალიზებისას გამოყენებულია ლათინური ფუძე – *secretarius*, რაც ნდობით აღჭურვილ პირს ნიშნავს. აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა აღსანიშნავად მისი გამოყენება XVI საუკუნის ბოლოს დაიწყო.⁴³

⁴³ Online Etymology Dictionary. მოძიებული 18 მაისს, 2013.
http://www.etymonline.com/index.php?allowed_in_frame=0&search=secretary&searchmode=none

ქართულ ვარიანტში ფიგურირებს ფუძე „მინისტრი“ (ლათ. minister - დაქვემდებარებული პირი, ხელქვეითი). პოლიტიკური მნიშვნელობით, სახელდობრ, მონარქის სამსახურში მყოფი მაღალჩინოსნის აღსანიშნავად ევროპაში მისი გამოყენება XVII საუკუნის პირველ ნახევარს უკავშირდება.⁴⁴

სტრუქტურული თვალსაზრისით დასახელებული კვაზირეალიები სუბსტანტიურ-ადიექტიური ფორმებით აგებული კოლოკაციებია.

3) საზოგადოებრივ-პოლიტიკური დაწესებულებების სფეროში აღსანიშნავია parliament – ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანო, რომელიც ფორმირებულია არჩევნების საფუძველზე:

“She had turned away from London, away from Oxford, towards the silence of the country. Her father was mostly absent, abroad, she was either alone in the house, with her visitors, of whom there were always several, or she had with her her brother, a bachelor, and a Liberal member of *Parliament*. He always came down when the House was not sitting, seemed always to be present in Breadalby, although he was most conscientious in his attendance to duty.”

(D.H. Lawrence, *Women in Love*).

სახელწოდება მიღებულია ფრანგული სიტყვიდან parlement („ლაპარაკის (parler) პროცესი“, „განხილვა“).⁴⁵ ტერმინი შემოდებულ იქნა იმ შეხვედრების აღსანიშნავად, რომლის დროსაც მიმდინარეობდა პოლიტიკური ხასიათის დისკუსიები. პარლამენტარიზმის სამშობლო სწორედ ინგლისური ნაციონალურ-კულტურული არეალი გახდა მე-13 საუკუნის დასაწყისში, როცა „თავისუფლების დიდი ქარტიით“

⁴⁴ Online Etymology Dictionary. მოძიებული 18 მაისს, 2013.

http://www.etymonline.com/index.php?allowed_in_frame=0&search=minister&searchmode=none

⁴⁵ ibid. მოძიებული 18 მაისს, 2013.

http://www.etymonline.com/index.php?allowed_in_frame=0&search=parliament&searchmode=none

(ლათ. Magna Carta Libertatum - ინგ. the Great Charter of the Liberties of England) შეიზღუდა მონარქის ძალაუფლება.

თანამედროვე ქართულ სოციოკულტურულ რეალობაში არსებული საკანონმდებლო ორგანო დასავლური მოდელის მიხედვით არის ფორმირებული და შესაბამისი კონცეპტის ვერბალიზებისას გამოყენებულია ანგლიციზმი – „პარლამენტი“. თუმცა პარლამენტარიზმის უნივერსალური იდეის ქართული ნაირსახეობა პირველად საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანად“ წოდებულ პერიოდში ფიქსირდება. აღნიშნულ იდეას ეფუძნებოდა ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის გამოსვლა ცენტრალური სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მეჭურჭლეთუხუცეს ყუთლუ-არსლანის მეთაურობით XII საუკუნის მეორე ნახევარში. პოლიტიკური დასის პროგრამა მოითხოვდა სამეფო კარის გვერდით შექმნილიყო ახალი, სამეფო ხელისუფლებისაგან სრულიად დამოუკიდებელი, საკანონმდებლო უფლებებით აღჭურვილი დაწესებულება – „კარავი“:

„სრულიად უმაღლესი პოლიტიკური ემპერიუმი, რომელიც ქართველ მეფეებს ამდენ საუკუნეთა მანძილზე ხელთ განუყოფლად ეჭირათ, ახლა შუაზედ უნდა გაყოფილიყო: უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება „ისნის კ ა რ ა ვ ს“ უნდა დაეჭირა, ხოლო მეფეს მარტო ადმასრულებელი ხელისუფლება დარჩენოდა. ასეთ განაცხადში სწორედ რომ დიდი პოლიტიკურ–სახელმწიფოებრივი აზროვნების სიმწიფე გამოსჩანს. სრულიად აზიის მხცოვან ისტორიას ასეთი რამ არ მოსწრებია, ხოლო რა იცოდნენ ყუთლუ–არსლანმა და მისმა „თანამოდასებმა“, რომ მათი პოლიტიკური განასაჯი რაღაცნაირი „წინამორბედი“ უნდა გამხდარიყო გვიანევროპული „პარლამენტისა“, „გენერალური შტატებისა“, გინა „კონსტიტუციონალური მონარქიისა“.

(ლ. სანიკიძე, უქარქაშო ხმლები).

თანამედროვე გაგებით კარავი ატარებს დროებითი სადგომის მნიშვნელობას, რომელსაც, უპირატესად, მოგზაურობის დროს იყენებენ:

„საათობით შეეძლო თავგადაწეული მდგარიყო და ცაში ეცქირა – ჰეე, დიდი უცნაური წინამძღოლი გვყავდა. წვიმიან დღეს, როცა მთელი ლაშქარი ხეებქვეშ შეიყუჩებოდა, რჩეულნი კი ფერად *კ ა რ ვ ე ბ შ ი* მხართეძოზე წამოწვებოდნენ, წინამძღოლი გარეთ გამოდიოდა, ცას უყურებდა და, რომელიღაც უცნობი ბედნიერებისაგან თვალეზმოჭუტულს, სახეზე აწვიმდა.“

(გ. დოჩანაშვილი, სამოსელი პირველი).

ამასთან, ტრადიციულად კარვის სემანტიკას ემატება ის განსაკუთრებული დატვირთვა, რომელსაც მას ანიჭებს ქრისტიანული ლიტერატურა, სადაც კარავი სიწმინდეების დასავანებელ ადგილად გვევლინება. ამ ტერმინით უნდა აღენიშნათ მნიშვნელოვანი საერო რეალიებიც, ჩვენს შემთხვევაში – საკანონმდებლო უფლებებით აღჭურვილი უმაღლესი სახელისუფლებო ორგანო. მაგრამ, რადგან ყუთლუ–არსლანის დასის მცდელობამ ფიასკო განიცადა, კარავი იდეის დონეზე შემორჩა ისტორიულ და ლინგვისტურ მეხსიერებას.

სტრუქტურული თვალსაზრისით ფორმა “parliament” ნაწარმოები სუბსტანტივია, „კარავი“ კი – ძირეული.

4) უშიშროებისა და თავდაცვის სფეროში აღსანიშნავია policeman - სამართალდამცველი მოხელე, რომლის ფუნქციას შეადგენს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დანაშაულთან ბრძოლა, მოქალაქის პირადი უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და საკუთრების, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა დანაშაულებრივი და სხვა კანონსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან:

“The two sisters held themselves tense and went straight towards the gate. The women made way for them, but barely sufficient, as if grudging to yield ground. The sisters passed in silence through the stone gateway and up the steps, on the red carpet, a *p o l i c e m a n* estimating their progress”.

(D.H. Lawrence, Women in Love).

ფუძე police ლათინური წარმომავლობისაა (politia – სამოქალაქო ადმინისტრაცია). როგორც საზოგადოებრივი წესრიგის მარეგულირებელი ორგანოს გამომხატველი ფორმა, იგი ინგლისურ ენაში ფრანგული ენიდან შევიდა. ინგლისურში პირველად მე–18 საუკუნის ბოლოს იქნა ნახსენები ლონდონის პორტთან არსებული საზღვაო პოლიციის აღსანიშნავად.⁴⁶ ბევრ თანამედროვე სახელმწიფოში, მათ შორის საქართველოშიც, ეს ფორმა ინტერნაციონალიზმის სახით არსებობს:

„რასა იქმთ, არწივებო! –მოიკითხა შეველიხინმა ნამძინარევი *პოლიციელები*“.

(ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

ინგლისურში სამართალდამცველის მნიშვნელობით იხმარება, ასევე, ფორმა „sheriff“. იგი მმართველობითი და მართლმსაჯულებითი აპარატის მოხელეა:

“He remembered the siren when it was far away and their voices as they brought Connie into the house. The doctor had come first, then his mother and father, then the *s h e r i f f*, but, remembering, it was as if they had all come at once, for there was always a soothing or questioning face over his bed. He remembered the footsteps and hushed voices as they carried the body past his window, while his mother sat on the bed and stroked his forehead and cheek. He would never forget that.”

(A. Dubus, The Intruder).

⁴⁶ Online Etymology Dictionary. მოძიებული 18 მაისს, 2013.
http://www.etymonline.com/index.php?allowed_in_frame=0&search=police&searchmode=none

ფორმა „sheriff” კომპოზიტია: shire (საგრაფო) + reeve (სამართალდამცველი).⁴⁷ თუმცა, ისტორიულად, ინგლისურენოვან ქვეყნებში შერიფის უფლებამოსილების სპეციფიკური ვარიანტები ჩამოყალიბდა: ლეგალური, პოლიტიკური, ან ცერემონიალური.

საქართველოში საბჭოთა ეპოქაში დამკვიდრებული იყო ფორმა „მილიცია“ (ლათ. militia - სამხედრო საქმე, სამხედრო სამსახური),⁴⁸ რაც საზოგადო მნიშვნელობით უკავშირდება არაპროფესიონალ მებრძოლთაგან დაკომპლექტებულ სამხედრო ძალებს, რომელთა ფორმირება (ჩვეულებრივ, საგანგებო ვითარების დროს) რეგულარული არმიისაგან დამოუკიდებლად ხდება. ყოფილ საბჭოთა სივრცეში კი „მილიცია“ სამართალდამცავი ორგანოების სისტემას აღნიშნავდა:

„– მოკლედ, რას გადამეკიდე, რა გინდა ჩემგან?

– შენგან რა უნდა მინდოდეს, მიგიყვან *მ ი ლ ი ც ი ა შ ი*, ჩავაბარებ შენს თავს მთავრობას“.

(ნ. დუმბაძე, მე, ბებია, ილიკო და ილარიონი).

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ფორმა „პოლიციელის“ პარალელურად ქართულ რეალობაში მკვიდრდება ფორმა „პატრული“ (ფრანგ. patrouille - გუშაგი):⁴⁹

„მამას *ს ა კ ა ტ რ უ ლ ო ს ა მ ს ა ხ უ რ ი ს თ ვ ი ს* მიუმართავს: ათიოდ წუთში ჩვენს ბინაში ხუთი შეიარაღებული *პ ა ტ რ უ ლ ი* და საგანგებოდ ამერიკიდან მოწვეული სადაზვერვო სამსახურის ორი თანამშრომელი შემოცვენილან“.

⁴⁷ Online Etymology Dictionary. მოძიებული 18 მაისს, 2013.

http://www.etymonline.com/index.php?allowed_in_frame=0&search=sheriff&searchmode=none

⁴⁸ ibid. მოძიებული 18 მაისს, 2013.

http://www.etymonline.com/index.php?allowed_in_frame=0&search=militia&searchmode=none

⁴⁹ ibid. მოძიებული 18 მაისს, 2013.

http://www.etymonline.com/index.php?allowed_in_frame=0&search=patrol&searchmode=none

(მ. ლდოკონენი, ლორა, ვერცხლის ქორწილი და ბუმი).

ქართულ სოციოკულტურულ რეალობაში ისტორიზმის სახით გვხვდება ფორმა „მანდატური“ (ლათ. *mandatarius* - დავალებით, მისიით აღჭურვილი)⁵⁰ - საპოლიციო-ადმინისტრაციული აპარატის დაბალი მოხელე ფეოდალურ საქართველოში. ეს უკანასკნელი მანდატურთუხუცესს ექვემდებარებოდა:

„დილიდანვე ეწვიენ მეფეს ერისთავნი, ზვიად სპასალარი და მსახურთუხუცესი, მანდატურთუხუცესი და მსაჯულთუხუცესი“.

(ვ. გამსახურდია, დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა).

თანამედროვე საქართველოში მანდატურის სამსახურის ფუნქცია მხოლოდ კონკრეტულ დაწესებულებებში (პარლამენტი, სასამართლო, საჯარო სკოლა) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვით შემოიფარგლება.

გვიანდელ ფეოდალურ პერიოდში მანდატურის მნიშვნელობით იხმარებოდა ეტიმოლოგიური თვალსაზრისით აზიური ფორმები: ბოქაული (თურქ.-მონღ. – მნე, მოხელე)⁵¹ და იასაული (თურქ. – ბრძანების აღმსრულებელი):⁵²

„ათისთავმა ბარაკაევკაში კაცი აფრინა. ამოვიდა მეორე დღეს ულვაშებგაბზევილი ბოქაული, სკირდა ქონდა იმ ბოქაულს გვარი. ნახა ის საცოდაობა, მიიკითხ-მოიკითხა ხალხში, როგორ იყო ამბავიო.“

(ჭ. ამირეჯიბი, დათა თუთაშხია).

„ – იასაული იყვირებს, – რა გინდათ, რა დამიშავებიაო!

⁵⁰ Online Etymology Dictionary. მოძიებული 18 მაისს, 2013.

http://www.etymonline.com/index.php?allowed_in_frame=0&search=mandate&searchmode=none

⁵¹ სურგულაძე ი. ქსე, ტ. 2, თბ. 1977. გვ. 491.

⁵² ფურცელაძე დ. ქსე, ტ. 5, თბ. 1980. გვ. 62.

- ყველა იყვირებს. გიჟი ვინ არის, გაჩუმდეს. შენც ისეთი კაცი იშოვნე, რომ არ იყვიროს. მაშ, ფულს რაში გაძლევ?“

(ibid.).

სტრუქტურული თვალსაზრისით ინგლისური ვარიანტები (“policeman”, “sheriff”) კომპოზიციებია, ხოლო ქართული ვარიანტები (მანდატური, ბოქაული, იასაული, მილიციელი, პოლიციელი, პატრული) – ნაწარმოები სუბსტანტივები.

5) განათლების სისტემის სფეროდან დავახასიათოთ Grammar School – ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებელი მკვეთრად გამოხატული ჰუმანიტარულ-ფილოლოგიური განხრით:

„She was a class mistress herself, in Willey Green *Grammar School*, as she had been for some years”.

(D.H. Lawrence, *Women in Love*).

მსგავსი ტიპის სასწავლებლის უმთავრეს ამოცანას კლასიკური განათლების უზრუნველყოფა – ლათინური და ბერძნული ენა-ლიტერატურის სწავლება წარმოადგენდა. ადრეულ შუა საუკუნეებში ასეთი სკოლები არსებობდა ეკლესია-მონასტრებთან, მე-12 საუკუნიდან კი – ინგლისის უნივერსიტეტებთან. მოგვიანებით ყურადღება დაეთმო ევროპულ ენებს, საბუნებისმეტყველო საგნებს, მათემატიკას, ისტორიას, გეოგრაფიას და ა.შ. ვიქტორიანულ ინგლისში მსგავსი სასწავლებლების რეორგანიზაციის შედეგად ჩაეყარა საფუძველი თანამედროვე ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს ბრიტანეთსა და თანამეგობრობის წევრ ქვეყნებში.⁵³

⁵³ Gordon P., Lawton D. Dictionary of British Education. London. 2003.

გრამატიკის (ბერძნ. *grammatike* – *gramma* - ასო, დაწერილობა) რაობისა და შედგენილობის გაგება სხვადასხვაგვარი იყო ენათმეცნიერების ჩამოყალიბებამდე. ერთმანეთისაგან განარჩევენ გრამატიკას, როგორც სწორად წერისა და მეტყველების „ხელოვნებას“ (ბერძნ. *grammatike tekhnē*)⁵⁴ და გრამატიკას, როგორც ენის მეცნიერული შესწავლის ნაწილს. ფორმა Grammar School ეფუძნება პირველ გაგებას ლათინური და ბერძნული ფილოლოგიის სწავლების თვალსაზრისით.

ქართული რეალობიდან დასახელებული კვაზირეალიის ფუნქციურ ანალოგს წარმოადგენს კლასიკური გიმნაზია:

„მართლაც ცუდად იყო. სახეზე ეწერა, რაც სჭირდა. დღემდე ვერ მიპატიებია თავისათვის, რომ არ მეწყინა. ბიძაჩემ მიმა დიმიძესთან ერთად სწავლობდა, ერთ დროს, ქუთაისის *კლასიკურ გიმნაზიაში*“.

(რ. ჭეიშვილი, ქარების დაბრუნება).

საქართველოში მსგავსი ტიპის სასწავლებლები მე-19 საუკუნის შუახანებიდან არსებობდა. ქართული ვარიანტის გამოხატულების პლანში არსებული ფუძე „გიმნაზია“ მომდინარეობს ძველი ბერძნული სიტყვისაგან – „*gymnasion*“ (სატანვარჯიშო მოედანი). იგივე სახელწოდებით მოიხსენიებოდა შემდგომში სახელმწიფო სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულება ძველ საბერძნეთსა და ელინისტურ აღმოსავლეთში. ევროპაში ეს ფუძე სასწავლებლის აღსანიშნავად პირველად გერმანულ ენაში შევიდა.⁵⁵ ინგლისურ ენაში კი მხოლოდ სპორტულ მნიშვნელობას ინარჩუნებს დღემდე.

ფუძე „კლასიკური“ მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან – *classicus*, რაც რომაული საზოგადოების უმაღლეს ფენებთან დაკავშირებულს და, შესაბამისად,

⁵⁴ Online Etymology Dictionary. მოძიებული 20 აგვისტოს, 2013.

http://www.etymonline.com/index.php?allowed_in_frame=0&search=grammar&searchmode=none

⁵⁵ *ibid.* მოძიებული 20 აგვისტოს, 2013.

http://www.etymonline.com/index.php?allowed_in_frame=0&search=Gymnasium&searchmode=none

აღმატებულს, სრულყოფილს ნიშნავს.⁵⁶ კლასიკური განათლების საფუძველია ლათინური და ბერძნული ენების და ანტიკური ლიტერატურის შესწავლა. იგი რენესანსის ეპოქაში ჩამოყალიბდა და დომინირებდა ევროპის საგანმანათლებლო სისტემაში, ვიდრე არ დაუპირისპირდა რეალური განათლების ტენდენციას.

კვაზირეალიების სტრუქტურები ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს: “Grammar School” სუბსტანტიური კოლოკაციაა, „კლასიკური გიმნაზია“ კი – სუბსტანტიურ-ადიექტიური კოლოკაცია.

3.2.3. ინგლისური და ქართული კვაზირეალიების გამოხატულების პლანის ბირთვული და პერიფერიული კომპონენტები

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, კვაზირეალიების უმრავლესობა სუბსტანტივს წარმოადგენს.

ინგლისურ მაგალითებს შორის გამოვარჩევთ სუბსტანტივის შემდეგ სიტყვათწარმოებით ტიპებს:

ძირეული სუბსტანტივი: *sauce, feast, toast, wake, dwarf, witch;*

ნაწარმოები სუბსტანტივი: *mansion, cottage, mourner, beauty, city, parliament;*

კომპოზიტები: *cornbread, cheesecake, sweatpants, sunporch, mantelpiece, landlord, ploughman, toastmaster, bridesmaid, groomsman, bonfire, Christmas, rugby, hopscotch, policeman, sheriff.*

პლურალური სუბსტანტივი: *sweatpants.*

ვერბალიზების საშუალებაა, ასევე, კონვერსიის შედეგად წარმოქმნილი ზმნა - *bundle, cuckold.*

⁵⁶ Online Etymology Dictionary. მოძიებული 20 აგვისტოს, 2013.
http://www.etymonline.com/index.php?allowed_in_frame=0&search=classical&searchmode=none

აქვე წარმოდგენილი გვაქვს შემდეგი სახის კოლოკაციები:

ა) სუბსტანტიური: *cottage garden, Home Secretary, Grammar School*;

ბ) სუბსტანტიურ–ადიექტიური: *felt coat, best man, foster mother, sabbatical year*;

გ) სუბსტანტიურ–გერუნდივული: *log rolling, barn raising*;

დ) გასუბსტანტივებული გერუნდივისა და სუბსტანტივის სინთეზის შედეგად წარმოქმნილი: *wedding party, boarding school*;

ვხვდება შემოკლებანი: *porter (porter ale), semi (semi-detached house), sweats (sweatpants), Home Secretary (Her Majesty's Principal Secretary of State for the Home Department)*.

დასახელებულ კვაზირეალიებზე დაყრდნობით წარმოიქმნება სხვადასხვა მეტყველების ნაწილის გამომხატველი სიტყვაფორმები აფიქსაციის, კომპოზიციის, ან კონვერსიის გზით:

ნაწარმოები სუბსტანტივი: *cuckoldry* – ადიულტერი, *dwarfism* – განუვითარებლობა, უჩვეულო ტანმორჩილობა;

რთული სუბსტანტივი: *Christmastide* – შობის დღესასწაულის დღეები (კათოლიკურ სამყაროში 24 დეკემბრიდან 4 იანვრამდე), *Christmastime* – საშობაო სეზონი;

ნაწარმოები ატრიბუტივი: *sauceless* – უსაწებლო, *dwarfish* – ქონდრისკაცისებური, *pre-Christmas* – შობისწინა, *citified* – ურბანიზებული, *parliamentary* – საპარლამენტო;

რთული ატრიბუტივი: *dwarf-like* – ქონდრისკაცისებური, *city-like* – სითის მსგავსი, სითის სტანდარტების შესატყვისი;

კონვერსიის შედეგად ნაწარმოები ზმნა: *toast* – სადღეგრძელოს შესმა, *dwarf* – დაჩრდილვა, გაუფერულება, მნიშვნელობის შემცირება, *hopscotch* – გადაადგილება ხტუნვა–ხტუნვით;

აფიქსაციის გზით ნაწარმოები ადვერბიალური ფორმა: *dwarfishly* – ქონდრისკაცისებურად;

როგორც ვხედავთ, კვაზირეალია *dwarf* ყველა დასახელებული პარადიგმის (ძირეული, ნაწარმოები და რთული სუბსტანტივის, კონვერსიის გზით ნაწარმოები ზმნისა და ნაწარმოები ზმნიზედის) შემადგენლობაში შედის.

წარმოდგენილ მაგალითებზე დაყრდნობით თვალსაჩინო ხდება ინგლისურ ენაში კვაზირეალიების გამოხატულების პლანის პრინციპული მახასიათებლები: პლანის მორფოლოგიურ ბირთვს სუბსტანტიური ფორმები ქმნის. პერიფერიული კომპონენტები – ადიექტიური, ზმნური, ადვერბიალური ფორმები და სხვადასხვა სახის კოლოკაცია, უპირატესად, ბირთვული კომპონენტის ბაზაზე ყალიბდება.

რაც შეეხება ქართულ კვაზირეალიებს, მათი ვერბალიზაციის საშუალებებს ქმნის:

ფუძისეული სუბსტანტივი: *ლუდი, მჭადი, ფაცხა, ნადი, სუფრა, თამადა, მდადე, ეჯიბი, ქელები, ლელო, ქალაქი;*

ნაწარმოები სუბსტანტივი: *საწებელი, ნაბადი, ბაღჩა, მაცრიონი, მეჯვარე, მოზარე, კლასობანა, მანდატური, ბოქაული, იასაული, მილიციელი, პატრული;*

კომპოზიტები:

სუბსტანტიური: *ხაჭაპური, ციხე-დარბაზი, გუთნისდედა, დედამტე, ჭიაკოკონა, ქონდრისკაცი, სკოლა-ინტერნატი;*

სუბსტანტიურ-ადიექტიური: *სწორფერი;*

სუბსტანტიურ-პარტიციპიული: *ხელისმომკიდე, მზეთუნახავი;*

აქვეა სუბსტანტიურ-ადიექტიური კომპოზიტისაგან ნაწარმოები სუბსტანტივი: *სადღეგრძელო;*

ადიექტიურ ფორმათა შორის აღსანიშნავია გასუბსტანტივებული წარმოქმნილი ატრიბუტივები: *ცეროდენა* და *კუდიანი*. ამასთან, ეს უკანასკნელი შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც შემოკლებული ფორმა, რომელიც სუბსტანტიურ-ადიექტიური კოლოკაციის (*კუდიანი დედაბერი*) კომპონენტია.

კონტრასტული ანალიზის დროს განხილულ მაგალითებს შორის წარმოდგენილია ზმნური ფორმისაგან ნაწარმოები გასუბსტანტივებული საწყისი – შობა – და სუბსტანტიური კომპოზიტისაგან ნაწარმოები ზმნა – გუთნისდედობა (გუთნისდედობს).

აქვეა ადვერბიალური ფორმა – ქალაქურად.

ქართული კვაზირეალიები წარმოდგენილია, აგრეთვე, სხვადასხვა სახის კოლოკაციის ფორმით:

სუბსტანტიური კოლოკაცია: ბუხრის თარო, ბინის პატრონი, ისნის კარავი;


სუბსტანტიურ–ადიექტიური კოლოკაცია: სპორტული შარვალი, შინაგან საქმეთა მინისტრი, კლასიკური გიმნაზია, შემოქმედებითი შვებულება;

სუბსტანტიურ–პარტიციპიული კოლოკაცია: შეწყვილებული სახლი;

სუბსტანტიური და ზმნური ფორმების სინთეზის შედეგად წარმოქმნილი კოლოკაცია: თავზე რქების დადგმა;

მაშასადამე, ქართულ ენაში, ინგლისური ენის მსგავსად, კვაზირეალიების გამოხატულების პლანის მორფოლოგიურ ბირთვს სუბსტანტივი წარმოადგენს. მასზე დაყრდნობით ყალიბდება პერიფერიული ელემენტები: ადიექტიური, ზმნური, ადვერბიალური ფორმები და კოლოკაციები (იხ. სქემა 5).

სქემა 5. კვაზირეალების გამოხატულების პლანის ბირთვული და პერიფერიული კომპონენტები ინგლისურ და ქართულ ენებში



ინგლისური და ქართული კვაზირეალების შედარებით მცირე ნაწილის გამოხატულების პლანებს შორის ფიქსირდება სრული, ან ნაწილობრივი სტრუქტურული სიმეტრია:

ა) ვარიანტების სტრუქტურები სრულიად იდენტურია:

ძირეული სუბსტანტივი: *feast* - სუფრა, *wake* - ქელები;

ნაწარმოები სუბსტანტივი: *mourner* - მოზარე;

სუბსტანტიური კომპოზიტი: *cheesecake* - ხაჭაპური, *ploughman* - გუთნისდედა, *bonfire* - ჭიაკოკონა;

სუბსტანტიურ-ადიექტიური კოლოკაცია: *sabbatical year* - შემოქმედებითი შვებულება;

სუბსტანტიურ-პარტიციპიული კოლოკაცია: *semi-detached house* - შეწყვილებული სახლი;

ბ) ვარიანტების სტრუქტურები ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს:

mantelpiece (სუბსტანტიური კომპოზიტი) - ბუხრის თარო (სუბსტანტიური კოლოკაცია), *landlord* (სუბსტანტიური კომპოზიტი) - ბინის პატრონი (სუბსტანტიური კოლოკაცია), *groomsman* (სუბსტანტიური კომპოზიტი) - ხელისმომკიდე (სუბსტანტიურ-პარტიციპიული კოლოკაცია), *foster mother* (სუბსტანტიურ-ადიექტიური კოლოკაცია) - დედამტე (სუბსტანტიური კომპოზიტი), *Grammar School* (სუბსტანტიური კოლოკაცია) - კლასიკური გიმნაზია (სუბსტანტიურ-ადიექტიური კოლოკაცია), *boarding school* (გასუბსტანტივეებული გერუნდივისა და სუბსტანტივის სინთეზის შედეგად წარმოქმნილი კოლოკაცია) - სკოლა-ინტერნატი (სუბსტანტიური კომპოზიტი);

ნაშრომში განხილული დანარჩენი მაგალითები და, საზოგადოდ, კვაზირეალიების ინგლისური და ქართული ვარიანტების უმრავლესობა სტრუქტურული თვალსაზრისით ასიმეტრიულია – ვარიანტების სტრუქტურები კონტრასტულია.

მაგალითების ნაწილის სემანტიკა მიუთითებს კონკრეტულ სქესზე.

ზოგიერთ ფორმასთან ერთად არსებობს საპირისპირო სქესის გამომხატველი ფორმა:

ინგლისურში: *landlord – landlady, best man/groomsman – bridesmaid, foster father – foster mother, policeman-police woman*;

ქართულში: *მდადე – ეჯიბი, დედამტე – მამამტე*;

კვაზირეალიათა გარკვეული ნაწილის ფორმებს არ გააჩნია საპირისპირო სქესის გამომხატველი ფორმები:

ინგლისურში: *toastmaster* (მამრ.), *ploughman* (მამრ.), *beauty* (მდედრ.), *dwarf* (მამრ.), *witch* (მდედრ.);

ქართულში: *თამადა* (მამრ.), *გუთნისდედა* (მამრ.), *მზეთუნახავი* (მდედრ.),
ქონდრისკაცი (მამრ.), *ცეროდენა* (მამრ.), *კუდიანი* (მდედრ.);

გვხვდება ნეიტრალური ფორმებიც:

ინგლისურში: *mourner, bundler, Home Secretary*;

ქართულში: *მეგვარე, ხელისმომკიდე, მოზარე, სწორფერი, წაწალი*;

ამრიგად, ინგლისური და ქართული კვაზირეალიების გამოხატულების პლანი წარმოდგენილია ბირთვული სუბსტანტიური ფორმების და პერიფერიული კომპონენტების – ადიექტიური, ზმნური, ადვერბიალური ფორმებისა და სხვადასხვა კომპოზიციის კოლოკაციების სახით. ინგლისური და ქართული ვარიანტების სტრუქტურათა შეპირისპირებისას იკვეთება ურთიერთმიმართების სამი ტიპი: სრული სიმეტრია, ნაწილობრივი სიმეტრია და ასიმეტრია.

დასკვნები

კვლევის შედეგები შეიძლება წარმოვადგინო შემდეგი დასკვნების სახით:

წარმატებული კომუნიკაციის მნიშვნელოვანი წინაპირობა – ლინგვოკულტუროლოგიური კომპეტენციის განვითარება – გულისხმობს იმ მრავალგანზომილებიანი ფონური ინფორმაციის დაუფლებას, რომელსაც ენაში ობიექტივირებული ნაციონალური კულტურა უდევს საფუძვლად. ამიტომ ნაციონალურ–კულტურული ნიშნით მარკირებულ ენობრივ ერთეულთა ანალიზი ერთ–ერთი ყველაზე აქტუალური მიმართულებაა თანამედროვე ანთროპოცენტრისტულ–კომუნიკაციურ და ლინგვოკულტუროლოგიურ კვლევებში.

განსაზღვრულ ნაციონალურ–კულტურულ არეალში აღმოცენებული რეფერენტი – კვაზირეალია – ნაწილობრივ ეკვივალენტურ ლექსიკას განეკუთვნება, რადგან იგი ერთგვარი გარდამავალი საფეხურია ორ უნივერსალურ ენობრივ–კულტურულ ფენომენს – უნივერსალიასა და რეალიას შორის: არსებით ნიშანთა იდენტურობა მას სემანტიკურ უნივერსალიასთან აახლოებს, ხოლო მეორად ნიშანთა კონტრასტულობა – რეალიასთან. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს განსაკუთრებული ტიპის რეალიასთან, რომელსაც შესაპირისპირებელ ენაში გააჩნია ფუნქციური ანალოგი და, თავისი სპეციფიკის შესაბამისად, კვლევის განსხვავებულ მიდგომასა და მეთოდოლოგიას საჭიროებს.

კვაზირეალიის ფენომენის კვლევის მეთოდთა შორის ამოსავალია შეპირისპირებითი მეთოდი. მოცემულ შემთხვევაში კონტრასტული ანალიზის საფუძველს წარმოადგენს სემანტიკური უნივერსალიები, რომლებთანაც ასოცირდება კვაზირეალიების არსებითი, ინვარიანტული ნიშნები. კვაზირეალიასა და ნაციონალურ–კულტურული სპეციფიკის ამსახველ არეალებს (ისტორიული, გეოგრაფიული, ეთნოკულტურული, სოციოკულტურული, სემიოტიკური) შორის არსებული მიმართებების განხილვისას დადგინდა, რომ ხუთ არეალს შორის სამი (ისტორიული, ეთნოკულტურული და სოციოკულტურული) შეიძლება იქნეს შერჩეული

კვაზირეალების კონტრასტული ანალიზის საფუძვლად. ამასთან, ისტორიული ფონი შეპირისპირების განცალკევებულ ბაზად არ იმიჯნება, რადგან კონტრასტული ანალიზის დროს ისტორიული სპეციფიკა თავისთავად იკვეთება ეთნოკულტურულ და სოციოკულტურულ ფონებში და სინქრონიული ასპექტების გვერდით დიაქრონიული ასპექტების დემონსტრირებასაც ახდენს.

ინგლისურ და ქართულ კვაზირეალებს შორის დგინდება მსგავსება-განსხვავებები როგორც შინაარსის, ისე გამოხატულების პლანში.

შინაარსის პლანში იდენტურია არსებითი ხასიათის ნიშნები – უნივერსალური სემები, რომლებიც საერთოა ორივე ეთნოკულტურული და სოციოკულტურული სამყაროს რეფერენტათვის. სწორედ ასეთ სემებზე დაყრდნობით შეირჩა შეპირისპირების კონკრეტული საფუძვლები: კულინარიული პროდუქტი, სამოსი, საცხოვრებელი გარემო, შრომითი საქმიანობა, საზეიმო და სამგლოვიარო რიტუალები, ტრადიციები და ზნე-ჩვეულებები, დღესასწაულები, მითოლოგიური პერსონაჟები, თამაშები, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, პოლიტიკური თანამდებობები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური დაწესებულებები, უშიშროებისა და თავდაცვის სფერო, განათლების სისტემა.

აღნიშნული სფეროების ფარგლებში განხილული თითოეული მაგალითი, ერთი მხრივ, წარმოადგენს სემანტიკურ უნივერსალიას და, მეორე მხრივ, მოიცავს უნიკალურ ნაციონალურ-კულტურულ სემებს. ეს ქმნის როგორც მსგავსებას, ისე განსხვავებას შინაარსის პლანში.

გამოხატულების პლანში გამოიკვეთა შემდეგი სახის იზომორფიზმი:

- დადგინდა, რომ ორივე ენაში გამოხატულების პლანის ბირთვს ქმნის სუბსტანტიური ფორმები და მათზე დაყრდნობით წარმოიქმნება პერიფერიული ელემენტები: ადიექტიური, ზმნური, ადვერბიალური ფორმები და სხვადასხვა სახის კოლოკაცია.
- დაფიქსირდა სრული და ნაწილობრივი სტრუქტურული სიმეტრია ინგლისური და ქართული კვაზირეალების შედარებით მცირე ნაწილის გამოხატულების პლანებს

შორის: ვარიანტების სტრუქტურები ან სრულიად იდენტურია, ან ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს.

- გამოვლინდა მსგავსება სიტყვათწარმოების ტიპებს შორის: ინგლისური და ქართული კვაზირეალიების სხვადასხვა ფორმა გვხვდება ძირეული სახით, ან იწარმოება დერივაციისა და კომპოზიციის გზით.
- დაფიქსირდა მსგავსება კოლოკაციებს შორის: როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაში წარმოდგენილია სუბსტანტიური და სუბსტანტიურ-ადიექტიური კოლოკაციები.
- დადგინდა, რომ ორივე ენაში კვაზირეალიების ნაწილის სემანტიკა მიუთითებს კონკრეტულ სქესზე. როგორც ინგლისურში, ისე ქართულში გვხვდება მამრობითი და მდედრობითი სქესის გამომხატველი ფორმები. აქვეა ნეიტრალური ფორმებიც.

გამოხატულების პლანში გამოვლინდა შემდეგი სახის ალომორფიზმი:

- გამოიკვეთა განსხვავებულ მოტივაციურ საფუძველზე აღმოცენებული ფუძეები, რადგან მნიშვნელობის მოტივაცია იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რა ასოციაციებს უკავშირებს კვაზირეალიების ამა თუ იმ ვარიანტის ფორმას ინგლისური და ქართული ნაციონალურ-კულტურული ცნობიერება.
- დაფიქსირდა სტრუქტურული ასიმეტრია კვაზირეალიების ძირითადი ნაწილის ინგლისურ და ქართულ ვარიანტებს შორის — ვარიანტების სტრუქტურები კონტრასტულია.
- გამოვლინდა განსხვავებები სიტყვათწარმოების ტიპებს შორის:
 - ა) ინგლისური კვაზირეალიების ნაწილი ნაწარმოებია კონვერსიის გზით, რაც ქართულ ვარიანტებში არ გვხვდება.
 - ბ) შემოკლებული ფორმების გამოყენება ინგლისურში უფრო ხშირი შემთხვევაა, ვიდრე ქართულში.

ზოგადი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კვაზირეალიის ფენომენის კვლევის შედეგებს სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება კულტურათა დიალოგის

უაღრესად რთულ პროცესში წარმოქმნილი იმ სპეციფიკური პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც წინ ეღობება ლინგვისტიკის უმთავრეს მიზანს – წარმატებულ კომუნიკაციას.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

1. ახმანოვა 1962 – Ахманова О.С. (1962). Некоторые вопросы семантики в современном языкознании. Ахманова О.С., Мельчук И.А., Падучева Е.В., Фрумкина Р.М. *О точных методах исследования языка*. Москва: Наука.
2. ახმანოვა 2007 – Ахманова О. С. (2007). *Словарь лингвистических терминов*. Москва: КомКнига.
3. ბაბუშკინი 1996 – Бабушкин А.П. (1996). *Типы концептов в лексико-фразеологической семантике языка*. Воронеж: Изд-во Воронежского государственного университета.
4. ბალი 1961 – Балли Ш. (1961). *Французская стилистика*. Пер. с фр. К.А. Долинина. Москва: Иностранная литература.
5. ბარანიკოვა 1972 – Баранникова Л.И. (1972). *Сущность интерференции и специфика ее проявления. Проблемы двуязычия и многоязычия*. Москва: Наука.
6. ბარტი 1989 – Барт Р. (1989). *Избранные работы. Семиотика. Поэтика*, Москва: Прогресс.
7. ბარხუდაროვი 1975 – Бархударов Л. С. (1975). *Язык и перевод. Вопросы общей и частной теории перевода*. Москва: Наука.
8. ბახტინი 1979 – Бахтин М. М. (1979). *Эстетика словесного творчества*. Москва: Наука.
9. ბერესტიევი 1997 – Берестиев Г.И. (1997). *О "новой реальности" языкознания*. НДВШ. ФН., №4.
10. ბიკმანი 1965 – Beekman J. (1965). *Notes on Translation with Drills*. Dallas: Summer Institute of Linguistics.
11. ბოდუენ დე კურტენე 1963 – Бодуэн де Куртенэ. (1963). *Избранные труды по общему языкознанию*. Москва: Изд-во АН СССР.
12. ბოლდორევი 2000 – Болдырев Н.Н. (2000). *Когнитивная семантика* (Курс лекций по английской филологии). Тамбов: изд-во Тамбов. гос. ун-та.
13. ბრომლეი 1973 – Бромлей Ю.В. (1973). *Этнос и этнография*. Москва: Наука.

14. ბრომლეი 2000 – Бромлей Ю.В. (2000). *Очерки теории этноса. Язык и культура*. Хрестоматия по спецкурсу для студентов-филологов / Под ред. Л.Г. Саяховой. Уфа: Изд. БашГУ.
15. გადამერი 1988 – Гадамер Х. Г. (1988). *Истина и метод*. Москва: Прогресс.
16. გაკი 1999 – Гак В.Г. (1999). Национально-культурная специфика меронимических фразеологизмов. *Фразеология в контексте культуры*. Москва: Языки русской культуры.
17. გამყრელიძე et al. 2008 – გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელია ნ. (2008). *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
18. გარდნერი, ვულფი 1987 – Gardner H., Wolf D. P. (1987). The symbolic products of early childhood. *Curiosity, imagination and play: On the development of spontaneous cognitive and motivational processes*. London: Hillsdale.
19. გაფაროვა, კილდიბეკოვა 1998 – Гафарова Г.В., Кильдибекова Т.А. (1998). *Когнитивные аспекты лексической системы языка*. Уфа: БашГУ.
20. გაფაროვა, კილდიბეკოვა 2003 – Гафарова Г.В., Кильдибекова Т.А. (2003). *Теоретические основы и принципы составления функционально-когнитивного словаря*. Уфа: БашГУ.
21. გრეიდინა 2002 – Грейдина Н.Л. (2002). Этнокультура: теоретические и практические реалии. *Человек в зеркале языка. Вопросы теории и практики*. Москва: Наука.
22. გრუშევიცკაია et al. 2002 – Грушевицкая Т.Г., Попков В.Д., Садохин А.П. (2002). *Основы межкультурной коммуникации: Учебник для вузов* (под ред. А.П. Садохина). Москва: ЮНИТИ- ДАНА.
23. დი პიეტრო 1971 – Di Pietro R.J. (1971) *Language Structures in Contrast*, New York: Newbury House.
24. დობროვოლსკი 1997 – Добровольский Д.О. (1997). Национально-культурная специфика во фразеологии. *Вопросы языкознания*, № 6. Москва: РАН.

25. ელმსლევო 1960 – Ельмслев Л. (1960). Прологомены к теории языка. *Новое в лингвистике*, вып. I. Москва: Изд-во иностранной литературы.
26. ვაინრაიხი 1968 – Weinreich U. (1968). *Language in Contact*. Paris: Mouton.
27. ვაინრაიხი 1972 – Вайнрайх У. (1972). Одноязычие и многоязычие. *Новое в лингвистике*. Москва: Изд-во иностранной литературы.
28. ვაინრაიხი 1979 – Вайнрайх У. (1979). *Языковые контакты: состояние и проблемы исследования*. Киев: Выща школа.
29. ვეჯბიცკაია 1997 – Вежбицкая А. (1997). *Язык. Культура. Познание*. Москва: Русские словари.
30. ვეჯბიცკაია 1999 – Вежбицкая А. (1999). *Семантические универсалии и описание языков*. Москва: Языки русской культуры.
31. ვერეშაგინი 1968 – Верещагин Е.М. (1968). Понятие интерференции в лингвистической и психологической литературе. *Ин. Языки в Высшей Школе*, Вып. 4. Москва: Прогресс.
32. ვერეშაგინი, კოსტომაროვი 1980 – Верещагин Е.М., Костомаров В.Г. (1980). *Лингвострановедческая теория слова*, Москва: Прогресс.
33. ვერეშაგინი, კოსტომაროვი 1983 – Верещагин Е. М., Костомаров В. Г. (1983). *Язык и культура*. Москва: Наука.
34. ვინოგრადოვი 2001 – Виноградов В. С. (2001). *Введение в переводоведение (общие и лексические вопросы)*. Москва: Изд. Института общего среднего образования РАО.
35. ვლახოვი, ფლორინი 1980 – Влахов С., Флорин С. (1980). *Непереводимое в переводе*. Москва: Наука.
36. ვოლოშინი 2000 – Волошин Ю.К. (2000). *Общий американский сленг: состав, деривация и функция (лингвокультурологический аспект)*. Краснодар: Кубан. гос. ун-т.

37. ვორკაჩევი 2001 – Воркачев С.Г. (2001). Лингвокультурология, языковая личность, концепт: становление антропоцентрической парадигмы в языкознании. *Филологические науки*, №1. Москва: АЛМАВЕСТ.
38. ვორკაჩევი 2004 – Воркачев С.Г. (2004). *Счастье как лингвокультурный концепт*. Москва: ИТДГК Тнозис.
39. ზალევსკაია 2000 – Залевская А.А. (2000). Национально-культурная специфика картины мира и различные подходы к ее исследованию. *Языковое сознание и образ мира*. Москва: ИнЯз.
40. ზვიადაძე 2005 – ზვიადაძე ნ. (2005). *კ.ლ. პაიკის ტაგმემიკური თეორია და მისი ანთროპოცენტრისტულ-კულტუროცენტრისტული განზომილება*. ქუთაისი: ქსუ გამომცემლობა.
41. *თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია* (2011). გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.
42. თევზაძე, მელქაძე 2011 – თევზაძე ნ., მელქაძე მ. (2011). საცხოვრებელი სახლების ტიპები გარემოსთან მიმართებაში. *განათლება*, №3, თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
43. თელია 1986 – Телия В.Н. (1986). *Коннотативный аспект семантики номинативных единиц*. Москва: Наука.
44. ივანოვა 2002 – Иванова СВ. (2002). *Культурологический аспект языковых единиц*. Уфа: БашГУ.
45. ივანოვა 2004 – Иванова СВ. (2004). *Лингвокультурология и лингвокогнитология: сопряжение парадигм*. Уфа: РИО БашГУ.
46. იონინი 1996 – Ионин Л.Г. (1996). *Социология культуры*. Москва: Логос.
47. კარასიკი 2002 – Карасик А.В. (2002). *Языковой круг: Личность, концепты, дискурс*. Волгоград: Перемена.

48. კარაულოვი 1987 – Караулов Ю. М. (1987). *Русский язык и языковая личность*. Москва: Прогресс.
49. კარაულოვი 1989 – Караулов Ю. М. (1989). *Русская языковая личность и задачи её изучения. Язык и личность*. Москва: Прогресс.
50. კარლინსკი 1972 – Карлинский А.Е. (1972). *Типология речевой интерференции. Зарубежное языкознание и литература*, Вып. 2. Алма-Ата.
51. კარლინსკი 1990 – Карлинский А.Е. (1990). *Основы теории взаимодействия языков*. Алма-Ата: Казахск. гос. ун-т.
52. კაშკინი 1952 – Кашкин И.В. (1952). *Ложный принцип и неприемлимые результаты. Иностранные языки в школе*, №2. Москва: Наука.
53. კირვალაძე 2008 – კირვალაძე ნ. (2008). *გრამატიკის თანამედროვე თეორიები*. თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
54. კომისაროვი 1965 – Комиссаров В. Н. (1965). *Пособие по переводу с английского языка на русский*. Москва: Наука.
55. კომისაროვი 1980 – Комиссаров В. Н. (1980). *Лингвистика перевода*. Москва: Наука.
56. კომისაროვი 1990 – Комиссаров В. Н. (1990). *Практикум по переводу*. Москва: Прогресс.
57. კომისაროვი 1990 – Комиссаров В. Н. (1990). *Теория перевода*. Москва: Наука.
58. კომლევნი 1966 – Комлев Н.Г. (1966). *О культурном компоненте лексического значения, Вести Московского Университета*, №5.
59. კომლევნი 1969 – Комлев М. Г. (1969). *Компоненты содержательной структуры слова*, Москва: Прогресс.
60. კონეცკაია 1980 – Конецкая В.П. (1980). *Лексико-семантическая характеристика языковых реалий. Великобритания: лингвострановедческий словарь*. Москва: Прогресс.
61. კრებერი, კლაუკჰოხნი 1952 – Kroeber A., Kluckhohn C. (1952). *Culture: A critical review of Concepts and Definitions*. Harvard University Press.

62. ლადო 1957 – Lado, R. (1957). *Linguistics across cultures: Applied linguistics for language teachers*. University of Michigan Press.
63. ლაკოფი, ჯონსონი 1980 – Lakoff G., Johnson M. (1980). *Metaphors We Live by*. Chicago: Chicago University Press.
64. ლანგაკერი 1991 – Langacker R.W. (1991). *Concept, Image, and Symbol: the cognitive basis of grammar*. New York: Mouton de Gruyter.
65. ლანგაკერი 1994 – Langacker R. (1994). *Culture, Cognition and Grammar. Language Contact and Language Conflict*. Amsterdam: John Benjamins.
66. ლარსონი 1997 – Larson M. M. (1997). *Meaning-Based Translation: A Guide to Cross-Language Equivalence*, 2nd edition. Maryland: University Press of America.
67. ლებანიძე 1998 – ლებანიძე გ. (1998). *ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა*. თბილისი: ენა და კულტურა.
68. ლებანიძე 2004 – ლებანიძე გ. (2004). *კომუნიკაციური ლინგვისტიკა*. თბილისი, ენა და კულტურა.
69. ლებანიძე 2004 – ლებანიძე გ. (2004). *კულტუროლოგიის საფუძვლები (ლექციების კურსი)*. თბილისი: ენა და კულტურა.
70. ლებანიძე 2006 – ლებანიძე გ. (2006). *სიღრმეთა დიალოგი და „ტრაგიკული ტრიადა“*. თბილისი: ენა და კულტურა.
71. ლეონტიევი 1977 – Леонтьев А. А. (1977). Психолингвистический аспект языкового значения . *Принципы и методы семантических исследований*. Москва: Наука.
72. ლიხაჩევი 1996 – Лихачев, Д. С. (1996). *Очерки по философии художественного творчества*. СПб.
73. მასლოვა 2001 – Маслова В.А. (2001). *Лингвокультурология*. Москва: Издательский центр Академия.
74. მეგრელიძევილი et al. 1986 - მეგრელიძევილი მ. (1986). *ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიები ინგლისურ ენაში*. თბილისი: განათლება.

75. მეგრელიშვილი et al. 2012 – მეგრელიშვილი მ., გვილავა რ., ალავიძე მ., ნიჟარაძე ნ., ზვიადაძე ნ. (2012). *ინგლისური და ქართული ენების შეპირისპირებითი ლინგვისტიკა (ზმნის კატეგორიათა მასალაზე)*. ქუთაისი: აწსუ –ს გამომცემლობა.
76. ნაიდა 1975 – Nida E. A. (1975). *Language Structure and Translation: Essays*. Stanford: Stanford University Press.
77. ნაიდა 2002 – Nida E. A. (2002). *Contexts in Translating*. Amsterdam: John Benjamin's Publishing Company.
78. ნებიერიძე 2003 – ნებიერიძე გ. (2003). *ენათმეცნიერების შესავალი*. თბილისი: ნეკერი.
79. ნელსონი 1986 – Nelson K. (1986). *Event knowledge Structure and function in development*. New Jersey: Hillsdale.
80. ნიუბერტი 1989 – Neubert A. (1989). *Translation as Mediation*. Aberdeen: Aberdeen University Press.
81. ორემბოვსკაია et al. 1964 – ორემბოვსკაია მ., გვარჯალაძე თ., ორემბოვსკაია ტ. (1964). *ინგლისური ენის ლექსიკოლოგია*. თბილისი: ცოდნა.
82. ოსტჰოფი, ბრუგმანი 1960 – Остгоф Г., Бругман К. (1960). Предисловие к книге - Морфологические исследования в области индоевропейских языков. В.А. Звегинцев. *История языкознания XIX и XX веков в очерках и извлечениях*, Москва: Прогресс.
83. პალმერი 1996 – Palmer G. B. (1996). *Toward a theory of cultural linguistics*. Austin: University of Texas Press.
84. პალმერი, არინი 1999 – Palmer G. B., Arin D. N. (1999). The domain of ancestral spirits in Bantu noun classification. *Cultural, typological and psycholinguistic issues*. Amsterdam: John Benjamins.
85. პალმერი, ვუდმანი 1999 – Palmer G. B., Woodman C. (1999). Ontological classifiers as polycentric categories. *Explorations in linguistic relativity*. Amsterdam: John Benjamins.
86. რახილინა 2000 – Рахилина Е. В. (2000). О тенденциях в развитии когнитивной семантики. *Известия РАН СЛЯ*, Т. 59, №3.

87. პოპოვა, სტერნინი 2001 – Попова З.Д., Стернин И.А. (2001). *Очерки по когнитивной лингвистике*. Воронеж: Изд-во ВГУ.
88. პოსტოვალოვა 1999 – Постовалова В.И. (1999). Лингвокультурология в свете антропологической парадигмы. *Фразеология в контексте культуры*. Москва: Прогресс.
89. რამიშვილი 1995 – რამიშვილი გ. (1995). *ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით*. თბილისი: ნეკერი.
90. რობინსონი 2003 – Robinson D. (2003). *Becoming a Translator: An Introduction to the Theory and Practice of Translation*. London: Routledge.
91. როზენცვაიგი 1972 – Розенцвейг В.Ю. (1972). *Языковые контакты. Лингвистическая проблематика*. Москва: Наука.
92. როზინი 2002 – Розин В.М. (2002). *Культурология*. Москва: ИНФРА - М, ФОРУМ.
93. რუბინშტეინი 1964 – Рубинштейн С.Л. (1964). *Основы общей психологии*. Москва: Изд-во Министерства просвещения РСФСР.
94. სეპირი 1993 – Сепир Э. (1993). Язык, раса, культура. *Избранные труды по языкознанию и культурологии*. Москва: Прогресс.
95. სეპირი 2001 – Сепир Э. (2001). *Избранные труды по языкознанию и культурологии*. Москва: Прогресс.
96. სერგეევა 2001 – Сергеева Л.А. (2001). Теория поля и когнитивная научная парадигма. *Теория поля в современном языкознании*. Уфа: БашГУ.
97. სლიშკინი 2000 – Слышкин Г.Г. (2000). *От текста к символу: лингвокультурные концепты прецедентных текстов в сознании и дискурсе*. Москва: Академия.
98. სმირნოვა 2001 – Смирнова Т.Е. (2001). Языковая личность в контексте проблемы "язык и культура". *Языковая личность: Лингвокультурология. Лингводидактика. Лексикография*. Уфа: БашГУ.
99. სობოლევი 1952 – Соболев Л.Н. (1952). *Пособие по переводу с русского языка на французский*. Москва: Наука.

100. სოროკინი 1985 – Сорокин Ю.А. (1985). *Психолингвистические аспекты изучения текста*. Москва: Наука.
101. სოსიური 2002 – სოსიური ფ. (2002). *ზოგადი ენათმეცნიერების კურსი*. თბილისი: დიოგენე.
102. სტეპანოვი 1997 – Степанов Ю. С. (1997). *Константы: словарь русской культуры. Опыт исследования*. Москва: Наука.
103. სტეპანოვი 2000 – Степанов Ю.С. (2000). *Константы. Словарь русской культуры*. Москва: Академический проект.
104. სტეფანენკო 2003 – Стефаненко Т.Г. (2003). *Этнопсихология: Учебник для вузов*. Москва: Аспект Пресс.
105. სუპერანსკაია 2000 – Суперанская А.В. (2000). Принципы передачи безэквивалентной лексики. *Великобритания. Лингвострановедческий словарь*. Москва: Прогресс.
106. სუპრუნი 1958 – Супрун А.Е. (1958). Экзотическая лексика. *Филологические науки*, № 2. Москва.
107. ტარასოვი 1994 – Тарасов Е.Р. (1994). Язык и культура: Методологические проблемы. *Язык-Культура-Этнос*. Москва: Прогресс.
108. ტერ-მინასოვა 2000 – Тер-Минасова С.Г. (2000). *Язык и межкультурная коммуникация*. Москва: Слово.
109. ტოლსტოი 1995 – Толстой, Н. И. (1995). Язык и культура. Язык и народная культура. *Очерки по славянской мифологии и этнолингвистике*. Москва: Наука.
110. ტომახინი 1988 – Томахин Г. Д. (1988). Прагматический аспект лексического фона слова. *Филологические науки*, № 5. Москва.
111. უბიიკო 1998 – Убийко В.И. (1998). *Концептосфера внутреннего мира человека в русском языке: Функционально-когнитивный словарь*. Уфа: БашГУ.
112. უზნაძე 1947 – უზნაძე დ. (1947). ენის შინაფორმა. *ფსიქოლოგია*, IV, თბილისი.

113. უორფი 1960 – Уорф Б. (1960). Отношение норм поведения и мышления к языку. Наука и языкознание. *Новое в лингвистике. Лингвистика и логика*, Вып. I. Москва: Изд-во иностранной литературы.
114. ფანჯიკიძე 1995 – ფანჯიკიძე დ. (1995). *თარგმანის ახალი თეორიები და სტილის კვივალენტურობის პრობლემა*. თბილისი: განათლება.
115. ფედოროვი 1983 – Федоров А. В. (1983). *Основы общей теории перевода*. Москва: Прогресс.
116. ფილმორი 1982 – Fillmore Ch. J. (1982). *Frame Semantics. Linguistics in the morning calm: Selected papers from the SICOL 1981*, Seoul.
117. ფიშმანი 2005 – Фишман Дж. (2005). Сегодняшние споры между примордиалистами и конструктивистами: связь между языком и этничностью с точки зрения ученых и повседневной жизни. *Логос*, №4, Москва.
118. ფოკონიე 1985 – Fauconnier G. (1985). *Mental Spaces: Aspects of Meaning Construction in Natural Languages*. Mass.: MIT Press.
119. ფოჩხუა 1974 – ფოჩხუა ბ. (1974). *ქართული ენის ლექსიკოლოგია*. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
120. ფრუმკინა 1995 – Фрумкина Р.М. (1995). Есть ли у современной лингвистики своя эпистемология? *Язык и наука конца XX века*. Москва: Прогресс.
121. ფურმანოვა 1993 – Фурманова В.П. (1993). *Межкультурная коммуникация и лингвокультуроведение в теории и практике обучения иностранным языкам*. Изд-во Мордовского ун-та.
122. ქეთფორდი 1965 – Catford J.C. (1965). *A Linguistic Theory of Translation*. Oxford: University Press.
123. შვედოვა 1999 – Шведова Н.Ю. (1999). Теоретические результаты, полученные в работе над "Русским семантическим словарем". *Вопросы языкознания*, №1. Москва: РАН.

124. შვეიცერი 1963 – Швейцер А.Д. (1963). *Очерк современного английского языка в США*. Москва: Наука.
125. შვეიცერი 1973 – Швейцер А. Д. (1973). *Перевод и лингвистика*. Москва: Наука.
126. შვეიცერი 1988 – Швейцер А.Д. (1988). *Теория перевода. Статус. Проблемы. Аспекты*. Москва: Наука.
127. ჩერნოვი 1958 – Чернов Г.В. (1958). К вопросу о передаче безэквивалентной лексики при переводе советской публицистики на английский язык. *Ученые записки МГПИИЯ*, т. XVI. Москва.
128. ჩესტერმანი 1997 – Chesterman A. (1997). *Memes of translation: the spread of ideas in translation theory*. Amsterdam: John Benjamins Publishing Company.
129. ჩიქობავა 1967 – ჩიქობავა ა. (1967). ენათმეცნიერება, როგორც ინტეგრალური მეცნიერება ენის შესახებ. *თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები*, II. თბილისი.
130. ჩომსკი 1965 – Chomsky N. (1965). *Aspects of the Theory of Syntax*. Cambridge, Mass.: MIT Press.
131. ძამაშვილი et al. 1999 – ძამაშვილი ა., გვასალია ლ., ჭიაურელი ვ. (1999). *კულტუროლოგია*. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
132. ჭოხონელიძე 1998 – ჭოხონელიძე ნ. (1998). ზოგი კომპოზიტის (ჭიაფერი, ჭიამაია და ჭიაკოკონა) წარმომავლობისათვის. *57-ე სამეცნიერო სესიის მასალები*. გვ. 68–69. საქ. მეცნ. აკადემია, ენათმეცნ. ინ-ტი, თბილისი.
133. ჭრელაშვილი 2001 – ჭრელაშვილი ვ. (2001). *ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია*. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
134. ხაირულინა 1996 – Хайруллина Р.С. (1996). *Картина мира в русской фразеологии (в сопоставлении с башкирскими параллелями)*. Москва: Прометей.
135. ხეცურიანი ნ. (2000). *ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია და ენათა შეპირისპირებითი ანალიზი*. თბილისი: ენა და კულტურა.

136. ჯაკენდოფი 1992 – Jackendoff R. (1992). What is a concept ? Frames, fields, and contrasts. *New essays in semantics and lexical organization*. Michigan: Hillsdale.
137. ჯოზეფი დ. ჯოზეფი. Язык и национальная идентичность. *Логос*, №4. Москва.
138. ჰამერლი 1982 – Hammerly H. (1982). *Synthesis in Second Language Teaching*. Blaine, WA: Second Language Publications.
139. ჰარმანი 1988 – Harman G. (1988). Cognitive science? *The making of cognitive Science; Essays in honour of George Miller*. Cambridge: Mass.
140. ჰარტმანი 1991 – Hartmann R.R.K. (1991) Contrastive linguistics and bilingual lexicography. *International Encyclopedia of Lexicography* ed. by F.J. Hausmann et al. Vol. III. De Gruyter.
141. ჰატიმი 1997 – Hatim B. (1997). *Communication across Cultures. Translation Theory and Contrastive Text Linguistics*. University of Exeter Press.
142. ჰაუგენი 1972 – Хауген У. (1972). Языковой контакт. *Новое в лингвистике*, Вып. VI. Языковые контакты. Москва: Изд-во иностранной литературы.
143. ჰელტაი 1988 – Heltai P. (1988) Contrastive analysis of terminological systems and bilingual technical dictionaries. *International Journal of Lexicography* Vol. 1.
144. ჰუმბოლდტი 1969 – Гумболт В. (1969). *Избранные сочинения по вопросам языкознания*. Москва: Прогресс.
145. ჰუმბოლდტი 1984 – Гумбольдт В. фон. (1984). *Избранные труды по языкознанию*. Москва: Прогресс.

გამოყენებული საცნობარო და ისტორიულ–ეთნოგრაფიული ლიტერატურა

1. გოგიჩაიშვილი ფ. (1976). *ხელოსნობა საქართველოში*. თბილისი: თბ. უნ-ტის გამომცემლობა.
2. ითონიშვილი ვ. (1960). *ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან*. თბილისი: საქ. სსრ. მეცნ. აკად. გამომცემლობა.
3. კილურაძე გ. (1979). *XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია*, წიგნი I. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
4. *რა პრივილეგია აქვთ რეზბადგმულ მამაკაცებს?* მოძიებული 20 სექტემბერს, 2013. <http://massmedia.ge/index.php?id=328>
5. სულხან–საბა ორბელიანი (1993). *ლექსიკონი ქართული*. თბილისი: მერანი.
6. *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია* (1977–1983). ტ. 2/4/5/6. თბილისი: საქ. სსრ. მინისტრ. საბჭოს გამომცემლობა.
7. *ქართული სუფრის ტრადიციები*. მოძიებული 20 აგვისტოს, 2013. <http://literatura.mcvane.ge/main/fesvebi/tradiciebi/1629-qartuli-sufris-tradiciebi.html>
8. ჩაჩაშვილი გ. (1957). *ქართლელი გლეხი მამაკაცის კოსტუმი XIX საუკუნისა*. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. თბილისი.
9. ჯანაშია ს. (1968). *შრომები*, ტ. 4. თბილისი: მეცნიერება.
10. *A History of Cheesecakes*. მოძიებული 28 ოქტომბერს, 2012. www.fergusonplarre.com.au.
11. *Cooks Illustrated Magazine, Baking Illustrated*. (2004). Brookline, MA: America's Test Kitchen.
12. *Featured Speakers*. მოძიებული 20 მაისს, 2013. <http://www.toastmasters.org/Members/2014InternationalConvention/FeaturedSpeakers.aspx>
13. Goodall B. (1987). *The Penguin Dictionary of Human Geography*. London: Penguin.
14. Gordon P. Lawton D. (2003). *Dictionary of British Education*. London: Woburn Press.

15. *Guy Fawkes and Bonfire Night*. მოძიებული 15 მარტს, 2013.
<http://www.bonfirenight.net/bonfire.php>
16. Lofthouse P. *The Development of English Semi-detached Dwellings during the Nineteenth Century*. მოძიებული 20 მაისს, 2013.
<http://www.pia-journal.co.uk/article/view/pia.404/517>
17. *Online Etymology Dictionary*. <http://www.etymonline.com/>
18. Ryrie Ch. (2004). *The Cottage Garden: How to Plan and Plant a Garden That Grows Itself*. Collins & Brown.
19. Stiles H. R. (2005). *Bundling: Its Origin, Progress and Decline*. Montana: Kessinger Publishing.

გამოყენებული მხატვრული ლიტერატურა

1. ამირეჯიბი ჭ. (1978). *დათა თუთაშხია*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
2. ბელიაშვილი ა. (1965). თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა. *თხზულებანი*, ტომი III. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
3. გამსახურდია კ. (1959). დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა. *რჩეული თხზულებანი*, ტომი II. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
4. გოთუა ლ. (1960). *გმირთა ვარამი*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
5. გოთუა ლ. (2010). ქვის დედაენა. ყინწვისის ანგელოზი: მოთხრობები. *ქართული პროზის საგანძური*, ტომი 17. თბილისი: პალიტრა L.
6. დოჩანაშვილი გ. (1991). ორნი აქა–იქ. *ათი საუკეთესო მოთხრობა*. თბილისი: ივერია.
7. დოჩანაშვილი გ. (1990). *სამოსელი პირველი*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
8. დუმბაძე ნ. (1962). *მე ვხედავ მზეს*. თბილისი: ნაკადული.

9. დუმბაძე ნ. (1963). *მე, ბებია, ილიკო და ილარიონი*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
10. დუმბაძე ნ. (2013). *ნაფიქრალი: აზრები, ამონარიდები*. თბილისი: საუნჯე.
11. იოსელიანი ო. (2005). *გერი და დედინაცვალი. ზღაპრად გაუგონარი ზღაპრები*. თბილისი: კვირის პალიტრა.
12. ლდოკონენი მ. (2010). *ლორა, ვერცხლის ქორწილი და ბუში. 39 რჩეული მოთხრობა*. თბილისი: პალიტრა L.
13. ლდოკონენი მ. (2009). *მისი სახლი. ქიშმიშიანი ამბები*. თბილისი: დიოგენე.
14. ლეჟავა ზ. (2010). *უხურდავებელი მონეტა. საუკეთესო ქართული მოთხრობა 2010*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
15. ლომოური ნ. (1990). *ქაჯანა. პაწია მეგობრები (მოთხრობები)*. თბილისი: საქართველო.
16. ლორთქიფანიძე ნ. (1989). *საშობაო მინიატურები. თხზულებანი*. თბილისი: განათლება.
17. მარგველაშვილი გ. (2006). *ვითომ შემოდგომა. მე წიგნის გმირი ვარ*. თბილისი: კავკასიური სახლი.
18. მიქელაძე მ. *ქუდბაცაცები*. მოძიებული 15 აგვისტოს, 2013, <http://arilimag.ge>
19. მორჩილაძე ა. (2011). *ობოლე*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
20. რობაქიძე გ. (2012). *ენგადი. კავკასიური ნოველები*. თბილისი: არტანუჯი.
21. სანიკიძე ლ. (1993). *უქარქაშო ხმლები*. თბილისი: მერანი.
22. სულაკაური ა. (1997). *ლუკა. თხზულებანი*, ტომი I. თბილისი: მერანი.
23. სულაკაური ა. (2007). *სალამურას თავგადასავალი*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
24. ტაბუცაძე ს. *იონა*. მოძიებული 15 აგვისტოს, 2013, <http://lib.ge/book.php?author=470&book=10738>
25. ტურაშვილი დ. (2010). *ტიბეტი არ არის შორს*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

26. ქარდავა დ. (2005). ქვრივი ქალის მუცელი. *ნოეს მტრედები*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
27. *ქართული ხალხური ზღაპრები*. (1993). ცეროდენა. თბილისი: ია.
28. ყაზბეგი ა. (2013). ხევის ბერი გოჩა. *რჩეული ნაწარმოებები*, ტომი III. თბილისი: პალიტრა L.
29. ჩოხელი გ. (1989). *თევზის წერილები*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
30. ცხოვრებაძე რ. You know more... მოძიებული 17 ოქტომბერს, 2013, <http://lib.ge/book.php?author=450&book=4404>.
31. წერეთელი ა. (1990). *ჩემი თავგადასავალი*. თბილისი: საქართველო.
32. ჭეიშვილი რ. (2003). ქარების დაბრუნება. *სამი რომანი*. ქუთაისი: საგამომცემლო ცენტრი.
33. ჭილაძე ო. (1994). *გზაზე ერთი კაცი მიდიოდა*. თბილისი: მერანი.
34. ჯავახიშვილი მ. (2004). თეთრი საყელო. *თხზულებანი*, ტომი II. თბილისი: საქართველოს მაცნე.
35. ჯავახიშვილი მ. (2004). ჯაყოს ხიზნები. *თხზულებანი*, ტომი I. თბილისი: საქართველოს მაცნე.
36. Campbell Barnes M. (2009). *The Tudor Rose: The Story of the Queen Who United a Kingdom and Birthed a Dynasty*. Naperville: Sourcebooks Landmark.
37. Chesterton G. K. (1922). *The Trees Of Pride*. Rockville: Wildside Press.
38. Clandestinepen. *Distant Starlight*. მოძიებული 20 მაისს, 2013, <https://www.fanfiction.net/s/6307870/13/Distant-Starlight>
39. Cobain D. *The Ploughman*. მოძიებული 17 ოქტომბერს, 2013, <http://www.gadflyonline.com/home/index.php/the-ploughman/#sthash.brDhTxom.dpuf>.
40. Crockett D. (1835). *An Account of Col. Crockett's Tour to the North and Down East*. მოძიებული 17 ოქტომბერს 2013, http://en.wikipedia.org/wiki/Logrolling#cite_note-6
41. Crouch R.G. (2005). *The Coat*. Canada: Trafford Publishing.

42. Driscoll R. L. *Ransomed*. მოდიებული 15 აგვისტოს, 2013,
<https://www.fanfiction.net/s/8126914/5/Ransomed>
43. Dubus A. (1996). *Dancing After Hours*. New York: Alfred A. Knopf, Inc.
44. Dy Recidoro Z. M. *Whirlwind of Stories*. მოდიებული 20 სექტემბერს, 2013,
<http://avoidfameliketheplague.wordpress.com/category/prose>.
45. Faulkner W. (1958). *Collected Stories*. New York: Random House, Inc.
46. Gallagher T. (1986). *The Lover of Horses and Other Stories*. Los Angeles: International Creative Management, Inc.
47. Hashway K. *Flower Girl*. მოდიებული 15 აგვისტოს, 2013,
<http://www.superteacherworksheets.com/reading-comp/4th-flower-girl.pdf>
48. Joyce J. (1991). *Dubliners*. New York: Dover Publications.
49. Joyce J. (1950). *Finnegans Wake*. London: Faber and Faber.
50. Jerome J.K. *Tommy and Co*. მოდიებული 15 აგვისტოს, 2013,
<http://www.online-literature.com/jerome/tommy/3/>
51. Klinger L. S. (2005). *The New Annotated Sherlock Holmes by Sir Arthur Conan Doyle*. New York: W.W. Norton & Company, Inc.
52. Lawrence D.H. (2003). *Women in Love*. New York: Dover Publications.
53. Laidlaw M. *Bonfires*. მოდიებული 15 აგვისტოს 2013,
<http://www.nightmare-magazine.com/fiction/bonfires>.
54. Maxwell W. (1995). *All the Days and Nights: The Collected Stories*. New York: Alfred A. Knopf, Inc.
55. Koerner M. P. (2013). *The Cheesecake Queen*. Michigan: Inkspell Publishing.
56. O'Connor F. (1951). *Collected Stories*. New York: Alfred A. Knopf, Inc.
57. O'Connor F. (1965). *Everything that Rises Must Converge*. New York: Farrar Straus Giroux.
58. Palmer T. (2011). *Scrum!* Edinburgh: Barrington Stoke.
59. Proulx A. E. (1988). *Heart Songs and Other Stories*. New York: Scribner.

60. Raddall T. H. (1947). *The Wedding Gift and Other Stories*. Toronto: McClelland & Stewart.
61. Randomfan. *Stuff Happens Here*. მოდიებული 20 მასს, 2013, <http://dokuga.com/fanfiction/story/5707/1>.
62. Smith L. (2011). *Mrs. Darcy and the Blue-Eyed Stranger*. North Carolina: Algonquin Books of Chapel Hill.
63. Theroux P. (1982). *Collected Stories*. New York: Viking penguin.
64. Wilde O. (2005). *A House of Pomegranates*. Maryland: Wildside Press.
65. Wilde O. *The Happy Prince and Other Tales*. მოდიებული 20 თებერვალს, 2013. <http://www.literaturepage.com/read/the-happy-prince.html>
66. Winnette S. (2008). *The Coordinator's Shoes*. Bloomington: Author House.

